ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 1 ნოემბერი 2004 №254 (2275) ფასი 50 თეთრი

# დინამო ნიუკასლში მქიმედ გაფრინდა





ბოლო ათ დღეში თბილისის „დინამომ" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო — ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე ბობოქარ დაპირისპირებაში ქუთაისის „ტორპედოს" დაეჩაგვრინა. დღეს კი „დინამომ" ბადრი პატარკაციშვილის ფული დაზოგა და ბრიტანეთში მორიგი ავიარეისით გაფრინდა.

რა თქმა უნდა, „დინამოს" ფულს არავინ უთვლის, მაგრამ ბოლო დროს მიწაზე დაშვებულმა გია გეგუჩაძის გუნდმა „ნიუკასლთან" არც თავი უნდა დაზოგოს და არც მეტოქე. კიდევ ის, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტური კაი ტკბილ-მწარე გამოდგა.



## ლევან კობიაშვილმა ისტორია გაიმეორა

ხვალ ჩემპიონთა ლიგაში მეორე წრე დაიწყება, რაზეც ბევრი გვექნება სალაპარაკო. დღეს კი ეროვნულ ჩემპიონატებზე ვთქვათ.

ჩვენიანებით დავიწყოთ, კახა კალაძის უთამაშებლობით და ლევან კობიაშვილის საისტორიო გოლით.

სამწუხაროა, რომ კარლო ანჩელოტი ძველებურად აღარ ენდობა კალაძეს. ამ ტურშიც კახას მაგიერ სხვა იგერიებდა ბერგამოელთა იერიშებს. „მილანის" გოლი კი ისევ იმან გაიტანა, ვისაც გააქვს-ხოლმე — ანდრეი შევჩენკომ. თან ეს უბრალო გოლი არ ყოფილა. სამქულიანიც გახლდათ და წინა დილით უკრაინელს შვილი შეეძინა. ბიჭს სრულიად არაუკრაინული სახელი ჯორდანი დაარქვეს, შევჩენკო კი ლამენათევი გამოვიდა სათამაშოდ.

თამაშის დაწყებიდან ხუთსა და 39 წამში „შალკე" უკვე ორი ბურთით უგებდა „შტუტგარტს". ეს საარაკო შედეგი გამეორება ყოფილა 30 წლის წინათ დამყარებული გერმანული რეკორდისა. ამ შედეგის გამეორება ლევან კობიაშვილის გოლს მოჰყვა. „შალკემ" კი ზედიზედ მეხუთედ მოიგო და მეორე ადგილზეც დამკვიდრდა.

უქმეების სხვა გამოსარჩევი ამბებია „არსენალის" საშინაო ფრე და „მანჩესტერის" მარცხი პორტსმუთში.

ესპანეთში „რეალმა" მოუგო „ხეტაფეს". ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ერთი უცნაური ფაქტიც ახლავს — „რეალმა" ამ სეზონში პირველად შეძლო საჩემპიონატო თამაშში ერთ ბურთზე მეტის გატანა.

ისევ ჩრდილოეთით ავიწიოთ, სადაც „ბაიერნმა" მიონხენგლადბახში წააგო. თუმცა ამაში ალბათ არაფერია მოულოდნელი — მიუნხენელები ამ ქალაქში ექვსი წელია, ველარ იგებენ.

და იმაში, რომ „იუვენტუსმა" ისევ მოიგო, გასაკვირი არაფერი მოგეჩვენებათ.



REUTERS

## ვნახე დროშა, ვნახე ჰიმნი. სხვა?

გუშინ მე-14 ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო და ჩვენც შევიხედოთ ვერის ბაღის დარბაზში: მართალია, ცოტა ბნელა, მაგრამ ხალვათად შევსებული ტრიბუნიდან მაინც შენიშნავ, რომ ქვემოთ კალათბურთის მაგვარს თამაშობენ. მანამდეც გვინახავს... ზუსტად 13-ჯერ მომხდარა ასეთი რამ. გაისმა ჰიმნი (ახალი), გუნდების კაპიტნებმა დროშა აღმართეს — დროშაც ახალია. სხვა რა არის ახალი? ვერ მოგახსენებთ. ბატონი კაკო მევრელაძე, მგონი, მე-14-ედ კითხულობს ფედერაციის პრეზიდენტის მილოცვას.

ჰო, არის ერთი ახალი გუნდი, ავიაქარხნის პირმშო „თბილავიამშენი", რომელმაც თუ „სტუ-ჯეოსელს" აჯობა, ჩემპიონი გახდება. დანარჩენები ერთმანეთს თუ აჯობებენ... დაველოდოთ „თბილავიამშენისა" და სტუ-ს თამაშს, დეკემბერში ერთმანეთს ხვდებიან და იქნებ კალათბურთი ვნახოთ...



„დინამო" კიდევ ერთ ხორვატს გაეყარა

კიდევ რაღაც აკლია „ვერის ბაღს". ჰო, დრაჟენ ბრაიკოვიჩის უკმაყოფილო და მღელვარე სახე აკლია. „დინამომ" ხომ გაუწყვიტა კონტრაქტი ხორვატ სპეციალისტს და ვიცეჩემპიონებს ზურაბ ტომარაძე თავკაცობს. „დინამოც" აღარაა თუნდაც ის „დინამო". ჩემპიონი „ბასკო" კი საერთოდ აღარაა...

კი მაგრამ, ჩვენ ხომ კალათბურთის სანახავად მივედით ვერის ბაღში?

შარშანდელი რა იყო, მაგრამ იმის მაგვარი მაინც გვენახა...



REUTERS

გელზენკირხენის „შალკე“ წარმატებულ სერიას აგრძელებს და გუშინწინ „შტუტგარტთან“ 3:2 მოგებით ცხრილში მეორე ადგილზე წამოსკუპდა. გასახარია, რომ „შალკეს“ წარმატებებში ჩვენებურ ლევან კობიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. „კობიმ“ „შტუტგარტთან“ მატჩშიც იყოჩაღა — მეორე წუთზევე გოლი გაიტანა.

საერთოდ, „შალკეში“ რალფ რანგნიკის გამწვრთნელობის მერე ქართველი ნახევარმცველის შედეგიანობამ მნიშვნელოვნად იმატა, რისი ახსნაც ლევანს უჭირს, თუმცა იმას კი ამბობს, რანგნიკის ხელი აშკარად დაგვეტყოო...

ერთი სიტყვით, ლევან კობიაშვილს გუშინ გელზენკირხენში შევეხმიანეთ და ბოლოდროინდელი წარმატებები მივულოცეთ...

# მგონი, ვიღვიძებთ

## კობიაშვილი უჩვეულო ქართველია: გოლზე არ გიქდება

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. „შტუტგარტი“ ძლიერი გუნდია, რაც ბუნდესლიგაში არაერთხელ დაუმტკიცებია. ამ მოგებით მეორე ადგილზე ავინაცვლეთ და ეს ძალიან მახარებს. მგონი, ვიღვიძებთ.

— გოლი როგორ გაიტანე?

— როგორ გითხრა... საერთოდ, კურიოზულად დაიწყო თამაში. პირველ ორ წუთში ორი გოლი გავიტანეთ, მე კი მარჯვენა ფეხით შევაგდე.

— ბოლოხანს გოლებს ძალიან უხშირე. რით ახსნი ამას?

— რა ვიცი... ამპლუა მნიშვნელოვნად არ შემიცვლია, მაგრამ.... ახლა უფრო შეუზღუდავად მივდივარ შეტევაში.

— თან „შალკეში“ პირველი გოლის გატანა ძალიან დაგიგვიანდა...

— მართალია, საკმაო დრო დამჭირდა, მაგრამ მიხარია, რომ ჩემი საქმეები ასე კარგად აეწყო. თუმცა მთავარია, გუნდმა მოიგოს. გოლი ჩემთვის მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა და ეს ყველამ იცის. კობიაშვილი იმაზეც თანახმაა, ითამაშოს და გუნდს მოგებაში დაეხმაროს. მირჩევნია, მეტოქის შეტევები ჩავშალო და მოვიგოთ, ვიდრე გოლი შევაგდო და წავაგოთ.

— რანგნიკის მოსვლით რა შეიცვალა გუნდში?

— ძალიან ბევრი რამ. ახალ მწვრთნელს ახალი სისტემა მოჰყვება ხოლმე, გუნდშიც ახალი აურა იქმნება... ტაქტიკაც სხვაგვარი გვაქვს. რანგნიკი ცდილობს, უფრო მეტად შევუტიოთ და, როგორც ხედავთ, ამან შედეგი მოგვიტანა — უფრო ლალად და თავისუფლად ვთამაშობთ. ახლა მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და მოგებები გავაგრძელოთ.

— შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი დაძლიეთ?

— ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ჩანს. ზედიზედ რამდენიმე თამაში მოვიგეთ, მეორე ადგილზე ვართ, თუმც გააჩნია, საქმეები როგორ წავა. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

— ისე, მადაც ხომ არ გაგეზარდათ?

— არა, მაგას ვერ ვიტყვი. მეორე ადგილზე ასვლამ გულშემატკივრებს და პრესას კი ათქმევინა, „შალკე“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო, მაგრამ ჩვენ უკეთ ვიცით, რა შეგვიძლია და რა არა. გვირჩევნია, ასეთი განცხადებებისგან თავი შევიკავოთ და საქმე ვაჩვენოთ. „შალკეს“ მიზანი უცვლელია — სამეულში მაინც უნდა მოვხვდეთ.

— ბუნდესლიგა წლეულს ძალიან ალოგიკური ჩანს: ფავორიტები მოისუსტებენ, შედარებით უსახელო გუნდები კი საკმაოდ მაღალ ადგილებზე არიან. შენი აზრით, მაინც რომელი გუნდია ბუნდესლიგის მომგები?

— მგონი, მარტო ბუნდესლიგაში კი არა, საერთოდ ფეხბურთში შეუძლებელი ხდება ფავორიტის გამოცნობა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ „ვოლფსბურგი“ იქნებოდა პირველ ადგილზე? მაგრამ ახლა ეს აღარ მიკვირს — „ვოლფსბურგი“ სადღეისოდ ყველაზე კარგ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობს გერმანიაში, თუმც ძნელი სათქმელია, როდემდე გაგრძელდება ასე. ალბათ, „ბაიერნიც“ მალე დაძლევს კრიზისს და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. „ბაიერნი“ მაინც „ბაიერნია“.

— შენს ყოფილ კლუბზე რას იტყვი, დარჩება „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში?

— დიდი იმედი მაქვს, რომ ასე მოხდება. გული მტკივა, როცა „ფრაიბურგს“ ასეთი ცუდი შედეგები აქვს. ადრე შინ მაინც თამაშობდა ძლიერად, ქულებს აგროვებდა და ამით ახერხებდა ბუნდესლიგაში დარჩენას, ახლა კი შინ თუ გარეთ, ყველგან აგებს. ძნელია „ფრაიბურგის“ დარი გუნდისთვის ორი წამყვანი მოთამაშის გამოკლება — ცქიტიშვილი და ბაირამოვიჩი ტრავმირებულები არიან და გუნდიც გაჩერდა. ძალიან მინდა, რომ „ფრაიბურგმა“ ჩავარდნა მალე დაძლიოს.

— უკვე აგორდა ხმები, კობიაშვილით რამდენიმე სერიოზული გუნდი დაინტერესდაო. შენ თუ გაგიგია ასეთი რამ და საერთოდ, შემოთავაზება რომ იყოს, დატოვებ „შალკეს“?

— კონკრეტული წინადადება არ მიმიღია და ამაზე საერთოდ არც ვფიქრობ. ისე, ეგ ჩვეულებრივი ამბავია, როცა თამაში წაგივა და პრესაც გაქებს, მითქმა-მოთქმა თავისთავად იწყება. დარწმუნებული ვარ, ჩემზეც იქნება ჭორები, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ — „შალკეს“ კიდევ წელიწადნახევარი ვეკუთვნი და წასვლასაც არ ვაპირებ.

**ბაჩა შალამბერიძე**

# დღეს ეროვნულზე ეროვნული გულგრილობის დემონტაჟი იწყება

წლობით ნატანჯი და უკადრისად შელანძული ეროვნული სტადიონი დღეს უჩვეულოდ ახმაურდება: „ეროვნულზე“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები იწყება.

დასასრული ყველაფერს აქვს და, ეტყობა, მრავალთაგან „ეროვნულის“ ფეხის საწმენდი ტილოსავით ხმარებას ბოლო ელება. ჩვენი ფეხბურთის დედა-ალაგს ავადმყოფივით ოპერაციას უკეთებენ და იქნებ მართლა მოკეთდეს და მოიხედოს.

მანამდე კი თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროს ტარიელ ხიზანეიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ. სწორედ ეს სამსახური კურირებს „ეროვნულზე“ ჩასატარებელ სამუშაოებს...

— ვიცით, რომ დღეს კიდევ ერთი შეხვედრა გქონდათ ქალაქის თავებთან. რა გადაწყდა?

— ყველაფერი გარკვეულია. გავაფორმეთ კონტრაქტი შპს „გეოპაკთან“, რომელმაც ძალიან კარგი წინადადება შემოგვთავაზა. სწორედ ეს კომპანია იმუშავებს „ეროვნულზე“.

— როდიდან დაიწყება სამუშაოები?

— ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შევხვდებით, მათ აზრსაც მოვისმენთ და ხვალიდანვე დავიწყებთ.

— ამ საქმესთან დაკავშირებით რაღაც გაურკვევლობა იყო ქალაქის ხელმძღვანელობაში და პრობლემები თუ მოგვარდა?

— ყველანაირი იურიდიული დეტალი უკვე გარკვეულია და პრობლემაც აღარ არსებობს. როგორც გითხარით, ხვალიდან სტადიონზე დემონტაჟი იწყება, რაზეც ოთხი სამშენებლო კომპანია იმუშავებს. პარალელურად დავიწყებთ ინდივიდუალური სკამების დაყენებასაც.

— როდის დასრულდება ეს ყველაფერი?

— 25 ნოემბერს მზად უნდა იყოს.

— მოესწრება?

— უნდა მოვასწროთ. გეცოდინებათ, რომ 10 ათასი სკამის დამონტაჟებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ, ვფიქრობ, მეტის გაკეთებაც შეგვიძლია. თან სიმეტრიულობის დარღვევაც არ გვინდა. ამიტომ, ჩემი აზრით, 11 ათასი სკამი რომ დავამონტაჟოთ, კარგი იქნება.

— ეს 11 ათასი სკამი დაახლოებით რამდენი სექტორია?

— მეორე იარუსზე, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე, ოთხ-ოთხი სექტორის დამატება გვინდა — სიმეტრიაც არ დაირღვევა. საამისოდ სწორედ 11 ათასი სკამია საჭირო.

— ის თუა ცნობილი, როდის გაგრძელდება ეს პროცესი და სტადიონი მთლიანად თუ შეივსება ინდივიდუალური სკამებით?

— ამის თქმა ნამდვილად არ შემიძლია. დაფინანსება თუ იქნება, კეთილმოწყობის სამსახური მზადაა, ნებისმიერ დროს დაიწყოს სამუშაოები. ახლაც უამრავი წინადადება მივიღეთ, მაგრამ ხომ იცით, მთავარი ფინანსებია.

**ბაჩა შალამბერიძე**

გიო ახვლედიანის სვეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოს ამბავი

მოდი, ისევ „დინამოზე“ წავისაუბროთ.

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ორ თამაშში შვიდი გოლი გაუშვა და ეულობით საცოდავი ერთი ძლივს გაიტანა.

თუ ამას მივუმატებთ „სოშოსთან“ გაშვებულ ორ უპასუხო გოლს, გამოვა, რომ დინამომ 270 წუთი კინკილა გოლზე გადაიარა, თამაშში კი საშუალოდ სამ გოლს უშვებს და ამ მარაგით მიემგზავრება ნიუკასლს, მისთვის მრისხანე მეტოქესთან სათამაშოდ.

ძალიან მძიმე სტატისტიკაა, თუმცა სტატისტიკა ნამდვილ ამბავს ვერ მოგიყვება.

ყველაფერი „სოშოსთან“ თამაშის შემდეგ იწყება. თუმცა საფუძველი აგვისტოდან უდევს — „დინამო“ ევროპულ გუნდებთან თამაშს ეჩვევა და ეს არ არიან მაინცდამაინც სუსტი ევროპული გუნდები. „დინამოს“ მაყურებელი უჩნდება ევროპულ თამაშებზე, ასე, 30 ათასი კაცი, ქართული ფეხბურთისთვის გაუგონარი ამბავი. და ეს ხალხი რაღაცას ითხოვს და მოელის მისგან: უსტვენს და ამხნევებს, აქებს და აძაგებს. „დინამოს“ დღევანდელი შემადგენლობა, რომელიც გრძელ სკამს ნამდვილად ვერ ავსებს, პირველადია ასეთ საქმეში, სადაც თან უნდა იბრძოლო, თან სირცხვილს უნდა აცდე, თან გამოცდილება მიიღო... „დინამო“ პირველი ქართული გუნდია, ორ ფრონტზე რომ უწევს ბრძოლა და თანდათან ხვდება, თუ რას ნიშნავს ეს ორი ფრონტი და რატომ ჰყავთ ორმოც-ორმოცი კაცი გუნდებში ევროპულ კლუბებს. „დინამო“ ხვდება და გრძნობს ამ სიმძიმეებს და როგორც ჩანს, ყოველივე ამის აღქმას, მიღებას, ამაში ჩართვას გვარიანი ემოციური მოძრაობანი ახლავს.

ასეა ხოლმე, როცა პირველად ხარ საქმეში, რომლის კეთებასაც ესწრაფვი, ოღონდ მუშაობის პირობებისა ბევრი არაფერი იცი.

ამიტომ, რაც „დინამოში“ ტრიალებს ბოლო ორ კვირას, გასაგებია. ოღონდაც, გამაბრაზებელი და ხელჩასაქნევი არ არის. პირიქით, ამაში ჩაყურყუმალავებაა საჭირო.

ესეც არ დავივიწყოთ, რომ მთელი ეს ისტორია. პირველი მძიმე ისტორია, ევროპაში შეჯიბრებისა, 13-14 ბიჭზე გადადის, რომელთაგან ერთს, ორს თუ გაუვლია თავისი საფეხბურთო თავგადასავალი. ამიტომ, „დინამო“ და მისი ემოციები სრულიადაც არ არის ის, რამაც წელში უნდა გაგვტეხოს. აქ ის არის მთავარი, რომ გუნდის თავს ნამდვილი ამბავი ტრიალებს

# დავიღალეთ!
## გეგუჩაძეს ამის ეშინოდა
# დავიღლებით!
## გაბელიას ამის ეშინია

თბილისი. 30 ოქტომბერი. 20 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

**დინამო 1:2 ტორპედო**

0:1 ბოლქვაძე (8), 1:1 დვალი (16), 1:2 ნერგაძე (76)

**დინამო:** მამალაძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, სალუქვაძე, შაშიაშვილი (კვირკველია 56), კაშია, კანკავა, ალადაშვილი (გონჩაროვი 79), გ. ნემსაძე, კაკალაძე (ლ. ახალაია 62), დვალი
*სათადარიგონი:* ზოიძე; სილაგაძე, ხმალაძე, კ. მახარაძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**ტორპედო:** სტურუა, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი (ადუაშვილი 89), ს. თოდუა, მემარნიშვილი, ბაბუნაშვილი, კოშკაძე (მუმლაძე 73), ნერგაძე, ბოლქვაძე, მეგრელაძე
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; დათუნაშვილი, ლაღაძე, რევაზიშვილი, გ. დარსაძე
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**გაფრთხილება:** კანკავა (47), კაშია (50), ნერგაძე (56)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი

მეორე წრე 13 ტური



ზვიად სტურუამ ჯაბა დვალისგან ერთხელ კი გაუშვა, მაგრამ მერე თითქმის გატანილი აღარ გაატანინა

**კობა ინასარიძე**

„დინამო“ — „ტორპედო“, მატჩი, რომელიც ქართული ფეხბურთისთვის იგივეა, რაც, სიტყვაზე, ესპანეთში „რეალი“ — „ბარსელონა“. ნუ დაგვძრახავთ ასეთი უხერხული შედარებისთვის, მაგრამ ხომ ცხადია, ამ ორი გუნდის გარეშე ის ჩემპიონატიც არ გვექნებოდა, რაც ახლაა და ნელ-ნელა ძალას იკრებს.

„დინამო“ — „ტორპედოს“ გინდ თბილისურ, გინდ ქუთაისურ შეხვედრას დაძაბულობა, ნერვები არასდროს აკლდა, თუმც შაბათის თამაში ისეთი გამორჩეულიც არ იყო, ვთქვათ, ამათი უწინდელი მატჩები დაჩრდილაო. საქართველოს ჩემპიონატში უკეთესი თამაშებიც გვინახავს.

არადა, ანგარიში უკვე მე-8 წუთზე გაიხსნა. საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა ქუთაისელმა დავით ბოლქვაძემ ზუსტად შეასრულა, მამალაძეს დაბალი დაურტყა და გაიტანა — 0:1.

სეირისთვის უკეთეს დასაწყისს ქომაგი, აბა, რას ინატრებდა. თუმც მოლოდინი მოლოდინად დარჩა. „დინამო“ რაღაც უმარილოდ, ინერტულად თამაშობდა, მასპინძლებს ეტყობოდათ, გულის გულში „ნიუკასლთან“ უეფას თასის მატჩზე რომ ფიქრობდნენ, „ტორპედოს“ კი იმის გამბედაობა არ ჰქონდა, დაწინაურების შემდეგაც შეეტია მეტოქისთვის და უპირატესობა განემტკიცებინა. გაბელიას გუნდი მეტწილად საკუთარი კარის უსაფრთხოებით იყო დაკავებული და მოედნის თავის ნახევარზე გამაგრებულიყო. „ტორპედოს“ ეულ ფორვარდ გია მეგრელაძეს შესვენებამდეც და მის შემდეგაც ბურთი სულ რამდენჯერმე მიუვიდა.

ბურთს, რაღა თქმა უნდა, „დინამო“ აკონტროლებდა. მაგრამ თბილისელებს ამ ბურთის სტურუას კარამდე მიტანა არ შეეძლოთ და ვიდრე გიორგი ნემსაძემ არ ითავა ქუთაისელთა საჯარიმოში შეჭრა, იქამდე დინამოელები შორეული დარტყმებით კმაყოფილდებოდნენ. ეს დარტყმები კი ნამეტანი უზუსტო იყო.

ნემსაძემ თავისი და გუნდის საქმე ბოლქვაძის გოლიდან რვა წუთში გააკეთა. ქუთაისელთა საჯარიმოში სამი მცველი ჩამოიშორა, პარტნიორებისკენ გახედვაც მოასწრო და ზედ პირითი ხაზიდან ბურთი კარის წინ მარტოდ დარჩენილ ჯაბა დვალს დაუგორა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია.

ამის მერე იყო, თამაში ცალკარად რომ იქცა, „ტორპედო“ შეტევის წამოწყებასაც კი ერიდებოდა და, აბა, რა სახიფათო მომენტს შექმნიდა ზურაბ მამალაძის კართან.



ამ გოლმა „დინამოს“ ზედიზედ მესამედ წააგებინა

„დინამომ“ კი ქუთაისელთა საჯარიმო აატლახა, გოლით შეგულიანებული თბილისელები აშკარად უკეთ ათამაშდნენ და ზვიად სტურუასაც საქმე არ მოაკლეს. კაშია, დვალი, ნემსაძე, კაკალაძე ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

„დინამომ“ ზეწოლა შესვენების შემდეგ უფრო გააძლიერა. თუმცა ზურაბ სტურუაც სასწაულებს სჩადიოდა, როგორც საფეხბურთო ენაზე ითქმის, მკვდარ ბურთებს იგერიებდა.

— „დინამოს“ აურაცხელი მომენტი ჰქონდა, ძალიან ბევრჯერ იყვნენ მასპინძლები გოლთან ახლოს, მაგრამ დღეს იღბალი ჩვენკენ იყო — თქვა ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ოთარ გაბელიამ და უნდა დაეთანხმო ქუთაისელთა თავკაცს.

რომელი ერთი მომენტი ვახსენოთ, როცა სამ-ოთხ წუთში ერთხელ „ტორპედოს“ კარში გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა. თავით, ფეხით, ახლოდან თუ შორიდან დარტყმულს სტურუა უმკლავდებოდა, ბურთს ან კუთხურზე იგერიებდა, ანაც მცველები ეხმარებოდნენ.

ამასობაში კი „ტორპედომ“ იყოჩაღა და საგოლე შანსი ზუსტადაც გამოიყენა. გოლი ერთი პასით გაკეთდა. უფრო სწორად, პასიც არ იყო, შეცვლაზე ორი წუთის შესულმა შალვა მუმლაძემ მცველს ბურთზე თამაში დაასწრო, ჭვინტი ჰკრა და ბურთიც ფლანგზე მყოფ მეგრელაძესთან მიგორდა. მანაც სისწრაფე აკრიფა, საჯარიმოში შეიჭრა და დაბალი ჩააწოდა. იმავ მუმლაძემ სცადა დარტყმა, მაგრამ მცველები გადაეღობნენ, მათგან ასხლეტილს კი ნერგაძემ მიუსწრო და ახლოდან ლონივრად დაჰკრა — 1:2.

მატჩის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა და „ტორპედო“ საკუთარ საჯარიმოში ჩაიკეტა. ქუთაისელები ხომ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ და ამისთვის კაცი ვერ უსაყვედურებდა. ისიცაა, რომ „ტორპედოს“ თავიც აღარაფრის ჰქონდა.

„დინამო“ კი გაშმაგებით უტევდა, უტევდა, ურტყამდა, ცდილობდა წაგებისგან თავის დახსნას, მაგრამ... „სოშოსთან“ მატჩის კვალი „დინამოს“ ძალიან დასტყობია — 0:5 „თბილისთან“, 1:2 „ტორპედოსთან“. „დინამოს“ ასეთი ჩავარდნა ძნელად გასახსენებელია.

*ოთარ გაბელია:* „დინამოსთან“ თამაში ყველა გუნდისთვის ხომ ძალიან ძნელია და მით უმეტეს რთულია თბილისელების თბილისში დამარცხება. ბიჭებისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, მათ იბრძოლეს, გული დადეს და ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. ისე კი, თბილისში „დინამოსთან“ ფრეც დამაკმაყოფილებდა.

არ ვთავმდაბლობ. „ტორპედო“ დღესდღეობით არაა ის გუნდი, პირველობისთვის რომ იბრძოლოს. ზამთრის შესვენებაზე თუ არ გავძლიერდით, ჩემპიონატის ბოლოსკენ ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენ ხომ სეზონი ფაქტობრივად მოუმზადებლებმა დავიწყეთ.

*გია გეგუჩაძე:* ვულოცავ „ტორპედოს“ გამარჯვებას. სამწუხაროდ, რისიც გვეშინოდა, ის ვერ ავიცილეთ — გუნდი გადაღლილია. თუმც ვიმედოვნებ, ხვალ-ზეგ ბიჭებს ჯანი დაუბრუნდებათ და უკეთ ათამაშდებიან. ძალიან გთხოვთ, „დინამოს“ ჩავარდნას ბიჭებს ნუ დააბრალებთ, მე აქ ვარ და კითხვებზე გიპასუხებთ.

ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს დაიჭერსო. მართალია, „ნიუკასლთან“ ჭიჭვეიშვილი ვერ ითამაშებს და ის შესაძლოა, სილაგაძემ შეცვალოს, მაგრამ დღეს მაინც ჭიჭვეიშვილი ვათამაშეთ, რადგანაც „ტორპედოსთან“ მოგება გვჭირდებოდა და ამ მატჩზე ვიყავით კონცენტრირებულნი.

ისე კი, იყო ნიუანსები, რომლებსაც „ნიუკასლთან“ მატჩისთვისაც გამოვიყენებთ. მაგალითად, პრაქტიკის მისაღებად კვირკველია შეგნებულად ვათამაშეთ, მელქაძეს კი დასვენების საშუალება მივეცით, ფეხი სტკიოდა და აღარ გავრისკეთ.



0:2 „სოშოსთან“, 0:5 „თბილისთან“ და 1:2 „ტორპედოსთან“ — როდის ყოფილა, რომ თბილისის „დინამოს“ ზედიზედ სამი მატჩი წაეგოს — უცნაურია, მაგრამ ასეთი ანტირეკორდი გუნდმა გია გეგუჩაძის ხელში დაამყარა.

გეგუჩაძესვე ეკუთვნის კიდევ ერთი დინამოური ანტირეკორდი — ხუთბურთიანი სხვაობით „დინამო“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 2004 წლის 25 ოქტომბრამდე არ დამარცხებულა — დინამოელებს „თბილისმა“ მოუგო 5:0. სულ კი „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატში შვიდჯერ დამარცხდა დიდი ანგარიშით.

| | |
|---|---|
| 30.12.93 | შევარდენი 3:0 დინამო |
| 18.06.94 | კოლხეთი 5:1 დინამო |
| 27.08.00 | დინამო 0:3 ტორპედო |
| 06.09.00 | ლოკომოტივი 3:0 დინამო |
| 17.11.01 | დინამო 2:5 ვიტ ჯორჯია |
| 02.10.04 | ბათუმი 3:0 დინამო |
| 02.10.04 | თბილისი 5:0 დინამო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნისი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:1 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 0:1 ბობოხიძე (23), 1:1 რუსია (75) | |
| **სიონი:** ბობღიაშვილი, ზაზაშვილი, კობაური, ღამბაშიძე, ოქროპირიძე, ფეიქრიშვილი (დ. არჩვაძე 46), პ. ჩოხელი (ცქვიტაია 85), ვერემჩუკი, ბ. შელია, გოგოლაძე (ჩაგელიშვილი 68), რუსია *სათადარიგონი:* ასლანაძე; ალავიძე, გ. კილასონია, მიქავა **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე | **ლოკომოტივი:** გვარამაძე, ზ. ლაცაბიძე (გ. ონიანი 58), მახვილაძე, ბაქრაძე, ბურდული (ლ. ჩხაიძე 76), სიჭინავა, გოგობერიშვილი, ქებაძე, სანიკიძე, სირბილაძე, ბობოხიძე *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; გაგუა, სოსელია, გ. შენგელია, მედოევი **მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე |
| **გაფრთხილება:** ოქროპირიძე (35), ქებაძე (50), ბობოხიძე (90) | |
| **მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი; ზ. ჯვარიძე; ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე | |

# ტაში გოლამდე

## რუსიამ აღას დაკრულზე გაიტაცა

**ვაჟა ხუციშვილი** ბოლნისიდან

მამუკა რუსიამ 70-ე წუთზე ისეთი ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდა, ვიფიქრე, მსგავსი შანსი ალბათ აღარ ექნება-მეთქი. კარის ხაზიდან ხუთიოდ მეტრში მდგარ ფორვარდს ბაქრაძის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი ფეშქაშად მიუვიდა, მანაც დაარტყა, მაგრამ გვარამაძეს „დაუმიზნა".

რუსიას იღბალმა არ უგანა და მომდევნო მომენტში კვლავ ბაქრაძის შეცდომით ისარგებლა. „ლოკომოტივის" მცველი მარცხენა ფლანგიდან ზაზაშვილის ჩაწოდებულ ბურთს ვერ შესწვდა. ამჯერადაც ეულად დარჩენილმა რუსიამ მოხდენილი თავურით გვარამაძეს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა და ანგარიში გაათანაბრა.

გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე გვარამაძის კარის უკან მყოფ აღასა და „ლოკომოტივის" მეკარეს შორის დიალოგი შედგა. ვერ გეტყვით, რაზე ისაუბრეს, თუმც თბილისელთა კარის დარაჯმა დიალოგის დასასრულს ბოლნისელი ქომაგებისგან ტაში დაიმსახურა.

პირველი ტაიმის ოც წუთში თვალებდასაჭყეტი არაფერი მომხდარა. მე-20 წუთზე კი მცირერიცხოვანი მაყურებელი დავით გვარამაძის შეცდომამ გაახალისა. მეკარემ უშნოდ მოიგერია ბურთი, რომელიც გოგოლაძემ მოიხელთა და ცარიელი კარის წინ ფეიქრიშვილს მიართვა. ფეიქრიშვილმა ერთი შეხებით მოინდომა გატანა, მაგრამ გვარიანად ააცილა ჩარჩოს.

„ლოკომოტივი" საპასუხო შეტევისას დაწინაურდა. მოედნის ცენტრიდან საჯარიმოში მყოფ სირბილაძეს ჩააწოდეს, მან კი ბობოხიძეს თავით დაუგდო ბურთი და სტუმარმა ფორვარდმა ხუთიოდ მეტრიდან ანგარიში გახსნა. მატჩის განმავლობაში ეს „ფოკუსი" სირბილაძემ რამდენჯერმე გაიმეორა. ერთხელ ბობოხიძემ, მეორედ კი გოგობერიშვილმა თანაგუნდელის თავით „ნალვაწი" გოლად ვერ აქციეს.

შესვენების შემდეგ ბურდულს შეეძლო მეორის გატანა, მეკარესაც გასცდა, კარშიც დაარტყა, მაგრამ ღამბაშიძემ მიუსწრო და ბურთი გამოათრია. „ლოკომ" მეტოქეს ცენტრი დაუთმო და კონტრშეტევებზე გადაეწყო, თუმც სტუმრები არაერთხელ მოხვდნენ თამაშგარე მდგომარეობაში. „სიონიც" ფხიანად ვერა, მაგრამ გულიანად კი უტევდა. მასპინძლები ქომაგთა ყიჟინამ დაქოქა და ამით გალაღებულებმა დაქანცვამდე ირბინეს. რუსიას გოლის შემდეგ „ლოკომოტივი" მასპინძელთა საჯარიმოში გადასახლდა, ოღონდ ამაოდ უტევდა.



მინდია ბობღიაშვილი მიხეილ ბობოხიძეს (№14) ამაოდ ჩაუვარდა ფეხებში, რკინიგზელმა მაინც გაიტანა



ბოლნისელების საპასუხო გოლმა თბილისელებს თავში ხელი შემოარტყმევინა

# ფრიად ფრე

## ორი უცებგოლი და მომენტები, მომენტები...

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

„ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია" მუდამ დაძაბული და საინტერესო მატჩია და ხშირად ისეც ყოფილა, ექსცესებითაც დასრულებულა. ინტერესი ახლაც დიდი იყო და სიახლე ის გახლდათ, რომ ტრიბუნაზე გამოჩნდა ბათუმელ სტუდენტთა ფან-ჯგუფი, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს საკუთარ გუნდს. ვიტელების გამოჩენა და მათი შეძახილი — „ვისლა", „ვისლა" ერთი იყო. თუმც სტუმრები სულაც არ აანერვიულა მწარე მოგონებამ, პირიქით, მათ მშვენივრად ჩაატარეს მატჩის დებიუტი და სწრაფი გოლიც გაიტანეს. ფეხბურთელებს ბურთი ხეირიანად არც კი გაეგორებინათ, რომ მარცხენა ფლანგზე, საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა დაინიშნა. ბურთთან გიორგი ადამია მივიდა და მის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე კი ბადეში გაეხვა — 0:1.

„ბათუმი" გაშვებულმა ბურთმა გამოაფხიზლა და მალე ანგარიშიც გათანაბრდა. მე-11 წუთზე ვიტალი დარჩიძემ კუთხური ჩააწოდა, ტანმაღალმა მცველმა ნიკა გუშარაშვილმა კი ზუსტი თავურით ბურთი კარში გადაგზავნა — 1:1.

ეს იყო და, გოგიტიძის შეგირდებმა უპირატესობა იგდეს ხელთ, მეტოქეს აშკარადაც ჯობდნენ, მაგრამ საჯარიმოში ვერ აღწევდნენ, შორეული დარტყმები კი მიზანს ცდებოდა.

მეორე ტაიმმა ბათუმელთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ ეს უპირატესობა გოლად ვერ გარდაისახა. მშვენიერი შანსი ჰქონდა ირაკლი შენგელიას, ტაიმის დასაწყისში მას ისლა დარჩენოდა, შეეგდო, თუმცალა ბურთი ფეხიდან აეჭრა. ხელსაყრელი საგოლე ეპიზოდი შექმნა ფირცხალაიშვილმაც, როცა კართან ზურგით მდგომი უსწრაფესად მოტრიალდა და ძლიერადაც დაარტყა; გოლიაო, ბევრი წამოხტა, მაგრამ გაფრენილმა მამარდაშვილმა მოახერხა ბურთისთვის მიმართულების შეცვლა. ბურთი ზედა ძელს მოხვდა, ხოლო დასწრებაზე ჭელიძემ ვერ იყოჩაღა — მას მცველმა დაასწრო და მოიგერია.

ჭელიძესაც ჰქონდა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ვერა და ვერ იხეირა. ჯერ იყო და, ფირცხალაიშვილის ფლანგური გარღვევისა და გადაცემის შემდეგ ბურთი აეჭრა. ტაიმის ბოლოს კი გუშარაშვილმა ცენტრიდან უზუსტესი გადაცემით მამარდაშვილს შეატოვა, მაგრამ გიორგიმ ვერ მოახერხა მეკარის მოტყუება.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* „ვიტ-ჯორჯიასა" და „ბათუმს" შორის ყოველთვის დაძაბული ბრძოლაა და არც ეს მატჩი იყო გამონაკლისი. ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, ასე რომ, ჩემი აზრით, ფრე კანონზომიერი იყო.

*ამირან გოგიტიძე:* „თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით არა. შევქმენით სამი საგოლე მომენტი, რომლებიც გოლით უნდა დაგვირგვინებულიყო. თუმც ფეხბურთელებს მადლობა მაინც გადავუხადე კარგი თამაშისთვის. აღსანიშნავია გუშარაშვილის თამაში, ახალმოშუშებული გამოვიდა და რაც გააჩნდა, მოედანზე დადო. კარგად ითამაშა გამოცდილმა ხუჯაძემაც მისთვის უჩვეულო ლიბეროს პოზიციაზე.

ბათუმი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო. 600 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:1 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 0:1 ადამია (4), 1:1 გუშარაშვილი (11) | |
| **ბათუმი:** გრიშიკაშვილი, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, ექონია, ხუჯაძე, ქაცარავა, დარჩიძე (ღლონტი 74), ი. შენგელია (ჩიკვილაძე 86), გ. ნოდ. ჭელიძე, ფირცხალაიშვილი (ხომერიკი 80) *სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ბესიკ თედორაძე, ცანავა, გალოგრე **მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე | **ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, იმედაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, ბ. დათუნაიშვილი, ლ. კვარაცხელია, დილმელაშვილი, გველესიანი, ადამია (ქოქიაშვილი 77), ე. მერებაშვილი (ებანოიძე 93), მარცვალაძე (სახოკია 89) *სათადარიგონი:* ბედიაშვილი; დ. ლომაია, ცხომარია **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |
| **გაფრთხილება:** მარცვალაძე (33) | |
| **მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ვადაჭკორია (თბილისი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი | |

### საუკეთესო

**ნიკა გუშარაშვილი**

*მცველი ნიკა გუშარაშვილი რთული ტრავმის მერე იღბლიანად დაუბრუნდა „ბათუმს". მატჩის პირველივე წუთზე ბურთი გამოიტანა ცარიელი კარიდან, შემდეგ კი ულამაზესი გოლითაც გამოიჩინა თავი. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც ის მივიჩნიეთ.*



ფოთი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:0 ზესტაფონი

1:0 აკობია (5), 2:0 დ. ნარსია (87)

კოლხეთი: ქვაჩახია, დ. ნარსია, ჭითანავა, მ. ქობულაძე, ლონლაძე, თაყაძე, ვართაგავა, კუნჭულია, ძოძუაშვილი, ზ. ქუთათელაძე (ნ. ნარსია 88)
სათადარიგონი: გ. შენგელია; ხურცილავა, ჭედია
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

ზესტაფონი: ცინაძე, სიდამონიძე, გვარუციძე (ქურციკიძე 82), რაქვიაშვილი (პარამონოვი 73), ძამსაშვილი, ბესარაშვილი, თურმანიძე, სულაკაძე, ნუდნი, ბ. ნოზაძე (ჩილვინაძე 46), ზირაქიშვილი
სათადარიგონი: მერკვილიშვილი; შუკაკიძე, მელიქია, თ. ჯაფარიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: აკობია (19), ძამსაშვილი (34), ვართაგავა (49), ლონლაძე (52), სიდამონიძე (68), ძოძუაშვილი (85)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# ორი პენალტი და მრთი კითხვა ცარიელ ბლოკნოტში ფეხბურთი მარტო ომია?

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

შაბათს „ფაზისზე“ ამ ბოლო ხანს ოდნავ წელგამართული ორი აუტსაიდერი დაეჭიდა ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ინტრიგაც საკმაო იყო. ვინ ვის, სერგო გაბელაია თუ თემურ მახარაძე? ესენი გუნდებში ახალმისულები არიან და შედეგსაც დაატყვეს უკვე ხელი.

„ზესტაფონს“ გუნება თბილისში „ლოკომოტივის“ ძლევამ გამოუკეთა, „კოლხეთს“ კი კარგად ახსოვდა სეზონის პირველი სამი ქულა პირველ წრეში, ზესტაფონში რომ გამოჩარხა. ჰოდა, იცოცხლე, ბრძოლა იყო, ოღონდ ეგაა, შიგადაშიგ სიბინძურეც სჭარბობდა ზომაზე მეტად ხისტ ორთაბრძოლებში. არბიტრ კრიჭაშვილსაც საქმე მიეძალა და ექვსჯერ ჯიბეზე ხელის გაკვრაც მოუხდა. ბლომად იყო შეტაკებები და ორივე გუნდის ექიმებმა გვარიანი ოფლი ღვარეს აქეთ-იქით სირბილსა და წამლობაში.

თუ მოედნის ყოველ კუთხე-კუნჭულში დიდი ბრძოლა და ძვლების ჭახა-ჭუხი გაჩაღებულიყო, სამაგიეროდ, მეტოქეთა კარის სიახლოვეს ფაქტობრივად სახეირო არაფერი იქმნებოდა. ორთაბრძოლებს გადაყოლილ ფეხბურთელებს თამაშის ხარისხისთვის სულაც არ ეცალათ. ამიტომაც იყო, ხეირიან კომბინაციას ანაც ორ გადაბმულ პასს, ძალიანაც რომ მოგვენდომებინათ, ვერ ნახავდით.

ჰოდა, ლოგიკურიც იყო, თამაშის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ბლოკნოტში თითქმის არაფერი რომ არ გვქონდა ჩანიშნული. არადა, ორი გოლი მაინც გაიჩარხა ამ შეხვედრაში და ორივე სტანდარტული სიტუაციიდან გავიდა სტუმართა კარში.

მე-5 წუთზე ქუთათელაძემ საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა მოინადირა. ბურთთან აკობია მივიდა და ცაციათი 25 მეტრიდან შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი. ცინაძეს არასწორი პოზიცია ეკავა, ცოცხალ კედელს არ ენდო და თავის კუთხეში გაფრენილ ბურთს ველარ შესწვდა.

მატჩის მიწურულს ისევ ჯარიმა და ისევ ტყუპისცალი გოლი. ამჯერზე საჯარიმოს მარცხენა კიდესთან, ზედ ხაზზე წააქციეს აკობია. დარტყმა დავით ნარსიამ ითავა და მარჯვენა ფეხით ისევ შორეულ კუთხეში გაიტანა. აქაც ცინაძე შეცდა, ისევ პოზიციურად და მისი ნახტომი ისევ დაგვიანებული იყო.

ნამატჩევს „ზესტაფონის“ თავკაცმა თემურ მახარაძემ და „კოლხეთის“ მეორე მწვრთნელმა ნუგზარ თვარაძემ ერთხმად აღნიშნეს, ხისტი ბრძოლა იყო და მომენტებიც ამიტომ არ შეიქმნაო. კარგია ბრძოლა, მაგრამ ფეხბურთი მარტო ომია? სწორედ ამიტომაც იყო, სათამაშო კლასის სიმწირემ რომ დაჩრდილა ის მონდომება, რომელიც ორივე გუნდს ჭარბად ჰქონდა. ერთია მხოლოდ — „კოლხეთს“, როგორც მოგებულს, მაინც ვერ გავასამართლებთ.



სერგო გაბელაია „კოლხეთს“ ზემოთ ექაჩება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 8 | 2 | 3 | 28:16 | 26 |
| ტორპედო | 13 | 7 | 5 | 1 | 19:7 | 26 |
| თბილისი | 13 | 7 | 3 | 3 | 28:15 | 24 |
| ბათუმი | 13 | 6 | 4 | 3 | 19:9 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 6 | 3 | 4 | 24:18 | 21 |
| ლოკომოტივი | 13 | 5 | 6 | 2 | 17:7 | 21 |
| კოლხეთი | 13 | 3 | 2 | 8 | 10:21 | 11 |
| სიონი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:29 | 11 |
| ზესტაფონი | 13 | 3 | 1 | 9 | 9:30 | 10 |
| დილა | 13 | 2 | 2 | 9 | 10:24 | 8 |

**დავით თავართქილაძე** გორიდან

სკრა, აგარა, ქარელი, გორი — რაც დილამ“ ჰქნა, ეს სალაღობო სიმღერა კი არა, სხვა იყო — „დილა“ მეორე ტაიმში ქორივით აფრინდა და ძალიან მოუხელთებელ გუნდთან ქულა მოინადირა.

ტევადი მატჩი გამოდგა, ბევრი საინტერესო და საინციდენტო ამბავი მოხდა. დავიწყოთ იმით, რომ გოჩა ხოჯავას მონაგრული ჯარიმა გოგიტა გოგუამ საგოლედ დაარტყა. თამაში „თბილისის“ უპირატესობით გაგრძელდა. მიუხედავად უჩარისხო მინდვრისა, თბილისელები მაინც კარგად აგორებდნენ ბურთს და ძალისმიერ ორთაბრძოლაში მეტწილად ისინი იმარჯვებდნენ. მოკლედ, შუა მოედანში „დილა“ თავიდან უშანსოდ ჩანდა და ფლანგებიდან მაღალი ჩაწოდებებით ცდილობდა ხეირიანი შეტევების განხორციელებას. „თბილისს“ დისკვალიფიცირებული ფორვარდი გიორგი მიქაძე და ტრავმიანი მცველი რევაზ ქემოკლიძე აკლდნენ. სტუმრებს განსაკუთრებით ქემოკლიძის არყოფნა დაეტყოთ — მისი დარი მცველის არყოფნა ერთობ თვალშისაცემი გამოდგა სამი მცველით მოთამაშე „თბილისისთვის“.

მაღალი ბურთები „თბილისის“ საჯარიმოში — „დილა“ სწორედ ერთი ასეთი იერიშისას გამორჩა რეალურ საგოლე მომენტს — ბურთი საბა სულთანიშვილს მიუვიდა, მაგრამ ახლოდან პირდაპირ დევაძეს დაუმიზნა.

ტაიმის მიწურულს საკამათო ეპიზოდს აურზაური მოჰყვა — „თბილისის“ საჯარიმოში მაღალ ბურთზე ლუკა რაზმაძე ახტა და ისე ჩანდა, თითქოს მას ხელი უბიძგეს — გორელები პენალტს ითხოვდნენ და ამასობაში „თბილისმა“ კონტრშეტევა განახორციელა — ხოჯავამ კოკა მიკუჩაძეს დაუგორა ბურთი, მაგრამ მრგვალი საგანი ოღრო-ჩოღროზე ახტა და მიკუჩაძემაც ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ იხეირა. „დილას“ გულშემატკივრები არბიტრზე და თანამსაჯ არსენ ნონიკაშვილზე აღშფოთდნენ, ნონიკაშვილს ქვაც ესროლეს, რომელიც ზურგში მოხვდა. ცოტაც და, „თბილისი“ კვლავ გადავიდა კონტრიერიშზე, ხოჯავამ მოხდენილად მოატყუა მეტოქე და მიკუჩაძემაც მეორე ცდაზე ყველაფერი რიგიანად გააკეთა — 0:2.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ „დილას“ ქომაგი კიდევ უფრო აღაშფოთა, განსაკუთრებით ნონიკაშვილი ამოიჩემეს გორელმა გულშემატკივრებმა, თუმც შესვენებაზე მოედნიდან გასახდელში მიმავალ მთელ მსაჯთა ბრიგადას დააყარეს ქოქოლა და ბილწი სიტყვები. საყურადღებოა ისიც, რომ მსაჯებს ერთი გორელი პოლიციელიც აგინებდა.

მეორე ტაიმში „დილა“ მეტოქეზე უფრო მონდომებული ჩანდა, თუმც ნახევარ ტაიმზე მეტი ისე გაილია, „თბილისის“ კართან ხიფათი არ მომხდარა. ისიცაა, რომ სტუმრებსაც აღარ გამოუდვიათ თავი შეტევაში და აკი ნელ-ნელა „დილა“ მკვეთრ უპირატესობასაც დაეუფლა, რასაც ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა — შეცვლაზე შესულმა გაგა მძინარიშვილმა მოედნის ცენტრში წამოიწყო რეიდი, ერთი თბილისელი ჩამოიტოვა და ცაციათი 18-20 მეტრიდან შორეულ კუთხეში გაუტანა დევაძეს.

სიტუაცია დაიძაბა. „დილას“ გულშემატკივარსაც გაუორმაგდა საბრძოლო მუხტი. ანგარიშის გათანაბრება კახა წუწუნავას მართებდა, მაგრამ ახლოდან ვერ გაისწორა მიზანი. და კვლავ მაღალი ჩაწოდება „თბილისის“ საჯარიმოში, სტუმართა დაბნეულობა და ლევან ჩაჩუას უნაკლო თავური — 2:2.

გორი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 2:2 თბილისი

0:1 გოგუა (2), 0:2 მიკუჩაძე (45), 1:2 მძინარიშვილი (73), 2:2 ჩაჩუა (86)

დილა: სომხიშვილი, მგელაძე, ჩაჩუა, ლომიძე, დ. ხანიშვილი, ქარქუზაშვილი, რაზმაძე, გაბლაია, შატაკიშვილი (მძინარიშვილი 65), წუწუნავა (მასურაშვილი 80), სულთანიშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე; ხატიაშვილი, ფოფხაძე, დ. ნადირაძე, თომაშვილი
მწვრთნელი: სოსო ვაშაკიძე

თბილისი: დევაძე, გოგუა (გ. ნუგ. ჭელიძე 58), ხოჯავა, დ. ოდიკაძე, ელიავა, გ. კვარაცხელია, ორბელაძე, გეწაძე (ა. კალაძე 56), მიქიაშვილი, ფიფია, მიკუჩაძე (მესხი 78)
სათადარიგონი: შეყრილაძე; ჯიქია, ს. იაშვილი, ლოლაძე
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

გაფრთხილება: გეწაძე (20), გაბლაია (20), გოგუა (56), ხანიშვილი (87)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# საფეხბურთო ტრილერი გორში

„თბილისი“ ამის შემდეგ მოეგო გონს, ორი საგოლე მომენტიც შექმნა და... ორივე გააცუდა: ხოჯავა-ჭელიძის კომბინაციას გოგი ფიფიამ არაზუსტი დარტყმა მიაყოლა, შემდეგ ფიფიას ხოჯავას ჩინებული პასით უნდა ეხეირა, მაგრამ გოგიტა სომხიშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მატჩი დამთავრდა. სტადიონის პრესლოჟაშიც კი ჟივილ-ხივილია, ხოლო მოედნის გასასვლელთან „თბილისის“ რამდენიმე ფეხბურთელი და „დილას“ ქომაგები შელაპარაკდნენ — მაგინებელი მხარეები მალევე დაშოშმინდნენ.

*გიორგი დევდარიანი:* ვიცოდი, რომ გორში გასეირნება არ გველოდა, თანაც ბოლო პერიოდში „დილა“ თავის თამაშს პოულობს. დასანანია, რომ ვერ გავიმარჯვეთ და საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ორბურთიანი უპირატესობის შემდეგ თამაში დამთავრებულად ჩავთვალეთ და დავისაჯეთ.

*სოსო ვაშაკიძე:* დისკვალიფიკაციის გამო „დილას“ სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა: ბალაშვილი, ჯობაძე და კობა ხანიშვილი. როცა პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში შევედი, ბიჭები დამუნჯებულები იყვნენ, მაგრამ მეორე ტაიმში გაორმაგებული ჟინით იბრძოლეს და შეცვლებიც სწორად გავაკეთეთ. მადლობელი ვარ, რომ ასეთ მოწინააღმდეგესთან ქულა ავიღეთ. არადა, ჩვენს ფეხბურთელებს სამი-ოთხი თვეა, ხელფასი არ აუღიათ, თუმც გუბერნატორის დაპირებამ მათ სტიმული მისცა.



გორული მატჩი გოგიტა გოგუას სწრაფი გოლით დაიწყო

## საუკეთესო

### გოჩა ხოჯავა



*კაცის მოტყუება, დიდებული პასი, თამაშის საკუთარ თავზე აღება, მოუღლელობა და ლიდერობა — ასეთი გახლდათ გორში გოჩა ხოჯავა. მისი ცაცია შიშის ზარს სცემდა გორელებს, თუმც საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ „დილა“ ხოჯავასაც გადაურჩა და მთელ „თბილისსაც“. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ხოჯავა ამ შეხვედრაში ყველასგან მკვეთრად გამორჩეული იყო.*

# დილას გუბერნატორი უპატრონებს

## მიხეილ ქარელი მერაბ ჟორდანიას შეხვდება, რათა სტადიონსაც ეშველოს

„დილა“ — „თბილისის“ მატჩს შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელიც ესწრებოდა, „დილას“ პრეზიდენტი გელა ჩხეიძე კი სამართალდამცავების მიერ იძებნება და კლუბიც, ფაქტობრივად, უპატრონოდაა. გუბერნატორ ქარელთან სწორედ აქედან დავიწყეთ საუბარი და აღმოჩნდა, რომ „დილას“ მალე სწორედ ის უხელძღვანელებს:



— ოფიციალურად ჯერ ყველაფერი არ გადაწყვეტილა, მაგრამ უკვე ვემზადებით იმისთვის, რომ „დილას“ ჩვენ ვუპატრონოთ.

— ესე იგი, „დილა“ სახელმწიფო ბიუჯეტზე იქნება?

— კლუბისთვის საჭირო თანხების ნაწილს ბიუჯეტი გაიღებს, ნაწილს კი შემოწირულობებით მოვაგროვებთ — ძალიან ბევრმა ბიზნესმენმა და ორგანიზაციამ უკვე გამოთქვა საამისო სურვილი და ამანაც მაფიქრებინა ეს საქმე. თანაც მეც გორელი ვარ და ფეხბურთი ძალიან მიყვარს. ადრე ვთამაშობდი კიდეც „ქართლში“.

— შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია ერთ გუნდს უკვე აფინანსებს...

— პირველლიგელი „ცხინვალი“ მთლიანად ბიუჯეტიდან ფინანსდება და ეს გუნდი უკვე მზადაა უმაღლესი ლიგის საგზურისთვის საბრძოლველად.

— „დილას“ ბიუჯეტიდან დახმარება ამდენ ხანს რატომ ჭიანურდებოდა?

— მოგეხსენებათ, რა ვითარება იყო ამ ცოტა ხნის წინ ცხინვალის რეგიონში და მოუცლელობის გამო ამის საშუალება არ მქონდა.

— „დილას“ დაფინანსება ცენტრალური ხელისუფლების დირექტივა იყო?

— არანაირი მითითება არ ყოფილა, ეს ყველაფერი ჩემი ინიციატივით ხდება.

— როდის დაეტყობა „დილას“, რომ ახალი პატრონი გამოუჩნდა?

— ზამთრის შესვენებაზე გუნდი ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება. სტადიონის რეკონსტრუქციასაც ვაპირებთ. ერთ-ერთ თურქულ ფირმასთან უკვე დავიწყეთ მოლაპარაკება ინდივიდუალური სკამების დამზადების თაობაზე. თუმც სტადიონის რეკონსტრუქციაში ფეხბურთის ფედერაციის დახმარებაც გვჭირდება და მერაბ ჟორდანიასთან ვაპირებ შეხვედრას. მალე დავიწყებთ სტადიონის გასახდელებისა და საშხაპეების კეთილმოწყობას, მათი ახლანდელი მდგომარეობა კი აღმაშფოთებელია. ფეხბურთელებმაც გასამრჯელო დროულად უნდა მიიღონ — ასეთ პირობებში ისინი კიდევ კარგად თამაშობენ.

**დავით თავართქილაძე**



ოღონდ ეს კედელი გვანახა გორში გალესილი და...

---

საქართველოს პირველი ლიგა. 16 ჩემპიონატი. პირველი ლიგა. 11 ტური. ბიზ... წრე

**ირაკლი ნინიძე მცხეთიდან**

მეთერთმეტე ტურში თუ ვინმემ გაიხარა, „სპარტაკი“ იყო. მისი უახლოესი გარემოცვიდან „ბორჯომმა“, „ვიტ ჯორჯიამ“ და „ამერმა“ ორორი ქულა დაკარგეს, სპარტაკელებმა კი საჩხერედან სამი ქულა წაიღეს.

როგორ აღნიშნა „სპარტაკმა“ „ჩიხურასთან“ მოგება, ვერ მოგახსენებთ, აი, „არმაზის“ გასახდელში კი ნამატჩევს „ვიტ ჯორჯია“ ისე ხარობდა...

ვერმოგების მიუხედავად ვიტელებს ნაღდად ჰქონდათ სიხარულის მიზეზი — თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მათ კარში პენალტი დაინიშნა, გოლი და დამარცხება თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ მიხეილ მუჯრიშვილმა გიორგი დეკანოსიძის დარტყმა მოიგერია და გუნდს ქულა გადაურჩინა.

პენალტამდე მთელი თამაში იყო, რომლის პირველი ტაიმიც არაფრად ვარგოდა. „ვიტ ჯორჯია“ და „ამერი“ იბრძოდნენ, ჯაჯგურობდნენ, მაგრამ ეს ბრძოლა მოედნის შუაგულში იყო, სახიფათო მომენტებამდე კი საქმე არ მიდიოდა. ერთადერთი საპირველტაიმო ეპიზოდი, რომელიც ხსენების ღირსია, 45-ე წუთზე შეიქმნა — გიორგი დეკანოსიძემ ჯარიმა დაარტყა და ბურთი ძელს მოახვედრა.

შესვენების მერე, ოთხ წუთში, მასპინძლებს ერთი კარგი მომენტი ჰქონდათ, როცა ზაზა სახოკია ფლანგიდან სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა, ოღონდ ბურთი სულ ოდნავ ააცილა კარს.

მალე მოპირდაპირე კარში შეიძლებოდა გასულიყო გოლი. ვიტელმა მცველებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, დავით სევასტოპულომ მათ ბურთი აწაპნა, სულიკო დავითაშვილს გადააწოდა, მან კი ალექსანდრე კაიდარაშვილს დაუგორა, რომლის სახიფათო დარტყმულს მცველმა ბოლო წამს ფეხი დაუხვედრა.

აქედან მოყოლებული „ამერის“ უპირატესობა ნელ-ნელა შესამჩნევი გახდა. რამდენიმე კარგი მომენტი სევასტოპულოს ჰქონდა. ჯერ იყო და, საჯარიმოში შეჭრილი მცველთან ჭიდილში წაიქცა თუ წააქციეს — მსაჯმა გურამ ასკაროღლიმ ჩათვალა, რომ წაიქცა, რაც ამერელებს არ მოეწონათ, ვიტელებმა კი არბიტრის გადაწყვეტილება მოუწონეს. მერე ისევ სევასტოპულო დარჩა ბურთით მეკარის ბაქნის სიახლოვეს, მაგრამ დარტყმა დაუგვიანდა და მომენტი დაიკარგა. დავითაშვილს მუჯრიშვილი ჩაუვარდა ფეხებში და კარი გოლისგან იხსნა. სევასტოპულოს მორიგი გარღვევისას მუჯრიშვილმა თავდამსხმელი წააქცია, მსაჯმა პენალტი დანიშნა, რამაც ამჯერად ამერელები გაახარა, ვიტელები კი დაალონა. დარტყმა დეკანოსიძემ ითავა, დანარჩენი კი ზემოთ მოგახსენეთ.

მცხეთა. 31 ოქტომბერი. 14 საათი. არმაზი. 100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 0:0 ამერი**

*დეკანოსიძემ ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)*

**ვიტ ჯორჯია-მცხეთა:** მუჯრიშვილი, აბშილავა, გ. დათუნაიშვილი, სახოკია, გ. მელქაძე (ჭანტურია 72), ლ. ჯაფარიძე, ლომაია, ებანოიძე (ნათიძე 61), ქუხილავა, ლ. მანწკავა, მალიჩავა
**მწვრთნელი:** მიხეილ კალმახელიძე

**ამერი:** ნაჭყეპია, კედელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, მჭედლიშვლი (სამსიანი 55), კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, სევასტოპულო, ხვადაგიანი, სილაგავა
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** დეკანოსიძე (23), მანწკავა (43), ელბაქიძე (72), ქუხილავა (90)

**მსაჯები:** გ. ასკაროღლი; მ. ელიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; ლ. ფანიაშვილი

# ზოგჯერ ემოციებიც მეტრობით იზომება



მიხეილ მუჯრიშვილმა „ვიტ ჯორჯიას“ ქულა გადაურჩინა

**საგარეჯო 0:1 ლოკომოტივი 2**

**მალაროელი 0:3 ივერია**

**მერანი 2:2 ბორჯომი**

**გურია 1:0 ცხინვალი**

**ჩიხურა 0:1 სპარტაკი**

**რუსთავი 2:0 ოლიმპი**

**დინამო 2 0:2 კახეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 11 | 9 | 1 | 1 | 31:12 | 28 |
| სპარტაკი | 11 | 7 | 4 | 0 | 18:8 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 2 | 2 | 20:6 | 23 |
| ამერი | 11 | 7 | 1 | 3 | 31:7 | 22 |
| კახეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:17 | 22 |
| დინამო 2 | 11 | 5 | 1 | 5 | 21:20 | 16 |
| ცხინვალი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 15 |
| ჩიხურა | 11 | 4 | 2 | 5 | 9:12 | 14 |
| მერანი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:17 | 13 |
| ივერია | 10 | 3 | 4 | 3 | 10:12 | 13 |
| ლოკომოტივი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:18 | 12 |
| გურია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| რუსთავი | 11 | 3 | 1 | 7 | 15:20 | 10 |
| ოლიმპი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | 9 |
| საგარეჯო | 11 | 1 | 2 | 8 | 9:30 | 5 |
| მალაროელი | 11 | 0 | 3 | 8 | 3:27 | 3 |


ფეხბურთი

ფკ ამერის სკოლა
საქართველოს თასი
3 ნოემბერი
1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი
ამერი — სიონი
თბილისი ბოლნისი
დასაწყისი 14 საათზე. დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www. fcameri.ge



პორტსმუთი — მანჩესტერი. მასპინძლები კაპიტანმა დევიდ ანსუორთმა პენალტით დააწინაურა

# საშინელი იმედგაცრუება

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XI ტური

**არსენალი 2:2 საუთჰემპტონი**

1:0 ანრი (67), 1:1, 1:2 დელაპი (80, 85), 2:2 ვან პერსი (90)
არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, სიგანი, კ. ტურე, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ვან პერსი 83), ედუ (ფაბრეგასი 65), ვიეირა, რეიესი (პირესი 61), ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
საუთჰემპტონი: ნიემი, ლუნდეკვამი, იაკობსონი, ჰიგინბოთემი, ტელფერი, ა. სვენსონი (პრატონი 85), დელაპი, ნილსონი, კენტონი, ორმეროდი (ნ. მაკკანი 75), ბლეკსტოკი (ბესტი 90)
მწვრთნელი: სტივ უიგლი
გაფრთხილება: ვიეირა, ტელფერი, კენტონი, ორმეროდი, მაკკანი
მსაჯი: მესიასი
38 141 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:4 ჩელსი**

0:1 გალასი (45), 0:2 გუდიონსენი (51), 1:2 გერა (56), 1:3 დაფი (59), 1:4 ლამპარდი (81)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, შიმეკა, გაარდსო, დ. მური, პ. რობინსონი, გერა, ენდი ჯონსონი, კლემენტი (კუმასი 64), ჯ. გრინინგი (ლ. დაიერი 80), ერნშოუ (დობი 56), კანუ
მწვრთნელი: ფრენკ ბაროუზი
ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, ბრიჯი (რ. კარვალიუ 46), სმერტინი, მაკელელე, ლამპარდი (ტიაგუ 83), ჯ. კოული (რობენი 46), გუდიონსენი, დაფი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: რობინსონი
მსაჯი: ნაითი
27 399 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:0 მანჩესტერ იუნ.**

1:0 ანსუორთი (53პ), 2:0 აიეგბენი (72)
პორტსმუთი: ჰისლოპი, პრიმუსი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი, ქუოში, ფეიე, ბერგერი (მეზაგი 46), ლუა ლუა, დ. კამარა (ფულერი 32), აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მანჩესტერ იუნ: კეროლი, გ. ნევილი (ვ. ბრაუნი 80), რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, ფ. ნევილი (როი კინი 65), სქოულზი, გიგზი, რუნი, ა. სმიტი (საა 65)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რუნი, ფერდინანდი
მსაჯი: ბერი
20 190 მაყურებელი

**ბლექბერნი 2:2 ლივერპული**

0:1 რიისე (7), 1:1 ბოტროიდი (16), 2:1 ემერტონი (45), 2:2 ბაროში (54)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, ნ. იოჰანსონი, მაკიველი, რიდი, თუგაი, ბ. ფერგიუსონი, ემერტონი, დიკოვი, ბოტროიდი (სტიდი 65)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ფინანი (კიუელი 55), ჰამანი (ს. დიაო 81), ხაბი ალონსო, რიისე, ჯ. სისე (ლუის გარსია 36), ბაროში
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: თუგაი, სტიდი, ხოსემი
მსაჯი: სტაილზი
26 314 მაყურებელი

**ევერტონი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 ჰენდრი (26), 1:1 ბენტი (33)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ვეირი, პისტონე, ს. უოტსონი (დ. ფერგიუსონი 66), გრავესენი, ჩეჰილი, ოსმანი (მაკფადენი 84), კილბეინი, მ. ბენტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დილანი (რიდგუელი 58), ჯ. სამუელი, ჰენდრი, გ. მაკკანი, ჰიცლშპერგერი (სტივენ დევისი 60), სოლანო (უიტინგემი 77), ჯ. კოული, პ. ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ჩეჰილი, ჰენდრი
მსაჯი: დანი
37 816 მაყურებელი

**ფულემი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 ბოა მორტე (33), 2:0 კოული (61)
ფულემი: კროსლი, ვოლცი, ნაითი, რემანი, ბოკანეგრა, მალბრანკი, პ. ბ. დიოპი, პემბრიჯი, ბოა მორტე, ენდი კოული, კ. ჯონი (რაძინსკი 70)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო, ნაიბეტი, კინგი, ბუნიევჩევიჩი, მ. ბრაუნი (შ. დევისი 41), საიმონ დევისი (კარიკი 83), პ. მენდეში, ციგლერი (კანუტი 67), დეფო, რობი კინი
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
გაფრთხილება: ბუნიევჩევიჩი
მსაჯი: ვაილი
21 317 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:1 კრ. პალასი**

0:1 ენდრიუ ჯონსონი (41)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კანინგემი (კლეპამი 82), მელხიოტი, აპსონი, ჯ. გრეი, გრონკიაერი, დ. ჯონსონი (კლემენსი 85), ლაზარიდისი (ანდერტონი 60), სევიჯი, ჰესკი, იორკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
კრისტალ პალასი: კირალი, ბოისი, გრენვილი, ჰალი, პოპოვიჩი (სორონდო 47), მ. ჰიუზი (დერი 90), რიიჰილაჰტი, ბ. უოტსონი, ენდრიუ ჯონსონი, კოლკა (ფრიდმანი 88), რუტლეჯი
მწვრთნელი: იან დოუვი
გაფრთხილება: აპსონი, რიიჰილაჰტი
მსაჯი: გალაჰერი
28 916 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:2 მიდლსბრო**

0:1 ელ კარკური (21ს.კ.), 1:1 იოჰანსონი (46), 1:2 ზენდენი (58)
ჩარლტონი: კაილი, იანგი, პერი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, კიშიშევი (მერფი 66), ჰოლანდი, იუელი, ტომა (კონჩესკი 82), ბარტლეტი (ლისბი 66), ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მიდლსბრო: შვარცერი, მაკმაჰონი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ, პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი, დოუნინგი (დორივა 75), ჰასელბაინკი, ვიდუკა (ჟობი 79)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ელ კარკური, მერფი, პერი
მსაჯი: ჰალსი
26 031 მაყურებელი

**ბოლტონი 2:1 ნიუკასლი**

1:0 დიუფი (52), 1:1 ამბროზი (55), 2:1 დევისი (70)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ჯაიდი (იერო 55), ნგოტი, რ. გარდნერი, იანაკოპულოსი (პედერსენი 62), ნოლანი, ოკოჩა, სპიდი, კ. დევისი, დიუფი (ბერნესი 84)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ნიუკასლი: გივენი, კარი (ბერნარი 77), რ. ელიოტი, ა. ჰიუზი, ე. ობრაიენი, ამბროზი (ამეობი 72), ბოიერი, ბატი, ბელამი, შირერი, კლუივერტი (რობერი 66)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: დიუფი, რობერი
მსაჯი: პოლი
27 196 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი — ნორვიჩი**

*დღეს გაიმართება*

**ამ უქმეებზე** ისე კინაღამ მოხდა, რომ ცოტა გაწყდა, „არსენალმა“ „ჩელსის“ არ გადაულოცა ლიდერობა. მცირე გოლიანობაში მხილებული „ჩელსი“ მეორე ტურია, 4 გოლით ტოვებს მოედანს და ამჯერად, ვესტ ბრომვიჩში, სადაც მასპინძელთაგან საუცხოო იყო ზოლტონ გერა, სტუმრები მეორე ტაიმში შეუკავებლები გამოდგნენ.

ჟოზე მაურინიუმ თავისებურად დათვალა ქულები: „სტატისტიკით ინგლისში ყველაზე მეტი ქულა გვაქვს: ჩემპიონატში, თასზე და ევროპაში, 15 თამაშიდან 12 მოგება“.

თუმცა, ამგვარმა დათვლამ მაინც ვერ მოაქცია ცხრილის სათავეში „ჩელსი“, რასაც „არსენალი“ თავის ახალბედას, რობინ ვან პერსის უნდა უმადლოდეს, რომელმაც ბოლო წამებზე გამოგლიჯა ქულა „საუთჰემპტონს“, თავის მხრივ ერთხელაც რომ ვერ მოეგო. „მეთოფეებს“, ცხადია, დაღი დაასვა გასული კვირის დიდმა მატჩმა „მანჩესტერთან“. თუმცა, მაინც იგებდა ტიერი ანრის გოლით, რომელმაც მანამდე ძელს ჰკრა პენალტი. ძელს სამხრეთელებმაც მოარტყეს, თუმცა მერე რორი დელაპმა თავური სამიზნე მოარგო მასპინძელთა კარს და დუბლი აასრულა. ვან პერსის შეშლილი ცხრიანი რომ არა, „მეთოფენი“ ზედიზედი წაგების წინ იდგნენ, ჰოლანდიელისთვის კი ეს პირველი პრემიერლიგური გოლი იყო.

არსენ ვენგერს თავი მაინც უტეხად ეჭირა: „ვან პერსის გოლი ჩვენთვის გარდამტეხი იყო. ყოველგვარ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე ლაპარაკი სისულელეა“.

„მანჩესტერმა“ კი წააგო პორტსმუთში: დევიდ ანსუორთის ზუსტი პენალტი და იაკუბუ აიგბენის სეზონში მეექვსე გოლი, თანაც მშრალად შენახული კარი — აი, ბრძენ ჰარი რედნაპის მონაგარი სერ ალექსთან ჭიდილში. სერმა კი თქვა: „ეს სრულიად ანგრევს იმას, რაც „არსენალთან“ მოვიპოვეთ. საშინელი იმედგაცრუებაა, საშინელი. იმ ხარისხისთვის, რაც ვაჩვენეთ, მეტი გვეკუთვნოდა. პორტსმუთი ისედაც ძნელი ადგილია სათამაშოდ. ამ წუთში მე ცხრილის ლიდერობა არ მაინტერესებს. მე უბრალოდ ვიცი, რომ იქამდე უნდა მივიდე, ამ შედეგმა კი ხელი შემიშალა.“

„ევერტონის“ სამმოგებიანი სერია კი „ასტონ ვილამ“ გააჩერა, თანაც ისე, რომ „ვილა“ იგებდა ლი ჰენდრის საუცხოო გოლით და მერე კი „ევერტონი“ ისე უტევდა, როგორც იცის ხოლმე „გუდისონ პარკზე“, ძვლებისა და კოჭების მსხვრევით. აქედან კი მარკუს ბენტის ერთადერთი გოლი გამოდგა.

ფრე იყო „ბლექბერნ“ — „ლივერპულის“ თამაშიაც, რამაც ბოლოო ადგილზე [illegible] „ტოტენჰემი“ კი კვლავ ძველ გზას დაადგა: [illegible] ამჯერად „ფულემთან“, მატჩის გმირები კი ლუიშ ბოამორტე და ენდი კოული იყვნენ. „ფულემის“ ფანებმა კი გულიანად უსტვინეს მათი გუნდიდან „ტოტენჰემში“ გადაბარგებულ შონ დევისს, კლუბის აკადემიის აღზრდილს.

ჟაკ სანტინიმ თავი იმართლა: „ახალშექმნილი, ახალი გუნდი ვართ. თანაც, ბევრი ტრავმირებული გვყავს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 11 | 8 | 2 | 1 | 31:12 | 19 | 26 | 6 | 4 | 2 | 0 | 19:8 | 11 | 14 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 12 |
| 2 ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 16:3 | 13 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:2 | 6 | 13 |
| 3 ევერტონი | 11 | 7 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 23 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 13 |
| 4 ბოლტონი | 11 | 6 | 3 | 2 | 18:13 | 5 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 6 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 7 |
| 5 მიდლსბრო | 11 | 5 | 3 | 3 | 19:14 | 5 | 18 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 10 |
| 6 ლივერპული | 10 | 5 | 2 | 3 | 18:10 | 8 | 17 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | -1 | 5 |
| 7 მანჩესტერი | 11 | 4 | 5 | 2 | 11:9 | 2 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 |
| 8 ნიუკასლი | 11 | 4 | 4 | 3 | 22:19 | 3 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 5 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 10:12 | -2 | 6 |
| 9 პორტსმუთი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 13 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 10 ასტონ ვილა | 11 | 3 | 6 | 2 | 14:13 | 1 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:10 | -5 | 4 |
| 11 ტოტენჰემი | 11 | 3 | 4 | 4 | 6:8 | -2 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 8 |
| 12 ჩარლტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:19 | -9 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 11 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | -13 | 1 |
| 13 სიტი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:11 | 1 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 3 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 14 კრ. პალასი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:15 | -3 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 0 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 5 |
| 15 ფულემი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | -7 | 11 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 2 |
| 16 ბირმინგემი | 11 | 1 | 6 | 4 | 7:10 | -3 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 11 | 1 | 5 | 5 | 9:20 | -11 | 8 | 6 | 1 | 4 | 1 | 6:8 | -2 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | -9 | 1 |
| 18 საუთჰემპტონი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:14 | -6 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | -5 | 2 |
| 19 ბლექბერნი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:24 | -15 | 7 | 6 | 1 | 4 | 1 | 7:10 | -3 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:14 | -12 | 0 |
| 20 ნორვიჩი | 10 | 0 | 6 | 4 | 9:17 | -8 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 3 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | -4 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 9 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 8 |
| რეიესი (არსენალი) | 6 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 6 |
| პირესი (არსენალი) | 6 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 6 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 6 |

### XII ტური

6-7 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | პორტსმუთი |
| ტოტენჰემი | : | ჩარლტონი |
| ჩელსი | : | ევერტონი |
| კრ. პალასი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | ბირმინგემი |
| ნიუკასლი | : | ფულემი |
| ნორვიჩი | : | ბლექბერნი |
| საუთჰემპტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| მიდლსბრო | : | ბოლტონი |
| მანჩესტერი | : | სიტი |

### ჩემპიონატი. XVI ტური

**კარდიფი 0:0 ლესტერი**

**ქოვენთრი 3:2 რედინგი**

0:1 ოვუსუ (11), 1:1 ჯონი (14პ), 2:1 მორელი (51), 3:1 ჯონსონი (66), 3:2 კიტსონი (71)

**დერბი ქაუნთი 3:2 როტერჰემი**

0:1 სვეილზი (8), 0:2 სკოტი (34), 1:2 რასიაკი (39), 2:2 პეშისოლიდო (58), 3:2 ვენსანი (66)

**ჯილინგემი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 ჟერვისი (18)

**იფსვიჩი 3:0 პრესტონი**

1:0 კუქი (44), 2:0 მილერი (45), 3:0 დ. ბენტი (72)

**ნოტინგემი 1:2 უოტფორდი**

0:1, 0:2 ჰელგუსონი (20, 27), 1:2 რიდი (45)

**პლიმუთი 1:1 ვესტ ჰემი**

0:1 ლომასი (43), 1:1 უოტონი (76)

**ქუინზ პარკი 3:0 ბარნლი**

1:0 გალენი (13პ), 2:0 სანტოსი (16), 3:0 ფურლონგი (24)

**სტოკი 1:0 მილუოლი**

1:0 გრენაკი (86)

**სანდერლენდი 2:0 ბრაიტონი**

1:0 არკა (64), 2:0 ლოურენსი (82პ)

**ქრიუ 2:3 შეფილდ იუნ.**

0:1 ჰარლი (5), 0:2 გრეი (10), 0:3 კადამარტერი (12), 1:3 ფოსტერი (24), 2:3 ტირლველი (90ს.კ.)

**ლიდსი 0:2 უიგანი**

0:1 მაჰონი (46), 0:2 ბულარდი (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 16 | 10 | 6 | 0 | 34:11 | 36 |
| იფსვიჩი | 16 | 8 | 6 | 2 | 31:20 | 30 |
| რედინგი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:13 | 30 |
| ქუინზ პარკი | 16 | 9 | 2 | 5 | 26:20 | 29 |
| სანდერლენდი | 16 | 8 | 4 | 4 | 22:12 | 28 |
| ვესტ ჰემი | 16 | 8 | 4 | 4 | 20:15 | 28 |
| შეფილდი | 16 | 7 | 5 | 4 | 20:18 | 26 |
| სტოკი | 16 | 6 | 6 | 4 | 14:14 | 24 |
| უოტფორდი | 15 | 6 | 5 | 4 | 21:15 | 23 |
| დერბი ქაუნთი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:22 | 22 |
| მილუოლი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:13 | 21 |
| პლიმუთი | 16 | 6 | 3 | 7 | 21:22 | 21 |
| პრესტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:22 | 21 |
| ლესტერი | 16 | 4 | 8 | 4 | 17:16 | 20 |
| ბრაიტონი | 16 | 5 | 4 | 7 | 14:21 | 19 |
| ლიდსი | 15 | 4 | 6 | 5 | 11:12 | 18 |
| ბარნლი | 16 | 3 | 9 | 4 | 13:15 | 18 |
| ქოვენთრი | 16 | 4 | 6 | 6 | 22:27 | 18 |
| ვულვზი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:19 | 17 |
| კარდიფი | 16 | 3 | 6 | 7 | 14:21 | 15 |
| ქრიუ | 15 | 4 | 3 | 8 | 25:34 | 15 |
| ნოტინგემი | 16 | 2 | 7 | 7 | 15:23 | 13 |
| ჯილინგემი | 16 | 4 | 1 | 11 | 15:30 | 13 |
| როტერჰემი | 16 | 0 | 5 | 11 | 7:23 | 5 |

### პირველი ლიგა. XVI ტური

ბლეკპული — ჰადერსფილდი 1:1; ბორნმუთი — ბარნსლი 1:3; ბრისტოლი — კოლჩესტერი 0:0; დონკასტერი — პიტერბრო 2:1; ჰარტლპული — პორტ ვეილი 1:0; ლუტონი — ბრედფორდი 4:0; დონსი — უოლსოლი 1:1; შეფილდ უენსდი — ჩესტერფილდი 2:2; სტოკპორტი — ოლდემი 1:2; სუინდონი — ტორკი 3:3; ტრანმერი — ბრენტფორდი 1:0; რექსემი — ჰალი 2:2

### მეორე ლიგა. XVI ტური

ბოსტონი — როვერსი 2:2; კემბრიჯი — ლინკოლნი 0:1; დარლინგტონი — უიკომბი 1:0; გრიმსბი — სუონსი 1:1; კიდერმინსტერი — შრიუსბერი 0:1; ლეიტონი — სკანთორპი 1:1; მენსფილდი — ბერი 0:0; ოქსფორდი — ჩელტენემი 1:0; როჩდეილი — მაკლსფილდი 3:0; რაშდენი — ნოტსი 5:1; საუთენდი — ნორთჰემპტონი 2:1; იოვილი — ჩესტერი 4:1

# შალკემ ოფენბახი გაიმეორა

## გერმანია

ბუნდესლიგა. XI ტური

### შალკე 3:2 შტუტგარტი

1:0 აილტონი (1), 2:0 კობიაშვილი (2), 3:0 ლინკოლნი (25), 3:1 სოლდო (30), 3:2 საბიჩი (33)
შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, კ. პოულსენი, კობიაშვილი, ლინკოლნი (ჰამიტ ალტინტოპი 90), ასამოა, სანდი, აილტონი (გ. ვარელა 67)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, დელპიერი, ბაბელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში (გომესი 73), ტიფერტი (სენტურიონი 81), ა. გლები, კაკაუ, საბიჩი (კურანი 46)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: პოულსენი, ლინკოლნი, ვარელა, გლები, კურანი
მსაჯი: ვაკი
61 524 მაყურებელი

### ფრაიბურგი 1:3 ჰერტა

1:0 კაირო (25), 1:1 რაფაელი (36), 1:2 ჟილბერტო (50), 1:3 ფრიდრიხი (63)
*მარსელინიომ ვერ გაიტანა პენალტი (62, მეკარე)*
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, შუმანი, ვილი, ს. რიტერი, კრუპკე, ანტარი, კაირო, ს. კულიბალი, სანუ, იაშვილი (დორნი 63)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, ვან ბურიკი, ფატი, ნ. კოვაჩი, ბაშთურქი (ბობიჩი 84), კ. მიულერი (ო. შრიოდერი 69), მარსელინიო, ჟილბერტო, რაფაელი (ვიშნიარეკი 90)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: იაშვილი, კაირო, შუმანი, კულიბალი, კოვაჩი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, მარსელინიო, შრიოდერი
გაძევება: მადლუნგი (80)
მსაჯი: შტარკი
23 000 მაყურებელი

### მიონხენგლადბახი 2:0 ბაიერნი

1:0 პლეტჩი (49), 2:0 ვან ჰუტი (83)
მიონხენგლადბახი: კამპა, კორჟინეცი, პლეტჩი, ვან კერკჰოვენი, ციგე, გაედე, ულიხი, კლუგე (ვან ჰუტი 78), ჰაინცი (ბროიხი 67), სვერკოში (შლაუდრაფი 85), ნოივილი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
ბაიერნი: კანი, გიორლიცი (ფრინგსი 68), ლუსიო, რ. კოვაჩი, რაუ (თ. ლინკე 58), სანიოლი, ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო (შვაინსტაიგერი 46), მაკაი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ციგე, კორჟინეცი, რაუ, ლინკე
გაძევება: ლუსიო (54)
მსაჯი: კირხერი
53 466 მაყურებელი

### დორტმუნდი 1:0 ლევერკუზენი

1:0 ევერტონი (41)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბერგდოლმო, ბრჟენსკა, ვიორნსი, ნ. იენსენი, კრინგე, კელი, დედე, როსიცკი, ევერტონი (სენესიე 82), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტჩი, ჟუანი, ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი (ჯონსი 61; ოზტიურკი 76), ბაბიჩი, ბ. შნაიდერი, ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 61)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კოლერი, შნაიდერი, ბალიტჩი, პლასენტე, რამელო
გაძევება: ნოვოტნი (90)
მსაჯი: ფანდელი
78 000 მაყურებელი



მიონხენგლადბახი — ბაიერნი. ენრიკო გაედე მიუნხენელებს გაედო

### ვერდერი 1:1 ჰამბურგი

0:1 იაროლიმი (22), 1:1 შულცი (74)
ვერდერი: რაინკე, უმითი (პასანენი 72), ისმაელი, ფ. ბაუმანი, სტალტერი, დ. იენსენი (ნ. ვალდესი 60), შულცი, ფ. ერნსტი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი, იაროლიმი (მაჰდავიკია 72), ვიკი, ბაინლიხი (რანი 81), ბარბარესი, ე. მპენზა, ტაკაჰარა (ბენჟამინი 61)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: კლასნიჩი, ბულარუზი, შლიკე, ბაინლიხი, ბარბარესი, ვიკი
მსაჯი: მერკი
43 000 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 4:3 მაინცი

0:1 აბელი (15), 0:2 კეისი (17), 1:2, 2:2, 3:2, 4:2 პეტროვი (45პ, 45, 57პ, 62), 4:3 ბაბაცი (75)
ვოლფსბურგი: იენჩი, კარჰანი, კიროგა, ჰოფლანდი, ვაიზერი, ტიამი (შარპეი 90), შნოორი, დალესანდრო, ბრდარიჩი, კლიმოვიჩი (მენსეგეში 39), მ. პეტროვი (ტოპიჩი 80)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მაინცი: ვახე, აბელი (ვაიგელტი 46), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ფ. გერბერი, აზაუაგი (კრამნი 21), დ. ვაილანდი, და სილვა, აუერი (ბაბაცი 59), კეისი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: შნოორი, პეტროვი, აბელი, ვახე
გაძევება: კრამნი (57)
მსაჯი: იანსენი
24 951 მაყურებელი

### ჰანოვერი 3:0 ბოხუმი

1:0 კრისტიანსენი (16), 2:0 შტენდელი (64), 3:0 ლეანდრო (88)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი, შრიოტერი (სტაინერი 60), თ. კრისტიანსენი (ლეანდრო 86), შტენდელი (ვალნერი 90)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, მალტრიცი, მაიხელბეკი, პ. ბიონიგი, ცდებელი, პროისი, მისიმოვიჩი (ბეკმანი 46), ვოში (ტროიანი 77), ლოკვენცი (ტ. გუდიონსონი 86), პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ცდებელი
მსაჯი: ვაგნერი
28 114 მაყურებელი

### ჰანზა 0:2 ნიურნბერგი

0:1, 0:2 შროტი (56, 59)
ჰანზა: შობერი, მიორლე, ლაპაჩინსკი (მეგლე 72), კ. მადსენი, რიდლევიჩი, ლანცი, პერსონი, თ. რასმუსენი, დი სალვო, ოლბოკი (ბირანი 72), არვიდსონი
მწვრთნელი: იური შლიუნცი
ნიურნბერგი: შეფერი, დ. რაინჰარდტი (ლეანდრო სილვა 80), კანტალუპი, ნიკლი, ლ. მიულერი, ლარსენი, ბანოვიჩი, მინტალი, ს. მიულერი, ვიტეკი (სლოვაკი 90), შროტი (კესლინგი 87)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ლაპაჩინსკი, პერსონი, კანტალუპი, ვიტეკი
მსაჯი: გაგელმანი
16 300 მაყურებელი



ჰორსტ კოეპელის დებიუტი ხმაურიანი გამოდგა

### კაიზერსლაუტერნი 2:1 არმინია

0:1 ბაკლი (79), 1:1, 2:1 ტებერი (79, 90)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი (ჰალილ ალტინტოპი 73), ლემბი, კოსოვსკი, რიდლი, ზანდი (ტებერი 73), ჰერჩი, ენგელარდტი, ჩატო, ამანატიდისი (ვენცელი 90), იანკერი
მწვრთნელი: კურტ იარა
არმინია: ჰაინი, კაუფი, ლანგკამპი, გაბრიელი, შულერი, კ. დურო (ლენსე 55), დამაიერი, ოვომოიელა, შკელა, ბაკლი, ფ. ვატა (რადუჩანუ 86)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: ჰერჩი, დურო, ვატა, იანკერი
მსაჯი: ბრიხი
33 000 მაყურებელი

მიჯრით მეხუთე მატჩის მოგებამ გელზენკირხენის „შალკე" მეორე ადგილზე გადაისროლა. რალფ რანგნიკის ხელქვეით „ხუმარები" უძლეველებად იქცნენ. „შალკემ" წუთსა და 39 წამში გაუტანა ორი გოლი „შტუტგარტს", რომელმაც აგერ უკვე ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო. წუთი და 39 წამი ბუნდესლიგის რეკორდის გამეორებაა. ასე სწრაფად ორი გოლის შეგდება მეტოქის კარში „ოფენბახმა" 1974 წელს მოახერხა. ანგარიში აილტონმა გახსნა, მეორე კი ლევან კობიაშვილმა მიაყოლა. ლინკოლნმა სტუმრები მესამედ დაამწუხრა, თუმც „შტუტგარტი" უმალ მოეგო გონს და სამწუთიან მონაკვეთში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა.

„ვოლფსბურგმა" და „მაინცმა" მაყურებელი ლაღი ფეხბურთით ასიამოვნეს. „მგლებმა" 0:2-ის გაბათილება და მატჩის მოგება შეძლეს, შედეგად კი კვლავ ცხრილის თავში დარჩნენ. ამ შეხვედრის გმირი ბულგარელი ფორვარდი მარტინ პეტროვი გახდა, რადგან პოკერი შეასრულა. „ჟენევის „სერვეტში" თამაშისას სამი გოლი გამიტანია, მაგრამ ოთხი პირველად მოვახერხე" — ხარობდა ბულგარელი ფორვარდი . „გუნდმა დაამტკიცა, რომ პირველი ადგილის ღირსია" — აღნიშნა „მგლების" ბელგიელმა თავკაცმა ერიკ გერეტსმა.

„მაინცი" ტაიმის შუაში ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა, მაგრამ შესვენებამდე წუთით ადრე პეტროვმა პენალტით ერთი გაქვითა, მერე კი უმალ მეორე მიაყოლა. მეორე ნახევარში სტუმარი იურგენ კრამნი ხელით თამაშისთვის გააძევეს, „მაინცის" კარში კი მეორე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნეს. პეტროვმა ესეც გაიტანა და მერე კაცნაკლულ მეტოქეს მეოთხეც მიართვა. შეცვლაზე შესულმა კრისტოფ ბაბატცმა მოხდენილი საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა, თუმც „მაინცმა" მეტი ველარ გაქაჩა.

მიუნხენის „ბაიერნს" მიონხენგლადბახში „ბორუსია-პარკის" 1998 წლის დეკემბრის შემდეგ არ მოუგია და ეს ტრადიცია ამჯერადაც არ დარღვეულა. [illegible] პლეტჩმა და იორის ვან ჰუტმა „ბაიერნს" მეორე ტაიმში თითო გოლი გაუტანეს, ხოლო ლუსიო მეტოქისთვის უკნიდან ფეხის ჩარტყმის გამო გააძევეს.

დორტმუნდის „ბორუსიამ" ნავსი გატეხა და პირველ საშინაო მატჩში იმარჯვა. ევერტონმა სეზონში მეშვიდე გოლი მიითვალა, „ლევერკუზენის" კაპიტანი იენს ნოვოტნი კი ბოლო წუთზე გააძევეს.

„ფრაიბურგი" „ჰერტასთან" მატჩში კაიროს გოლით დაწინაურდა, თუმცა ბერლინელმა რაფაელმა შესვენებამდე გაათანაბრა. ჟილბერტომ მეორე გაუტანა მასპინძლებს, ხოლო მარსელინიოს პენალტი გოლცმა მოიგერია. მიუხედავად ამისა, ალებული პენალტიდან ერთ წუთში ფრეიდრიხმა გოლცის დამწუხრება მაინც შეძლო. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე სტუმარი ალექსანდრ მადლუნგი გააძევეს, თუმც ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ნოივილი (მიონხენგლადბახი) | 8 |
| კლოზე (ვერდერი) | 7 |
| ბაკლი (არმინია) | 7 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 6 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 6 |
| მინტალი (ნიურნბერგი) | 6 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 6 |

XII ტური

6-7 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| მაინცი | : | გლადბახი |
| ბაიერნი | : | ჰანოვერი |
| ბოხუმი | : | ლაუტერნი |
| არმინია | : | დორტმუნდი |
| ლევერკუზენი | : | ფრაიბურგი |
| ჰერტა | : | ვერდერი |
| ჰამბურგი | : | შალკე |
| შტუტგარტი | : | ჰანზა |
| ნიურნბერგი | : | ვოლფსბურგი |

## II ბუნდესლიგა

XI ტური

### ალენი 2:2 კარლსრუე

0:1 მენერი (22), 0:2 დანდი (25), 1:2 ფენგლერი (45), 2:2 პაულინიუ (46)

### ფიურტი 0:1 კიოლნი

0:1 შერცი (69)

### უნტერჰახინგი 2:0 აინტრახტი

1:0, 2:0 კოპადო (16პ, 53)

### ალემანია 2:1 ობერჰაუზენი

1:0 ბლანკი (9), 2:0 მიხალკე (22), 2:1 რიტპიჩი (74)

### ტრირი 2:1 კოტბუსი

1:0 მ. კელერი (37), 1:1 ბაუმგარტი (39), 2:1 მ. კელერი (75)

### აუე 2:0 ბურგჰაუზენი

1:0 კოში (60), 2:0 ჰელბიგი (90)

### ერფურტი 0:0 დუისბურგი

### ესენი 2:0 ზაარბრიუკენი

1:0 კიოიო (33), 2:0 დიმაში (52)

### მიუნხენი — დინამო

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 11 | 7 | 2 | 2 | 13:6 | 23 |
| კიოლნი | 11 | 7 | 2 | 2 | 19:14 | 23 |
| დუისბურგი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:12 | 22 |
| ალემანია | 11 | 6 | 3 | 2 | 25:10 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 17 |
| უნტერჰახინგი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:16 | 16 |
| ტრირი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| ალენი | 11 | 3 | 6 | 2 | 13:11 | 15 |
| აუე | 11 | 4 | 2 | 5 | 17:14 | 14 |
| ზაარბრიუკენი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| მიუნხენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| კოტბუსი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | 13 |
| კარლსრუე | 11 | 2 | 5 | 4 | 14:17 | 11 |
| აინტრახტი | 11 | 3 | 2 | 6 | 19:23 | 11 |
| ერფურტი | 11 | 2 | 5 | 4 | 5:13 | 11 |
| ესენი | 11 | 2 | 4 | 5 | 17:23 | 10 |
| დინამო | 10 | 3 | 1 | 6 | 13:19 | 10 |
| ობერჰაუზენი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XIV ტური

ზანკტ პაული — მიუნსტერი 3:2; უნიონი — ვერდერი (მ) 2:1; კიოლნი (მ) — იურდინგენი 1:1; არმინია (მ) — ლიუბეკი 1:1; ჰამბურგი (მ) — ბრაუნშვაიგი 1:2; კილი — ჰერტა (მ) 1:2; ოსნაბრიუკი — ვოლფსბურგი (მ) 2:2; პადერბორნი — ქემნიცი 0:0. *დორტმუნდი (მ) — დიუსელდორფი ხვალ გაიმართება*

## სამხრეთ რეგიონალლიგა

XIII ტური

მიუნხენი (მ) — ვეჰენი 0:1; ელვერსბერგი — ზიგენი 1:1; ჰოფენჰაიმი — ბაიერნი (მ) 3:3; ნოტინგენი — შტუტგარტი (მ) 3:3; რეგენსბურგი — დარმშტადტი 0:1; ფიურტი — აალენი 1:3; ოფენბახი — აუგსბურგი 3:1; კაიზერსი — პფულენდორფი 2:1; მაინცი (მ) — კობლენცი 0:2

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვოლფსბურგი | 11 | 8 | 0 | 3 | 20:14 | 6 | 24 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:6 | 8 | 15 | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 9 |
| 2 შალკე | 11 | 7 | 0 | 4 | 16:15 | 1 | 21 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:10 | 3 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 6 |
| 3 შტუტგარტი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:12 | 8 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 |
| 4 ჰანოვერი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:11 | 8 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 |
| 5 ბაიერნი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:12 | 4 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 10 |
| 6 ვერდერი | 11 | 6 | 1 | 4 | 23:13 | 10 | 19 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 9 |
| 7 მაინცი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:17 | 3 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 5 |
| 8 ლევერკუზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:17 | 0 | 15 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:6 | 8 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | -8 | 2 |
| 9 ჰერტა | 11 | 3 | 5 | 3 | 13:10 | 3 | 14 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 2 | 8 |
| 10 არმინია | 11 | 4 | 2 | 5 | 11:12 | -1 | 14 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 9 |
| 11 დორტმუნდი | 11 | 3 | 5 | 3 | 14:16 | -2 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 6 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 8 |
| 12 ნიურნბერგი | 11 | 3 | 4 | 4 | 18:18 | 0 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 13:13 | 0 | 8 |
| 13 ჰამბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:18 | -3 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 4 |
| 14 გლადბახი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:17 | -2 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 3 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 2 |
| 15 ბოხუმი | 11 | 2 | 4 | 5 | 15:22 | -7 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | -6 | 5 |
| 16 ლაუტერნი | 11 | 3 | 1 | 7 | 13:21 | -8 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 3 |
| 17 ფრაიბურგი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:19 | -9 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | -1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | -8 | 4 |
| 18 ჰანზა | 11 | 2 | 2 | 7 | 10:21 | -11 | 8 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |

## იტალია

### სერია A. IX ტური

**სამპდორია 0:1 მილანი**

0:1 შევჩენკო (75)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, ფალკონე, საკეტი, დიანა (როსინი 88), ვოლპი, პალომბო, დონი (კუტუზოვი 82), ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
მილანი: დიდა, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო (პირლო 72), ამბროზინი, ზეედორფი (სერჟინიო 65), კაკა, კრესპო, ტომასონი (შევჩენკო 65)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: საკეტი, მალდინი
მსაჯი: ფარინა
30 000 მაყურებელი

**ინტერი 1:1 ლაციო**

1:0 ადრიანო (46), 1:1 ტალამონტი (83)
ინტერი: ა. ფონტანა, ზე მარია, ი. კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი (ხ. ძანეტი 25), ხ. ვერონი, კამბიასო, დავიდსი, ემრე (დ. სტანკოვიჩი 79), ადრიანო, ხ. კრუზი (რეკობა 65)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლაციო: სერენი, ოდო, ტალამონტი, ფ. კოუტუ, ო. ლოპესი (მ. დელგადო 79), დაბო, ჯანიკედა, კ. მანფრედინი, ა. ფილიპინი (სერიჩი 58), პანდევი (დე სოუზა 64), როკი
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
გაფრთხილება: დაბო, ვერონი, ლოპესი, მანფრედინი, ადრიანო, რეკობა
მსაჯი: ტრეფოლონი
67 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:0 კიევო**

1:0 ზალაიეტა (24), 2:0 ნედვედი (65), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (79)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (ტუდორი 80), ტურამი, ფ. კანავარო (ფერარა 85), პესოტო, კამორანეზი, ტაკინარდი, ბლაზი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ზალაიეტა (კაპო 63)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო (მალაგო 77), მანდელი, დანა, ს. ლანა, სემიოლი, ბრიგი, ბარონიო (ალეგრეტი 65), დ. ფრანჩესკინი, ფ. კოსატო, პელისიერი (ტირიბოკი 72)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: მორო
მსაჯი: პიერი
22 000 მაყურებელი

**რომა 5:1 კალიარი**

1:0 დელასი (2), 2:0 ტოტი (63), 2:1 სუაცო (30), 3:1 პეროტა (64), 4:1, 5:1 მონტელა (90, 90)
*ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (57, ააცილა)*
რომა: ძოტი, სარტორი, მ. ფერარი, დელასი, კუფრე, მანსინი, დე როსი (მექსეში 83), პეროტა, დაგოსტინო (აკილანი 52), ტოტი, ა. კასანო (მონტელა 46)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი, ბრამბილა (კონტი 60), ალბინო, მ. ესპოზიტო, ძოლა (ბიანკი 72), სუაცო (ლანგელა 66)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: აბეიხონი, მონტელა
მსაჯი: როზეტი
47 000 მაყურებელი

**სიენა 1:1 ბოლონია**

0:1 ჩიპრიანი (36), 1:1 კიეზა (53)
სიენა: ფორტინი, ჩირილო, არჯილი, პორტანოვა, ფალზინი (სერაფინი 78), ვერგასოლა, დი დონატო, პეკია, კიუმიენტო (ნიკოლა 74), კიეზა, გრაფიედი (კარპარელი 46)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი



REUTERS გამოცემიდან

სამპდორია — მილანი. ანდრეი შევჩენკომ ვაჟის შეძენა გოლით აღნიშნა

# შვილი პირველი, გოლი მეექვსე

ბოლონია: პალიუკა, დაინო, ჟუარესი, პეტრუჩი, სუსი, ზაგორაკისი, ლოვიზო (ლ. კოლუჩი 81), კ. ამორუზო, ბელუჩი (ნასტასე 65), ტარე, ჩიპრიანი (ლოკატელი 65)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ჟუარესი, ლოვიზო, ჩირილო, პორტანოვა
მსაჯი: პაპარესტა
8 000 მაყურებელი

**პარმა 2:2 ატალანტა**

1:0 ჯილარდინო (40), 1:1 ბუდანი (45), 2:1 ჯილარდინო (54პ), 2:2 მონტოლივო (75)
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, ბოვო, კონტინი, პოტენცა, ბოლანო, სიმპლიციო, მარკიონი, მორფეო, ბრეშიანო (როზინა 52), ჯილარდინო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ატალანტა: ტაიბი, რივალტა, სალა, ნატალი, ბელინი, მინგაცინი, ალბერტინი (დ. ძენონი 80), მარკოლინი (პაცინი 57), მონტოლივო, ლაცარი, ბუდანი (საუდატი 78)
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
გაფრთხილება: მორფეო, კონტინი
მსაჯი: დე მარკო
12 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 4:0 ლეჩე**

1:0 იორგენსენი (47), 2:0, 3:0 ობოდო (62, 71), 4:0 კიელინი (90)
ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დაინელი, კიელინი, იორგენსენი (დი ლივიო 75), მარესკა, ობოდო, არიატი (სავინი 80), ნაკატა, მიკოლი (ფანტინი 64)
მწვრთნელი: სერჯო ბუზო
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა (ერიომენკო 67), ბოჟინოვი (ოლივეირა 54), ბილანოვიჩი (ვუჩინიჩი 67), პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
მსაჯი: მორგანტი
30 478 მაყურებელი

**ლივორნო 2:1 ბრეშა**

0:1 კარაჩოლო (25), 1:1 ა. ლუკარელი (42), 2:1 დოგა (72)
ლივორნო: ამელია, მელარა (გრანდონი 50), ვარგასი, ა. ლუკარელი, რუოტოლო (პფერცელი 66), ვიჯანი (დოგა 66), პასონი, ვიდიგალი, ჯალომბარდო, პროტი, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, ძობოლი, დალამანო (ნიგაარდი 82), მანინი, ალმეიდა, გუანა (დელ ნერო 77), მილანეტო, სკული (სტანკევიჩიუსი 56), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, სკული, კარაჩოლო, ჯალომბარდო, ვარგასი, დოგა, მანინი
გაძევება: ნიგაარდი (87)
მსაჯი: აიროლდი
15 000 მაყურებელი

**მესინა 2:1 რეჯინა**

0:1 ბონაცოლი (33), 1:1 ძამპანა (65), 2:1 დი ნაპოლი (75)
მესინა: სტორარი, ძანკი, რეზაეი, არონიკა, პარიზი, დალტერიო (ილიევი 46), სულო (იანაგისავა 61), კოპოლა, ძამპანა (ნ. ამორუზო 70), დონატი, დი ნაპოლი
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
რეჯინა: პავარინი, ძამბონი, კანარზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო (დიონიჯი 86), პარედესი, ჯ. კოლუჩი (ბორიელო 75), მოცარტი, ბალესტრი, ნაკამურა (განჩი 75), ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: მესტო, ძამპანა, დონატი, ფრანჩესკინი
მსაჯი: რაკალბუტო
35 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:0 პალერმო**

1:0 მაური (59)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, პინცი, მაური (ფელიპე 86), დ. პიზარო (პაზიენცა 81), მუნტარი, იანკულოვსკი, დი მიკელე (დი ნატალე 57), ფავა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, რაიმონდი (მორონე 54), ბარონე (მ. გონსალესი 70), კორინი, მუტარელი, გროსო, გასბარონი (ბრიენძა 46), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ტონი, მუტარელი, მუნტარი, გროსო
მსაჯი: ბრიგი
18 000 მაყურებელი

და ისევ კალაძის გარეშე! „მილანმა" გენუაში „სამპდორიასთან" გაიმარჯვა, ქართველ ქომაგებს კი თავი იმით შეგვიძლია ვიმშვიდოთ, რომ კარლო ანჩელოტი კალაძეს სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ბარსელონას" წინააღმდეგ ათამაშებს.

ან თუ გნებავთ, იმით დავიმშვიდოთ თავი, რომ, როგორც წინა ტურის მატჩმა დაგვანახა, საქართველოს ნაკრების მცველი კარგ ფორმაშია და თუ ანჩელოტიც აღარ ათამაშებს, 17 ნოემბერს დანიელებთან თამაშზე ტრავმის გარეშე ჩამოგვივა.

ხოლო ვისაც სურს ერთიცა და მეორეც, თავის დამშვიდებად კი არა, თავის მოტყუებად ჩათვალოს — კალაძეს არც „ბარსელონასთან" თამაშს ანდობს ვინმე და 17 ნოემბრამდეც თამაშის გარეშე ვერ შეინარჩუნებს კარგ ფორმას.

„სამპდორიას" კარში კი შეხვედრის ერთადერთი გოლი მოედანზე ბოლო 25 წუთით შესულმა ანდრეი შევჩენკომ გაიტანა.

„უბედნიერესი ადამიანი ვარ. გუშინ ვაჟი შემეძინა. დღეს დილით კი მწვრთნელს ვუთხარი, რომ მინდოდა თამაშში მონაწილეობა და მეორე ტაიმში თუ მათამაშებდა, ძალიან კარგი იქნებოდა" — განაცხადა უკრაინელმა, რომელიც გენუაში მატჩის დღეს ლამის უძინარი ჩავიდა. რაც შეეხება ახალშობილს, მამამ მას, როგორც ამბობენ, ჯორდანი დაარქვა.

„ინტერი" კი კვლავ იგებდა და კვლავ გაუშვა. ცხრა თამაშიდან შვიდი ფრე უკვე რაღაც სიგიჟედ შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა ამჯერად, „ლაციოსთან" ფრის შემდეგ, „შავლურჯების" მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ რისხვა მსაჯს, მატეო ტრეფოლინის დაატეხა თავს.

„წარმოდგენა არ მაქვს, რა დარღვევა შეამჩნია, როდესაც იქ ჯარიმა დანიშნა, რომლიდანაც „ლაციომ" გოლი გაგვიტანა, მან არარსებული დანაშაულისთვის დაგვსაჯა და საერთოდაც, მსაჯობა სასწავლი აქვს. ვიცი, ასეთი სიტყვებისთვის დამჯარიმებენ ან დისკვალიფიკაციას მომისჯიან, მაგრამ მერწმუნეთ, რაც მოხდა ჩემთვის სულერთი არ არის" — განაცხადა მანჩომ, რომელიც ახალი გუნდით თავის შარშანდელ გუნდს ეთამაშებოდა. შეგახსენებთ, რომ მანჩინი „ლაციოდან" კონფლიქტით წამოვიდა.

„მანჩინიზე შურისძიების თემა არ გამხსენებია. მე ამაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ვფიქრობდი" — განაცხადა მატჩის შემდეგ რომაელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ.

„ინტერის" გოლი მეორე ტაიმის მე-19 წამზე ადრიანომ გაიტანა, იგი სინიშა მიხაილოვიჩის პასს შეჰყვა, ფერნანდო კოუტუს ჩაურბინა და ბურთი ახლო ძელს და მეკარეს შორის მოათავსა. „ლაციომ" 84-ე წუთზე გაქვითა, როდესაც მარჯვენა ფრთიდან ჯარიმა მასიმო ოდომ ჩაჰკიდა, ხოლო არგენტინელმა ლეონარდო ხოსე ტალამონტიმ თავურით თავისი პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში.

ფოიერვერკი მოიწყო „რომამ" — „კალიარის" 5:1 მოუგო, თუმცა როგორც [illegible] სარდინიელები ასეთ განადგურებას არ იმსახურებდნენ. [illegible] ვევის გამო კვლავ არ იყო კრისტიან პანუჩი. ხოლო ტრავმების გამო შეხვედრა ოლივიე დაკურმა და ივან პელიცოლიმ გამოტოვეს. ვინჩენცო მონტელამ გრიპის გამო მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა (და ორი გოლიც გაიტანა), ხოლო ლუიჯი დელ ნერიმ დაამტკიცა, რომ მართლა არ აპირებს სამკაციან დაცვაზე დაბრუნებას.

და კიდევ ერთი: მატჩის წინ „სტადიო ოლიმპიკოზე" მისულ „რომას" ავტობუსს ქომაგებმა კვერცხები დაუშინეს, რამაც თუ შედეგის მიხედვით ვიმსჯელებთ, კარგი შედეგი გამოიღო.

ხოლო „იუვენტუსის" და „კიევოს" მატჩი ნათელი დადასტურება გახლდათ იმისა, რომ „ბებერ ქალბატონი" მეტისმეტად მაღალი კლასის ფეხბურთის თამაშს ახერხებს ანუ მაქსიმალურ შედეგს მინიმალური მოძრაობით აღწევს, ხოლო „კიევოს" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა ბევრი მომენტი შექმნა. ეს ის მომენტები იყო, რომელთაც რომელიმე სხვა გუნდის კარში ალბათ გაიტანდა, რადგან ვერონელი ფეხბურთელები უფრო მშვიდად და ამიტომაც ზუსტად ასრულებდნენ ცალკეულ ილეთებს.

**პაპუნა ძიძია**

### სერია B. XI ტური

**კატანია 0:1 ბარი**
0:1 გორეტი (12)

**ალბინოლეფე 0:3 ჯენოა**
0:1, 0:2 სტელონე (12, 68), 0:3 მაკინვა (90)

**არეცო 1:1 ჩეზენა**
1:0 აბრუსკატო (51), 1:1 გროპი (69)

**ასკოლი 2:0 ვიჩენცა**
1:0, 2:0 ბუკი (21, 69)

**კატანძარო 0:0 ვენეცია**

**ემპოლი 3:0 ტორინო**
1:0, 2:0 ტავანო (2, 51), 3:0 ბუშე (86)

**სალერნიტანა 0:2 პესკარა**
0:1 ტერა (5), 0:2 იოიკი (61)

**ტრევიზო 1:1 პიაჩენცა**
0:1 პეპე (76), 1:1 ა. დაგოსტინო (90)

**ტრიესტინა 1:0 კროტონე**
1:0 პეკორარი (29)

**ვერონა 3:0 მოდენა**
1:0 კოსუ (29), 2:0 მურტაი (48), 3:0 ვაიგო (85)

**ტერნანა — პერუჯა**
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 11 | 8 | 2 | 1 | 20:7 | 26 |
| ჯენოა | 11 | 6 | 4 | 1 | 25:11 | 22 |
| ტორინო | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 20 |
| ასკოლი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:14 | 20 |
| პიაჩენცა | 11 | 6 | 1 | 4 | 18:17 | 19 |
| ვერონა | 11 | 5 | 2 | 4 | 20:14 | 17 |
| ალბინოლეფე | 10 | 5 | 2 | 3 | 14:10 | 17 |
| პერუჯა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:10 | 16 |
| ჩეზენა | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 16 |
| ვიჩენცა | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | 16 |
| არეცო | 11 | 3 | 6 | 2 | 21:16 | 15 |
| კატანია | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | 15 |
| ტრიესტინა | 10 | 4 | 1 | 5 | 13:16 | 13 |
| კატანძარო | 11 | 3 | 3 | 5 | 14:14 | 12 |
| ტერნანა | 10 | 3 | 3 | 4 | 11:14 | 12 |
| ვენეცია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| მოდენა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:13 | 10 |
| პესკარა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:17 | 10 |
| ბარი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:12 | 9 |
| კროტონე | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| ტრევიზო | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| სალერნიტანა | 11 | 1 | 4 | 6 | 7:23 | 7 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „ბარის" 1 ქულა*

### სერია C1/A. IX ტური

აკირეალე — კრემონეზე 0:2; ფ. ანდრია — ნოვარა 0:3; მანტოვა — გროსეტო 0:0; პიზა — კომო 1:1; პრატო — ფროზინონე 2:2; პრო პატრია — ლუკეზე 2:0; სანჯოვანეზე — პისტოიეზე 3:0; ს. ტორესი — პავია 0:1; სპეცია — ლუმეცანე 3:0

### სერია C1/B. IX ტური

ბენევენტო — აველინო 1:1; ჩიტადელა — პეზარო 2:1; ფერმანა — რიმინი 0:1; ლანჩანო — მარტინა 2:1; ნაპოლი — კიეტი 1:2; რეჯანა — სამბენედეტეზე 0:0; სორა — ფოჯა 0:0; ტერამო — ჯულიანოვა 0:0. *სპალ — პადოვა დღეს გაიმართება*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 8 |
| ადრიანო (ინტერი) | 7 |
| შევჩენკო (მილანი) | 6 |
| ბოჟინოვი (ლეჩე) | 6 |
| კარაჩოლო (ბრეშა) | 5 |
| ჯილარდინო (პარმა) | 5 |
| ტოტი (რომა) | 5 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 5 |

### X ტური
6-7 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | : | სამპდორია |
| ბოლონია | : | მესინა |
| ბრეშა | : | კიევო |
| კალიარი | : | ლივორნო |
| ფიორენტინა | : | ინტერი |
| ლაციო | : | სიენა |
| ლეჩე | : | უდინეზე |
| მილანი | : | რომა |
| პალერმო | : | პარმა |
| რეჯინა | : | იუვენტუსი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 9 | 8 | 1 | 0 | 20:2 | 18 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 12 |
| 2 მილანი | 9 | 6 | 2 | 1 | 15:6 | 9 | 20 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 8 | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 12 |
| 3 ლეჩე | 9 | 4 | 3 | 2 | 20:15 | 5 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 7 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:11 | -2 | 5 |
| 4 მესინა | 9 | 4 | 2 | 3 | 14:14 | 0 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:9 | 2 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 5 ინტერი | 9 | 2 | 7 | 0 | 17:14 | 3 | 13 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 2 | 6 | 5 | 1 | 4 | 0 | 10:9 | 1 | 7 |
| 6 ფიორენტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 3 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 7 კიევო | 9 | 3 | 4 | 2 | 7:9 | -2 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 |
| 8 კალიარი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:15 | -3 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:12 | -7 | 1 |
| 9 რომა | 9 | 3 | 3 | 3 | 18:16 | 2 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 12:7 | 5 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 3 |
| 10 უდინეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 10:8 | 2 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 |
| 11 ლაციო | 9 | 3 | 3 | 3 | 10:9 | 1 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |
| 12 სამპდორია | 9 | 4 | 0 | 5 | 8:8 | 0 | 12 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:6 | -4 | 3 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 |
| 13 ლივორნო | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | -3 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 14 ბოლონია | 9 | 3 | 1 | 5 | 8:10 | -2 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 4 |
| 15 პალერმო | 9 | 2 | 4 | 3 | 6:8 | -2 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 16 ბრეშა | 9 | 3 | 0 | 6 | 9:16 | -7 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 |
| 17 სიენა | 9 | 2 | 3 | 4 | 5:12 | -7 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 4 |
| 18 რეჯინა | 9 | 1 | 4 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 19 პარმა | 9 | 1 | 4 | 4 | 10:16 | -6 | 7 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | -7 | 1 |
| 20 ატალანტა | 9 | 0 | 5 | 4 | 11:18 | -7 | 5 | 4 | 0 | 3 | 1 | 7:8 | -1 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | -6 | 2 |

# ბარსას რა ენაღვლება, ვალენსიამ იკითხოს



ბილბაო — ბარსელონა. სამუელ ეტოომ მეცხრე თამაშში მერვე გოლი გაიტანა

REUTERS ბილბაოდან

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. IX ტური

**ბილბაო 1:1 ბარსელონა**

0:1 ეტოო (11), 1:1 იესტე (14)
ბილბაო: არანსუბია, ირაოლა, ლუის პრიეტო, მურილიო, დელ ორნო, ორბაისი, გურპეგი, ეზებერია (ფელიპე 84), იესტე, ესკერო (არიაგა 59), ურსაისი (ასკორა 73)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ბარსელონა: ვ. ვალდესი, დამია, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, დეკო (ინიესტა 46), ჟიული (ლარსონი 61), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: იესტე, დელ ორნო, გურპეგი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ხავი, გურპეგი
გაძევება: გურპეგი (80)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
39 000 მაყურებელი

**რეალი 2:0 ხეტაფე**

1:0 ოუენი (28), 2:0 რონალდო (79)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, გუტი, ზიდანი (ბორხა 88), რაული (მორიენტესი 80), ოუენი (სელადესი 72), სოლარი, რონალდო
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
ხეტაფე: სანჩეს ბროტო, იანგუასი, ბელენგერი, ნანო, პერნია, კოტელო (კრაიოვიანუ 46), დიეგო რივასი, გაბი, ვივარ დორადო (გალიარდო 70), პაჩონი, რიკი (იორდი 81)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
გაფრთხილება: რაულ ბრავო, გუტი, პაჩონი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
75 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 ატლეტიკო**

1:0 ანგულო (65), 1:1 ტორესი (80)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე, აიმარი (დი ვაიო 7), ანგულო, მისტა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, აგილერა, პერეა, პაბლო, სერხი, მარსელო სოსა, ლუქსენი (სიმეონე 46), პაუნოვიჩი, იბაგასა (ხორხე 46), ანტონიო ლოპესი (მუსამპა 70), ფ. ტორესი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: ნავარო, დი ვაიო, ალბელდა
გაძევება: პაუნოვიჩი (70)
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
46 000 მაყურებელი

**დეპორტივო 0:0 ალბასეტე**

დეპორტივო: მოლინა, ექტორი, პაბლო ამო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, დუშერი, ფრანი (სკალონი 46), ვიქტორი (მუნიტისი 72), ვალერონი, ლუკე, პანდიანი (ტრისტანი 46)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ალბასეტე: ვალბუენა (გასპერჩიჩი 50), მონტიელი, ბუადესი, გასპარი, პენია, ალვარო, ხაიმე, რედონდო, პაჩეკო, მარკ გონსალესი (ფერონი 86), ფრანსისკო (მიკელი 66)
მწვრთნელი: ხოსე გონსალესი
გაფრთხილება: პენია, პაჩეკო, ალვარო, ფრანსისკო, მონტიელი, ფერონი, კაპდევილა, დუშერი, მუნიტისი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
21 000 მაყურებელი

**სარაგოსა 3:0 სევილია**

1:0 გალეტი (13), 2:0, 3:0 ვილა (27პ, 59)
სარაგოსა: ლუის გარსია, პონციო, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, გალეტი, მოვილია, საპატერი (ხენერელო 57), სავიო (ჩანი 70), ხავი მორენო (ოსკარი 77), ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
სევილია: ესტებანი, სერხიო რამოსი, ხავი ნავარო, პაბლო ალფარო, დავიდ კასტედო (ნავასი 29), დანიელ ალვესი, რენატო, მარტი, ანტონიო ლოპესი, ბაპტისტა (კარლიტოსი 75), დარიო სილვა (ანტონიტო 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ტოლედო, მილიტო, ხენერელო, ხავი მორენო, ხავი ნავარო, მარტი
მსაჯი: პინო სამორანო
33 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:0 ვილიარეალი**

ესპანიოლი: კამენი, იბარა, ლოპო, პოჩეტინიო, დავიდ გარსია, იტო, ალექსი (ფრედსონი 50), სერანო (მაქსი როდრიგესი 72), დანი, დე ლა პენია, ტამუდო (კორომინასი 58)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ვილიარეალი: რეინა, ხავი ვენტა, გონსალო როდრიგესი, კიკე ალვარესი, არმანდუ სა, ბატალია, ხოსიკო, ექტორ ფონტი (კაზორლა 78), რიკელმე, გიარე (ხისკო 82), ფორლანი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: პოჩეტინიო, კორომინასი, გონსალო როდრიგესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
20 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:1 ლევანტე**

0:1 სერხიო გარსია (23)
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო (დავიდ ლოპესი 80), კრუჩაგა, ხოსეჩო, კორალესი, ორტისი (მილოშევიჩი 55), პუნიალი (დელპორტი 75), პაბლო გარსია, მოა, ვალდო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ლევანტე: მორა, პინილიოსი, კულებრასი, ხესულე, პარტი, ეტიენი (ხუანმა 86), სელესტინი, რივერა, ნაჩო, მანჩევი (კამაჩო 75), სერხიო გარსია (რეგი 90)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: კორალესი, ვალდო, სერხიო გარსია, კამაჩო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
14 მაყურებელი

**მალიორკა 1:2 რასინგი**

0:1 პედრო ლოპესი (3), 1:1 ხორხე ლოპესი (80), 1:2 ბენაიუნი (90)
მალიორკა: მოია, კორტესი, ბალესტეროსი (ნინიო 46), ნადალი, პოლი, ხორხე ლოპესი, პერეირა (ტუნი 46), ფარინოსი, არანგო, ლუის გარსია, პერერა (კამპანო 73)
მწვრთნელი: ტომეუ ლომბარტი
რასინგი: აუატე, ორიოლი, მორატიონი, ხუანმა, რეგუერო (აიოზი 63), პედრო ლოპესი, მორანი, ანდერსონ სილვა, პარი (ნაფტი 40), ბენაიუნი, აგანსო (არისმენდი 57)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: პერეირა, ბალესტეროსი, ლუის გარსია, კამპანო, მორატიონი, რეგუერო, ხუანმა, ნაფტი, ანდერსონ სილვა
გაძევება: ნინიო (54)
მსაჯი: ველასკო კარბალიო
16 000 მაყურებელი

**ნუმანსია 0:2 სოსიედადი**

0:1 ლაბაკა (69), 0:2 კარპინი (80)
ნუმანსია: ხუანმა, ველასკო, ხაიმე მოლინა, ოჩოა, პინიოლი, როსი, პალასიოსი, მიგელ პერესი (ჩ. ლი 58), პინედა (სესტელო 73), ხუანლუ (მორენო 73), ოსორიო
მწვრთნელი: ფრანსისკო ლოპესი
სოსიედადი: რიესგო, ლოპეს რეკარტე, ლაბაკა, ლუის ალბერტო (ურანგა 90), გარიდო, მიკელ ალონსო, არანბურუ, კარპინი (პრიეტო 84), ნიჰათი, როსატო (არტეტა 79), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: ხუანლუ, როსი, კოვაჩევიჩი, ლოპეს რეკარტე, მიკელ ალონსო
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
7 000 მაყურებელი

**ბეტისი 1:1 მალაგა**

1:0 ოლივეირა (4), 1:1 ხერარდო (43)
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, რივასი, ვარელა, ტაისი, ფერნანდო (პაბლო ნინიო 55), კანიასი (მ. ასუნსაო 56), ხოაკინი, ბენხამინი (ისმაელი 81), ოლივეირა, ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
მალაგა: კალატაიუდი, ლიტოსი, ვალკარსე, ხუანიტო, ხერარდო, რომერო, მანუ, დუდა (ხუან როდრიგესი 72), მიგელ ანხელი (ლეკო 46), ამოროზო (პაკო ესტებანი 76), ვანჩოპე
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: კანიასი, რომერო, დუდა, რომერო, პაბლო ნინიო, ხერარდო, ხუან როდრიგესი, ვანჩოპე
გაძევება: რომერო (78), ოლივეირა (90)
მსაჯი: მორენო დელგადო
34 000 მაყურებელი

„ბარსელონამ" ვერ მოიგო, მაგრამ არც წააგო და ჩემპიონატს ისევ ლიდერობს. ეგ კი არა, კატალონიელები უახლოეს მდევარს იმდენი ქულით უსწრებენ, რომ სამი წაგება თუ დააკარგვინებთ ლიდერობას. ანუ, „ბარსას" კიდევ კარგა ხანს არაფერი ემუქრება — რა უნდა მოხდეს, მიყოლებით რომ დაიწყოს თამაშის თამაშზე წაგება.

ლიდერი ამ ტურში ბილბაოს სტუმრობდა და მართალია, ბოლო ათი წუთი მეტი ფეხბურთელით ითამაშა, მხოლოდ ფრეს გამორჩა. ისე, ჩვენში დარჩეს და, ბილბაოში მოგება არ არის იოლი საქმე.

„ბარსას", რომელიც წინა კვირაში სენსაციურად დამარცხდა სამეფო თასის პირველსავე ეტაპზე, „სან მამესზე" პირველ წუთებში ძალიან გაუჭირდა. „ბილბაომ" მეტისმეტად აქტიურად დაიწყო თამაში. მაგრამ გამოხდა მცირე ხანი და „ბარსამ" შესატევად ძალა მოიკრიფა. შედეგად სამუელ ეტოომ მეცხრე თამაშში მერვე გოლი შეაგდო. ეტოოსთან ერთად ხსენების ღირსია ყმაწვილი მცველი დამია, ვინაც ფრანკ რაიკარდმა სარეზერვო გუნდიდან აიყვანა, პირველად ათამაშა დიდ „ბარსაში" და კამერუნელს საგოლე პასიც მიართვა.

თუმცა წონასწორობა თითქმის დაუყოვნებლივ აღდგა. ისმაელ ურსაისმა უძრავად მდგარ მცველებს ბურთი ზემოდან გადაავლო და სანამ ისინი გონს მოეგებოდნენ, ფრანსისკო იესტემ საპასუხო გაიტანა.

პირველ ტაიმში მეტი გამოსარჩევი არაფერი მომხდარა — ორი გოლიც საკმარისი იყო, შესვენების მერე კი მეტოქეები კიდევ უფრო გაავებულები ეკვეთნენ ერთმანეთს. მომენტები ერთ გუნდსაც ჰქონდა და მეორესაც, ჩვენ კი ის ეპიზოდი გამოვარჩიოთ, როდესაც შეუჩერებელმა იესტემ ბურთი ძელს გაარტყა.

ბოლო ათი წუთი კი „ბარსასი" იყო, რაც კარლოს გურპეგის გაძევებას მოჰყვა, მაგრამ „ბილბაომ" გაუძლო და „ატლეტიკოს" მერე მეორე გუნდი შეიქნა, ვინაც საამსეზონო ჩემპიონატში „ბარსელონას" ქულა აართვა.

ისე, „ბარსას" რა ენაღვლება, „ვალენსიამ" იკითხოს, ზედიზედ შვიდი თამაში რომ ვერ მოუგია. ამ ფაქტმა კი კლაუდიო რანიერის თავზე ღრუბლები მოქუფრა.

„ვალენსია" „ატლეტიკოს" მასპინძლობდა [illegible] წუთზევე შეეჯახა — პაბლო იბანესთან [illegible] რმა [illegible] საავადმყოფოში წასაყვანი გახდა.

— მას არაფერი ახსოვს — წერია კლუბის საიტზე — საავადმყოფოდან კი გამოწერეს, მაგრამ დამატებით სამედიცინო შემოწმებას კიდევ გაივლის. ჩემპიონთა ლიგაში „ინტერთან" მისი თამაში გამორიცხულია.

აიმარის დამტვრევამ თამაში წაახდინა. ვალენსიელები მეგობრის დაშავების გამო აგრესიულები გახდნენ, მადრიდელებიც არ ჩამორჩნენ და მთელი პირველი ტაიმი უხეშობაში გალიეს. შესვენების მერე თამაში გამოსწორდა, რასაც მიგელ ანგულოს გოლიც მოჰყვა. მან ცარიელ კარში შეაგდო, მეკარე ლეო ფრანკო კი ამ დროს საჯარიმო მოედნის შიგნით საერთოდ არ იყო.

აქედან ხუთ წუთში „ვალენსიასთვის" ერთი კარგი ამბავიც მოხდა, ველიკო პაუნოვიჩი გააძევეს, მაგრამ რად გინდა — ფერნანდო ტორესმა საპასუხოს გატანა მაინც მოახერხა.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" კი მოხდა ის, რაც ამ სეზონში ჯერ არ მომხდარა — „რეალმა" ჩემპიონატის მატჩში ერთ ბურთზე მეტის გატანა შეძლო. მაგამ ეს როდი ნიშნავს, რომ მადრიდელებმა კარგად ითამაშეს. „ხეტაფე" აშკარად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ მთავარი გოლია, რომლის გატანაც პრიმერას ახალწვეულებმა ვერ მოახერხეს. მაიკლ ოუენმა კი რაკი მადრიდული გოლის გემო ერთხელ გაიგო, ველარ ჩერდება — ინგლისელმა ბოლო ოთხ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა. ერთიც რონალდომ შეაგდო და სულ ახლახან ძალიან დაბლა დაშვებული „რეალი" მესამე ადგილამდე აღზევდა. მასსა და „ბარსელონას" შორის კი „სევილიაა" — ალბათ დროებით.

**კოტე კეკელია**

### სეგუნდადივიზიონი. X ტური

**კადისი 0:1 ალავესი**

0:1 ბოდიპო (70)

**მალაგა B 1:1 ფეროლი**

1:0 ბარახა (27), 1:1 ხაიო (45)

**ელჩე 4:0 სპორტინგი**

1:0 ჩიკი (23), 2:0 ნინო (59), 3:0 რუბენი (71), 4:0 პერაგონი (77)

**სალამანკა 0:1 სელტა**

0:1 ანხელი (32)

**კორდობა 0:2 უელვა**

0:1, 0:2 კალე (32, 90პ)

**ვალიადოლიდი 1:0 ხიმნასტიკი**

1:0 ორნოსი (70)

**სიუდად მურსია 1:2 ლეიდა**

0:1 სერხიო (46), 0:2 არნალი (78), 1:2 რივერო (90)

**პონტევედრა 2:3 ეიბარი**

0:1 კიკე მატეო (7), 0:2 კორედოირა (17), 1:2 ხავი როდრიგესი (53), 2:2 ჩარლზი (62), 2:3 ლორენტე (67)

**ტერასა 0:1 ხერესი**

0:1 მენა (85)

**პოლი ეხიდო 1:1 მურსია**

0:1 რიჩი (40), 1:1 სიერა (83)

**ტენერიფე 1:3 ალმერია**

0:1 ნანი (14), 1:1 ლიმონესი (62), 1:2 ვესლისკა (70), 1:3 ნანი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 10 | 6 | 4 | 0 | 12:5 | 22 |
| ეიბარი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:12 | 20 |
| პოლი ეხიდო | 10 | 5 | 4 | 1 | 15:6 | 19 |
| ალავესი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:13 | 18 |
| ელჩე | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| ფეროლი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:8 | 17 |
| ლეიდა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:9 | 17 |
| კადისი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:7 | 15 |
| ალმერია | 10 | 4 | 2 | 4 | 8:7 | 14 |
| სელტა | 10 | 3 | 5 | 2 | 8:8 | 14 |
| უელვა | 10 | 3 | 4 | 3 | 6:5 | 13 |
| ვალიადოლიდი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:12 | 13 |
| ტენერიფე | 10 | 3 | 4 | 3 | 10:11 | 13 |
| მალაგა B | 10 | 3 | 3 | 4 | 7:8 | 12 |
| სპორტინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| ტერასა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:13 | 11 |
| სალამანკა | 10 | 3 | 2 | 5 | 6:10 | 11 |
| პონტევედრა | 10 | 2 | 4 | 4 | 14:16 | 10 |
| ხიმნასტიკი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:13 | 10 |
| სიუდად მურსია | 10 | 2 | 2 | 6 | 11:17 | 8 |
| მურსია | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |
| კორდობა | 10 | 1 | 1 | 8 | 4:14 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 8 |
| ვილა (სარაგოსა) | 5 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 5 |
| მილოშევიჩი (ოსასუნა) | 5 |
| დი ვაიო (ვალენსია) | 5 |
| მანჩევი (ლევანტე) | 5 |

**X ტური**

6-7 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ალბასეტე | ბეტისი |
| ატლეტიკო | სარაგოსა |
| ბარსელონა | დეპორტივო |
| რასინგი | ნუმანსია |
| სოსიედადი | ესპანიოლი |
| სევილია | მალიორკა |
| ხეტაფე | ვალენსია |
| ლევანტე | ბილბაო |
| ვილიარეალი | ოსასუნა |
| მალაგა | რეალი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბარსელონა | 9 | 7 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 23 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 11 |
| 2 სევილია | 9 | 5 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 17 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 5 |
| 3 რეალი | 9 | 5 | 1 | 3 | 8:5 | 3 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 4 სარაგოსა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:15 | 2 | 16 | 5 | 5 | 0 | 0 | 16:8 | 8 | 15 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |
| 5 ლევანტე | 9 | 5 | 1 | 3 | 14:12 | 2 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | -1 | 7 |
| 6 ვალენსია | 9 | 4 | 3 | 2 | 17:10 | 7 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 5 |
| 7 ესპანიოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:5 | 4 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 3 | 6 |
| 8 ატლეტიკო | 9 | 4 | 2 | 3 | 9:6 | 3 | 14 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 4 |
| 9 ოსასუნა | 9 | 4 | 1 | 4 | 13:14 | -1 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 |
| 10 დეპორტივო | 9 | 3 | 4 | 2 | 10:13 | -3 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | -5 | 5 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 |
| 11 მალაგა | 9 | 3 | 3 | 3 | 10:8 | 2 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 12 ვილიარეალი | 9 | 2 | 5 | 2 | 9:5 | 4 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:0 | 6 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 13 ბეტისი | 9 | 2 | 5 | 2 | 12:13 | -1 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | -2 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 14 სოსიედადი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | -1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 4 |
| 15 რასინგი | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 |
| 16 ბილბაო | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | -3 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 1 |
| 17 ალბასეტე | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | -4 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 2 |
| 18 ხეტაფე | 9 | 2 | 0 | 7 | 8:15 | -7 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:10 | -7 | 0 |
| 19 მალიორკა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:14 | -7 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 20 ნუმანსია | 9 | 1 | 2 | 6 | 4:16 | -12 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | -9 | 0 |

# სოშო 2000

## ლიონმა კოჭლობით მოიგო

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XII ტური**

**სოშო 2:0 ტულუზი**
1:0 მატიე (45), 2:0 ილანი (86)
**ოსერი 1:1 პსჟ**
0:1 პაულეტა (35), 1:1 ბ. კალუ (57)
**აიაჩო 1:1 ნანტი**
0:1 ბაგაიოკო (31), 1:1 შაპუი (35)
**ბორდო 1:1 ლანსი**
0:1 უტაკა (59), 1:1 მერიემი (69)
**ლილი 1:0 სენტ ეტიენი**
1:0 დიუმონი (9)
**ლიონი 1:0 სტრასბური**
1:0 ფრო (67)
**მეცი 2:0 ბასტია**
1:0 რენუარი (5), 2:0 ლეკა (6)
**ნიცა 0:0 ისტრი**
**რენი 1:1 კაენი**
0:1 ბაკური (74), 1:1 მონტერუბიო (84პ)
**მარსელი 1:1 მონაკო**
1:0 კოკე (20), 1:1 კალონი (31)

საფრანგეთში ზავის ტური იყო. ათიდან ხუთი მატჩი ფრედ დასრულდა და მეტოქეები თითო ქულით დაკმაყოფილდნენ, ორმა ლიდერმა კი კვლავ მოიგო. „ლიონმა“ კაცნაკლულ „სტასბურს“ სძლია, მაგრამ ამ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე დაუშავდა — კლაუდიო კასაპა და სილვენ ვილტორდი. 34-ე წუთზე სტუმარი სიდი კეიტა კასაპას ეუხეშა, რისთვისაც გააძევეს, ხოლო ტრავმირებული ლიონელი ალბათ რამდენიმე თვით ჩამოშორდება მოედანს. პიერ ალან ფრომ ვილტორდის პასით გაიტანა. ყოფილმა „მეთოფემ“ 77-ე წუთზე შეცვლა ითხოვა, რადგან ფეხი იტკინა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მასპინძელთა მწვრთნელმა



REUTERS

ბორდო — ლანსი. კამელ მერიემს სამულ კეიტამ მიწა გამოაცალა

პოლ ლე გუენმა დაიჩივლა, ასეთ დროს ორი ფეხბურთელის გამოკლებამ შესაძლოა, დალაგებული გუნდი ამირიოსო. „ლიონი“ ჩემპიონატსა თუ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არ დამარცხებულა.

ცხრილის ყოჩს კვლავ მისდევს კლოდ პუელის „ლილი“, რომელმაც სტეფან დიუმონცის ადრეული გოლით „სენტ ეტიენს“ აჯობა. „ჩვენ გვსურს, რომ „ლიონს“ რაც შეიძლება, დიდხანს მივდიოთ“ — თქვა ნამატჩევს „ლილის“ თავკაცმა.

„სოშომ“ საიუბილეო, მე-2000 სალიგო შეხვედრაში „ტულუზს“ მოუგო. ჟერემი მეტიუმ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. შემდეგ სტუმართა კარში პენალტი დანიშნეს, მაგრამ ორუმამ ბურთი კარს ააცილა. სამაგიეროდ, ილანმა იყოჩალა და თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაიტანა.

სამხრეთულ დერბიში „მარსელი“ და „მონაკო“ ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ. მასპინძლები ესპანელმა ფორვარდმა კოკემ დააწინაურა, თუმც მოჰამედ კალონმა ათი წუთის შემდეგ გაათანაბრა. „ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ დაცვაშიც ხშირად ვცდებოდით. ხარვეზები სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ“ — განაცხადა „მონაკოს“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

„ბორდო“ მილანის „ინტერის“ ფრანგულ ვარიანტად იქცა — ჟირონდელებმა მერვე ფრე მიითვალეს. ისინი უტაკას გოლით აგებდნენ, მაგრამ კამელ მერიემის კარგი თამაშის წყალობით ქულა გამოჩარხეს.

ოსერში პსჟ პედრუ პაულეტამ დააწინაურა, ხოლო ბენავენტურე კალუმ მეორე ტაიმში თავური დარტყმით გაათანაბრა.

ვლადიკავკაზიდან კორსიკაზე, „აიაჩოში“ დაბრუნებულმა როლან კურბისმა პირველი ქულა „ნანტთან“ მიითვალა. სტუმართა მამადუ ბაგაიოკომ მე-12 წუთზე ბურთი ძელს გაარტყა, მერე კი მიზანი გაისწორა და გაიტანა. კუნძულელები მარცხისგან სირილ შაპუიმ იხსნა, რომელმაც ნანტელი მეკარის შეცდომით ისარგებლა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 12 | 7 | 5 | 0 | 16:5 | 26 |
| ლილი | 12 | 8 | 1 | 3 | 15:6 | 25 |
| ოსერი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:10 | 21 |
| მონაკო | 12 | 5 | 5 | 2 | 15:11 | 20 |
| მარსელი | 12 | 5 | 4 | 3 | 12:9 | 19 |
| სოშო | 12 | 5 | 3 | 4 | 14:11 | 18 |
| ბორდო | 12 | 3 | 8 | 1 | 16:8 | 17 |
| მეცი | 12 | 4 | 5 | 3 | 12:16 | 17 |
| ნანტი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:10 | 16 |
| ნიცა | 12 | 4 | 4 | 4 | 14:17 | 16 |
| ტულუზი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:14 | 15 |
| რენი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:15 | 15 |
| კაენი | 12 | 3 | 6 | 3 | 11:15 | 15 |
| პსჟ | 12 | 3 | 5 | 4 | 14:15 | 14 |
| ლანსი | 12 | 2 | 7 | 3 | 12:12 | 13 |
| ბასტია | 12 | 3 | 4 | 5 | 10:15 | 13 |
| სენტ ეტიენი | 12 | 1 | 6 | 5 | 11:16 | 9 |
| აიაჩო | 12 | 1 | 6 | 5 | 11:16 | 9 |
| სტრასბური | 12 | 1 | 5 | 6 | 12:20 | 8 |
| ისტრი | 12 | 0 | 7 | 5 | 6:13 | 7 |

**II დივიზიონი. XIV ტური**

ამიენი — ნიორი 4:1; ბრესტი — შატორუ 0:0; კრეტეი — ნანსი 2:1; გრენობლი — მონპელიე 0:0; ლე ავრი — დიჟონი 1:0; რეიმსი — ლორიანი 1:4; სედანი — ლავალი 0:3. ლე მანი — ანჟე 3:0. *გენიონი — ტრუა 0:1-ზე ჩაიშალა, კლერმონი — გენგამი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 14 | 8 | 2 | 4 | 21:14 | 26 |
| ბრესტი | 14 | 6 | 6 | 2 | 18:13 | 24 |
| გენიონი | 13 | 5 | 7 | 1 | 10:5 | 22 |
| ამიენი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:16 | 22 |
| გრენობლი | 14 | 5 | 7 | 2 | 18:17 | 22 |
| სედანი | 14 | 6 | 4 | 4 | 12:12 | 22 |
| მონპელიე | 14 | 5 | 4 | 5 | 14:11 | 19 |
| ლე მანი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:14 | 19 |
| ლავალი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:16 | 19 |
| ტრუა | 13 | 5 | 3 | 5 | 18:17 | 18 |
| დიჟონი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:14 | 17 |
| შატორუ | 14 | 3 | 8 | 3 | 13:13 | 17 |
| ლორიანი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:21 | 17 |
| რეიმსი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:20 | 17 |
| ანჟე | 14 | 4 | 4 | 6 | 14:16 | 16 |
| კლერმონი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:15 | 15 |
| კრეტეი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:18 | 15 |
| ლე ავრი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:14 | 15 |
| ნიორი | 14 | 5 | 0 | 9 | 16:20 | 15 |
| გენგამი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:18 | 15 |

# სტარკოვსმა კავენაგის ოცი გოლი დაიფიცა

### რუსეთი

**პრემიერლიგა. XXVIII ტური**

**ამკარი 0:1 ლოკომოტივი**
0:1 პარკსი (29)
**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, სენიკოვი, გურენკო, ევსეევი, იზმაილოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, **ასათიანი**, ფ. ლიმა, სიჩოვი (მამინოვი 90), პარკსი (ბილიალეტდინოვი 65)
მწვრთნელი: იური სიომინი
**როტორი 0:0 დინამო**
**დინამო:** ლევიცკი, მენდი, ბატაკი, ტანასიევიჩი, ტოჩილინი, მიხაილოვი, ბესჩასტნიხი, დიატელი, რომაშჩენკო, გიანი (**ხიზანეიშვილი** 89), ბულიკინი (კორჩაგინი 81)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
**შინიკი 1:0 როსტოვი**
1:0 ხაზოვი (35)
**ტორპედო 3:2 ალანია**
0:1 კასიმოვი (20), 1:1 ოპერი (27), 1:2 სარქისიანი (40), 2:2, 3:2 პანოვი (74, 80)
**რუბინი 2:0 ყუბანი**
1:0, 2:0 ბოიარინცევი (59, 64)
**ცსკა 1:1 კრილია სოვეტოვი**
1:0 ვაგნერი (3), 1:1 დოხოიანი (53)
**მოსკოვი 2:3 სპარტაკი**
0:1 ვიდიჩი (44), 1:1 ბრაკამონტე (35), 1:2 პიანოვიჩი (47), 2:2 კუზმინი (62), 2:3 კავენაგი (90)
**სატურნი 1:3 ზენიტი**
0:1 ვლასოვი (21), 0:2 დენისოვი (58), 0:3 კერჟაკოვი (67პ), 1:3 როგაჩოვი (69)

იჩქარეს რუსებმა, „ზენიტთან“ ლილინ-ლილინით მოგებულ 3:0-ის შემდეგ ცსკა ლამის საჩემპიონო სავარძელში ჩასვეს, მაგრამ გასულ ტურში ინტრიგა სამარის „კრილიამ“ გააღვივა. სამარელებს თავისი გასჭირვებიათ, სამეულში შესვლა უნდათ და არმიელებს თავი შეაკლეს. არადა, ვალერი გაზაევის გუნდი უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდა — მე-3 წუთზევე ბრაზილიელმა ვაგნერმა ორი მცველი გააცურა და „კრილიას“ მეკარე პოლიაკოვი უშანსოდ დატოვა. ცსკას პირველივე ტაიმში შეეძლო საქმის მოთავება, მაგრამ ბლომად მომენტები გაანიავა და სტუმართა ჯერიც დადგა: კარენ დოხოიანმა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთი შეირგო — 1:1. არმიელები მატჩის მიწურულს შეფუცხუნდნენ, იმავე ვაგნერს ორჯერ არ გაუმართლა, კრასიჩმა კი ძელი ააზმაურა და საბოლოოდ ცსკა-ს ისევ ერთქულიანი ჰანდიკაპი შერჩა.

საქმე ისაა, რომ თანაქალაქელების წაფორხილებით ისარგებლა მდევარმა „ლოკომოტივმა“. რკინიგზელებს კოსტარიკელი უინსტონ პარკსის კურიოზულმა გოლმა გაამარჯვებინათ, რომელშიც ლომის წილი „ამკარის“ მაროკოელმა ლეგიონერმა ზიატმა დაიდო — კარის ხაზთან მდგომმა მეკარესაც ხელი შეუშალა და ვერც თვითონ მოიგერია ბურთი. ნამატჩევს „ლოკომოტივის“ თავკაცი იური სიომინი ხარობდა — სამართალი აღდგა, რაც „რუბინთან“ არ გაგვიმართლა, დღეს ავინაზღაურეთ და ერთი შეხედვით წასაგები თამაში მოვიგეთო.

ოლეგ რომანცევის სამწვრთნელო ხელმა სულზე მიუსწრო მოსკოვის „დინამოს“, რომელმაც მოგების ტოლფასი ქულა წაიღო ვოლგოგრადიდან. ეტყობა, რომანცევმა მთლად კარგ თვალზე ვერ შეხედა ოთარ ხიზანეიშვილს, რადგან ჩვენებური მხოლოდ 89-ე წუთზე შეუშვა მინდორზე, არადა, ისინი ხომ ძველი ნაცნობები არიან „სპარტაკიდან“. ასეა თუ ისე, ხიზანეიშვილის გუნდი ალბათ აღარ გავარდება, „როტორი“ კი უნდა გამოვიგლოვოთ.

ვოლგისპირელთა დღეშია „ყუბანიც“, რომელსაც „რუბინმა“ ბოიარინცევის წყვილი გოლით მოუგო და კრასნოდარელებიც ალბათ იქ დაბრუნდებიან, საიდანაც მოვიდნენ — ქვედა ლიგაში.

გავარდნას გადარჩენილი „ალანია“ სტუმრად ორჯერ უგებდა „ტორპედოს“, მაგრამ ბოლო წუთებზე რუსთა ერთ დროს ამოკაშკაშებული და მალევე ჩამქრალი ვარსკვლავი ალექსანდრ პანოვი აბობოქრდა, 5 წუთში ორჯერ გაუტანა ვლადიკავკაზელებს და „ტორპედოს“ ბრინჯაოს შანსები შეუნარჩუნა. ისიც ვთქვათ, რომ პანოვის გოლებს შორის მოსკოველმა ოსიპოვმა პენალტი გააცუდა.

ცხრილის შუაში გაჩხერილმა „სპარტაკმა“ მასსავით უმოტივაციო „მოსკოვს“ არგენტინელი ფერნანდო კავენაგის მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოუგო. ყმაწვილი კავენაგის პირველ „რუსულ“ გოლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და „სახალხო გუნდის“ თავკაცი ალექსანდრ სტარკოვსიც მეცხრე ცაზე იყო: „ჩემს დანიშვნამდე რა ხდებოდა, ეგ არ მაინტერესებს. ჩემს ხელში კი კავენაგი დაამტკიცებს, რომ მასში გადახდილი მილიონები წყალში არ ჩაყრილა. ფერნანდო გაისად სულ ცოტა, 20 გოლს გაიტანს სეზონში“.

„შინიკმა“ „როსტოვს“ საგოლე მომენტები დააწვიმა, თუმც მხოლოდ 1:0 იკმარა. როსტოველთა ბედი, რომ „ყუბანი“ და „როტორი“ თამაშებს ვერ იგებენ, თორემ მათი ადგილი ქვედა ლიგაში გამზადებული იქნებოდა. ბოლოს კი ისევ ლიდერთა მარაქას მივუბრუნდეთ. ბოლო ტურებში შერცხვენილმა „ზენიტმა“ მთელი ჯავრი რამენსკოეს „სატურნზე“ იყარა და საჩემპიონო (არცთუ დიდი, მაგრამ მაინც) შანსი დაიტოვა. ამ მატჩში გულშემატკივრებმა ორჯერ იხუვლეს სტადიონზე და შაშხანები მიმოაფრქვიეს, ხოლო გოლებიდან ზენიტელი დენისოვისა უნდა აღვნიშნოთ — მარჯვენა მახვილი კუთხიდან უძლიერესი დარტყმით ჩააჭედა ბურთი მასპინძელთა კარში.

და კიდევ, ნევისპირელებს პირველი ტაიმის ბოლოს ბისტროვი გაუძევეს, მაგრამ სამიდან ორი გოლი სწორედ ამის შემდეგ გამოჩარხეს.

**ილია ნანოგაშვილი**



სატურნი — ზენიტი. პეტერბურგელებმა რამენსკოეში საჩემპიონო შანსი შეინარჩუნეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 28 | 16 | 8 | 4 | 49:21 | 56 |
| ლოკომოტივი | 28 | 16 | 7 | 5 | 39:18 | 55 |
| ზენიტი | 28 | 16 | 5 | 7 | 48:32 | 53 |
| ტორპედო | 28 | 15 | 6 | 7 | 48:33 | 51 |
| კრილია | 28 | 15 | 5 | 8 | 47:40 | 50 |
| შინიკი | 28 | 12 | 8 | 8 | 29:26 | 44 |
| სპარტაკი | 28 | 11 | 6 | 11 | 42:41 | 39 |
| სატურნი | 28 | 9 | 11 | 8 | 34:28 | 38 |
| მოსკოვი | 28 | 9 | 10 | 9 | 34:33 | 37 |
| რუბინი | 28 | 6 | 12 | 10 | 28:29 | 30 |
| ალანია | 28 | 7 | 7 | 14 | 26:46 | 28 |
| დინამო | 28 | 6 | 9 | 13 | 26:37 | 27 |
| ამკარი | 28 | 5 | 12 | 11 | 24:39 | 27 |
| როსტოვი | 28 | 6 | 8 | 14 | 26:38 | 26 |
| ყუბანი | 28 | 4 | 10 | 14 | 23:41 | 22 |
| როტორი | 28 | 4 | 10 | 14 | 26:47 | 22 |

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XII ტური**

**დანდი იუნ. 1:2 დანფერმლაინი**
1:0 უილსონი (73), 1:1 ტოდი (8), 1:2 იანგი (90)

**ჰართსი 3:0 დანდი**
1:0 მაკკენა (34), 2:0 ჰარტლი (81), 3:0 უინსი (90)

**ინვერნესი 2:0 ლივინგსტონი**
1:0 ბაინი (39), 2:0 უილსონი (87)

**კილმარნოკი 3:1 ჰიბერნიანი**
1:0 ნიში (20), 2:0 დარგო (40), 3:0 ნიში (42), 3:1 შილსი (69)

**მოზერუელი 2:3 სელტიკი**
0:1 მაკგიდი (41), 0:2 ა. ტომპსონი (65პ), 1:2 კორიგანი (67), 2:2 ფორანი (71პ), 2:3 ბიტი (77)

**რეინჯერსი 5:0 აბერდინი**
1:0 ტომპსონი (39), 2:0 ლოვენკრანდსი (68), 3:0 ნოვო (75), 4:0 რიკსენი (88), 5:0 ნოვო (90პ)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, ენდრიუსი, **ხიზანიშვილი**, ბუმსონგი (ჰატონი 78), მალკოლმი, რიკსენი, ვინალი, ნამუში, ლოვენკრანდსი, პრსო (ს. ტომპსონი 27), ნოვო
**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში
**გაფრთხილება:** ნოვო, მალკოლმი
**მსაჯი:** დალასი
48 918 მაყურებელი

# ხიზანიშვილი ნოვოს ჩაუზიარდა


REUTERS

რეინჯერსი — აბერდინი. გრეგორი ვინალი და „ჩაფრები“ „აბერდინს“ ხუთჯერ გადააფრინდნენ

„აბერდინთან“ შინ მარცხის შემდეგ „სელტიკმა“ სტუმრად „მოზერუელს“ მოუგო, თუმც მარტინ ონილი უკმაყოფილებას არ მალავდა: „გოლები გაგვაქვს, მაგრამ ისე გამოდის, რომ თამაშის მოსაგებად სამზე ნაკლები არ უნდა გავიტანოთ“. შეგახსენებთ — გასულ ტურში „სელტიკმა“ „აბერდინისგან“ სამი გოლი გაუშვა, ამჯერად კი „მოზერუელს“ 2:0-ს უგებდა და მეტოქემ ოთხწუთიან მონაკვეთში გაუთანაბრა.

ანგარიში მაკგიდმა პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა, ალან ტომპსონმა კი სტილიან პეტროვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

მასპინძელმა მარტინ კორიგანმა მარშალს შორიდან გაუტანა და ერთი გაქვითა, ხოლო რიჩი ფორანმა მალევე გაათანაბრა თავისი მონაგრებული თერთმეტმეტრიანი დარტყმით. „სელტიკს“ სამი ქულა შეცვლაზე შესული ფორვარდის, კრეიგ ბიტის გოლმა გამოუჩარხა.

„რეინჯერსმა“ წინა ტურში „სელტიკის“ მძლეველი „აბერდინი“ დაახურდავა და ლიდერთან ოთხქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. „ჩაფრები“ სტივენ ტომპსონმა შეიდიოდ მეტრიდან ზუსტად გასროლილით დააწინაურა. აღსანიშნავია, რომ ტომპსონი ტრავმირებული დადო პრსოს ნაცვლად შევიდა. მეორე ტაიმში რიკსენის პასით პეტერ ლოვენკრანდსმა გაიტანა. საჯარიმოს კუთხიდან ულიერეზად ჩააქრა და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ ნაჩო ნოვომ ხუან ხიზანიშვილის პასი გამოიყენა და „აბერდინი“ უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო. მეტოქის რბევა რიკსენმა გააგრძელა, ხოლო ნოვომ მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო და დუბლი მიითვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 12 | 10 | 1 | 1 | 33:12 | 31 |
| რეინჯერსი | 12 | 8 | 3 | 1 | 23:4 | 27 |
| აბერდინი | 12 | 6 | 4 | 2 | 14:12 | 22 |
| ჰართსი | 12 | 5 | 4 | 3 | 11:8 | 19 |
| კილმარნოკი | 12 | 6 | 1 | 5 | 18:18 | 19 |
| ჰიბერნიანი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:20 | 18 |
| მოზერუელი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:19 | 14 |
| დანფერმლაინი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:16 | 12 |
| ინვერნესი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:19 | 11 |
| დანდი | 12 | 2 | 3 | 7 | 13:22 | 9 |
| ლივინგსტონი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:20 | 9 |
| დანდი იუნ. | 12 | 1 | 5 | 6 | 13:24 | 8 |

**I დივიზიონი. XII ტური**
ერდრი — ფოლკირკი 1:3; კლაიდი — ქუინი 2:0; ჰამილტონი — სენტ მირენი 2:2; პარტიკი — როსი 4:0; რეითი — სენტ ჯონსტონი 1:0

**II დივიზიონი. XII ტური**
ალოა — ბრეჩინი 2:2; ბერვიკი — სტირლინგი 0:1; ფორფარი — დამბარტონი 0:2; მორტონი — ეარი 0:1; სტრანრარი — არბროთი 2:1

**III დივიზიონი. XII ტური**
ისტ სტირლინგი — კოუდენბითი 0:2; გრეტნა — ქუინზ პარკი 4:1; მონტროუზი — ელგინი 2:0; პიტერჰედი — ალბიონი 4:1; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 5:2

# ფოგთსი დამთავრდა



**შოტლანდიის** ნაკრებისა და ბერტი ფოგთსის გზები დღეს ოფიციალურად გაიყრება. გერმანელ მწვრთნელსა და სქოთთა საფეხბურთო კავშირს შორის გასული კვირის განმავლობაში მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომელიც ფოგთსის კონტრაქტის გაწყვეტით დასრულდა.

შოტლანდიამ გერმანელის თავკაცობით მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ცუდად დაიწყო. სამ მატჩში ერთი ქულა — ასეთია ფოგთსის მონაგარი. სქოთი ქომაგები ჯერ ნორვეგიასთან საშინაო მარცხმა გააბრაზა, შემდეგ კი მოლდოვასთან სტუმრად მიღწეულმა ფრემ.

შოტლანდიის საფეხბურთო კავშირის განცხადებით, გერმანელს, სავარაუდოდ, უოლტერ სმიტი შეცვლის, თუმც იმავდროულად გორდონ სტრაჩნის გვარმაც გაიჟღერა.

**ვაჟა ხუციშვილი**





შოტლანდიის ნაკრებს, სავარაუდოდ, უოლტერ სმიტს ან გორდონ სტრაჩანს ჩააბარებენ

## უკრაინა

**უმაღლესი ლიგა**
**XI ტური**

ვორსკლა — დნიპრო 0:0; მეტალურგი (დ) — ტავრია 2:1; მეტალისტი — ზაკარპატია 1:0; ბორისფენი — ჩერნომორეცი 0:1; ობოლონი — ვოლინი 1:2; მეტალურგი (ზ) — დინამო 0:2; კრივბასი — შახტარი 1:2; არსენალი — ილიჩევეცი 5:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 11 | 10 | 0 | 1 | 22:4 | 30 |
| დინამო | 11 | 9 | 1 | 1 | 20:6 | 28 |
| მეტალურგი (დ) | 11 | 7 | 2 | 2 | 19:13 | 23 |
| ვოლინი | 11 | 6 | 2 | 3 | 12:10 | 20 |
| მეტალისტი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:13 | 17 |
| ილიჩევეცი | 11 | 4 | 4 | 3 | 20:15 | 16 |
| კრივბასი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 16 |
| დნიპრო | 11 | 4 | 3 | 4 | 15:17 | 15 |
| ჩერნომორეცი | 11 | 4 | 2 | 5 | 9:9 | 14 |
| არსენალი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | 13 |
| ობოლონი | 11 | 2 | 4 | 5 | 6:9 | 10 |
| მეტალურგი (ზ) | 11 | 1 | 7 | 3 | 8:14 | 10 |
| ზაკარპატია | 11 | 2 | 3 | 6 | 8:14 | 9 |
| ვორსკლა | 11 | 2 | 2 | 7 | 5:13 | 8 |
| ტავრია | 11 | 1 | 3 | 7 | 8:15 | 6 |
| ბორისფენი | 11 | 0 | 5 | 6 | 5:15 | 5 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა**
**XXVI ტური**

ლილესტრიომი — ბრანი 2:2; მიოლდე — ბოდიო გლიმტი 3:0; რუსენბორგი — ლინი 4:1; ვიკინგი — ფრედრიკსტადი 5:2; ვოლერენგა — სტაბეკი 3:0; ტრომსიო — სოგნდალი 3:1; ოდ გრენლანდი — ჰამ კამი 2:2

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 26 | 14 | 6 | 6 | 52:34 | 48 |
| ვოლერენგა | 26 | 13 | 9 | 4 | 40:22 | 48 |
| ბრანი | 26 | 12 | 4 | 10 | 46:40 | 40 |
| ტრომსიო | 26 | 12 | 4 | 10 | 38:32 | 40 |
| ჰამ კამი | 26 | 10 | 8 | 8 | 34:33 | 38 |
| ლინი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:31 | 37 |
| ლილესტრიომი | 26 | 8 | 11 | 7 | 45:33 | 35 |
| ოდ გრენლანდი | 26 | 9 | 8 | 9 | 47:44 | 35 |
| ვიკინგი | 26 | 7 | 12 | 7 | 31:33 | 33 |
| ფრედრიკსტადი | 26 | 9 | 5 | 12 | 42:54 | 32 |
| მოლდე | 26 | 7 | 10 | 9 | 34:37 | 31 |
| ბოდიო გლიმტი | 26 | 7 | 6 | 13 | 28:41 | 27 |
| *სტაბეკი* | 26 | 7 | 6 | 13 | 25:40 | 27 |
| სოგნდალი | 26 | 5 | 7 | 14 | 39:57 | 22 |

## საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა. VI ტური**

ოლიმპიაკოსი — პაოკ 5:1; პანათინაიკოსი — პანიონიოსი 4:0; ერგოტელისი — ხალკიდონა 1:1; კალითეა — ოფი 3:1; იონიკოსი — ირაკლისი 1:0; აპოლონი — კერკერა 3:0; ეგალეო — ქსანთი 1:1; არისი — აეკ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| პანათინაიკოსი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| ქსანთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| ხალკიდონა | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| ეგალეო | 6 | 2 | 4 | 0 | 4:2 | 10 |
| აპოლონი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| პაოკ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:10 | 8 |
| კალითეა | 6 | 2 | 1 | 3 | 11:12 | 7 |
| ოფი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| იონიკოსი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:5 | 7 |
| ირაკლისი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:6 | 6 |
| პანიონიოსი | 6 | 2 | 0 | 4 | 3:9 | 6 |
| კერკერა | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| არისი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:10 | 3 |
| ერგოტელისი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:11 | 2 |

## ფინეთი

**თასის ფინალი**

**ჰაამენლინა 1:2 მიუპა**
0:1 პუჰაკაინენი (23), 1:1 ბირნესი (51), 1:2 აჰო (90)

## შვედეთი

**ალსვენსკა. XXVI ტური**

იურგორდენი — ჰელსინგბორგი 2:1; ჰალმსტადი — გიოტებორგი 1:1; ჰამარბი — კალმარი 0:3; მალმიო — ელფსბორგი 1:0; იორებრო — ლანდსკრონა 2:0; იორგრიტე — სუნდსვალი 1:3; ტრელებორგი — აიკ 1:3

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 26 | 15 | 7 | 4 | 44:21 | 52 |
| ჰალმსტადი | 26 | 14 | 8 | 4 | 53:27 | 50 |
| გიოტებორგი | 26 | 14 | 5 | 7 | 33:20 | 47 |
| იურგორდენი | 26 | 11 | 8 | 7 | 38:32 | 41 |
| კალმარი | 26 | 10 | 10 | 6 | 27:18 | 40 |
| ჰამარბი | 26 | 10 | 7 | 9 | 28:28 | 37 |
| იორებრო | 26 | 9 | 6 | 11 | 32:45 | 33 |
| სუნდსვალი | 26 | 8 | 8 | 10 | 28:30 | 32 |
| ელფსბორგი | 26 | 8 | 8 | 10 | 25:32 | 32 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 7 | 9 | 10 | 41:33 | 30 |
| ლანდსკრონა | 26 | 7 | 9 | 10 | 27:33 | 30 |
| იორგრიტე | 26 | 6 | 10 | 10 | 25:33 | 28 |
| აიკ | 26 | 5 | 10 | 11 | 23:35 | 25 |
| ტრელებორგი | 26 | 2 | 7 | 17 | 18:55 | 13 |

## თურქეთი

**სუპერლიგა**
**XI ტური**

ტრაბზონი — დიარბაქირი 4:1; გენჩლერი — ისთანბული 1:0; ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 2:1; დენიზლი — სამსუნი 2:0; გაზიანთეფი — რიზე 0:1; ანკარა — ანკარაგიუჯიუ 2:0; მალათია — ქაისერი 0:1; საქარია — კონია 1:4; გალათასარაი — სებათი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 11 | 9 | 1 | 1 | 28:8 | 28 |
| გალათასარაი | 11 | 9 | 1 | 1 | 24:7 | 28 |
| ტრაბზონი | 11 | 8 | 2 | 1 | 24:8 | 26 |
| დენიზლი | 11 | 7 | 0 | 4 | 16:13 | 21 |
| მალათია | 11 | 6 | 1 | 4 | 20:13 | 19 |
| რიზე | 11 | 5 | 3 | 3 | 13:7 | 18 |
| ბეშიქთაში | 11 | 4 | 3 | 4 | 22:16 | 15 |
| სამსუნი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:16 | 15 |
| ანკარა | 11 | 4 | 3 | 4 | 16:16 | 15 |
| გენჩლერი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:14 | 15 |
| გაზიანთეფი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| კონია | 11 | 3 | 5 | 3 | 19:22 | 14 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 3 | 3 | 5 | 8:14 | 12 |
| დიარბაქირი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:18 | 12 |
| ქაისერი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:23 | 8 |
| ისთანბული | 11 | 1 | 3 | 7 | 8:20 | 6 |
| სებათი | 11 | 0 | 4 | 7 | 11:28 | 4 |
| საქარია | 11 | 1 | 1 | 9 | 7:25 | 4 |

# ანრიმაც რომ დაარტყა...

ეროვნული ბიბლიოთეკა




მანჩესტერელებმა არსენ ვენგერი ასოციაციის სასამართლოში დაიბარეს

„მანჩესტერ“ — „არსენალის“ ექო კვლავ ძლიერია.

რუუდ ვან ნისტელროის სამმატჩიან დისკვალიფიკაციას „მანჩესტერმა“ საჩივარი მიაყოლა: ფეხბურთის ასოციაციამ ტიერი ანრიც უნდა დასაჯოსო.

სერ ალექს ფერგიუსონი ამტკიცებს, რომ ანრიმ განგებ მოარტყა მუხლი თავში გაბრიელ ჰაინცეს და ეს ეპიზოდი, ვან ნისტელროიენდი კოულის ეპიზოდისგან განსხვავებით, შეუმჩნეველი დარჩა.

„მანჩესტერმა“ მთელი კასეტა მოამზადა, რომელშიც ამ მატჩის უხეშობებია აღბეჭდილი. ეს არის პასუხი „არსენალის“ პრეტენზიაზე, მასპინძლები გვჩეხავდნენ, მსაჯი მაიკ რაილი კი დუმდაო. ჰაინცეს ეპიზოდი კი ასეთია: ფრედი ლიუნგბერგი მანჩესტერელს აქცევს მარცხენა ფრთაზე, ამ დროს ანრი ბურთზე მიდის, ჰაინცე წამოდგომას ლამობს, ანრი კი მას მუხლს არტყამს თავში.

მსაჯმა ეს შეჯახება საბრძოლო, შემთხვევით ეპიზოდად ჩათვალა.

ამას გარდა: „ედუმ საზიზღრად მოცელა სქოულზი, ასე ფეხი ტყდება ხალხს“ — ამბობს ფერგი.

„არსენალი“ 24-ჯერ დაჯარიმდა. 7-ჯერ ჰაინცეზე, 5-ჯერ კრისტიანო რონალდოზე. ვიეირამ 6-ჯერ წააქცია ჩვენიანი და მხოლოდ ამ მეექვსეზე გააფრთხილეს. ფილ ნევილს კი პირველივე წაქცევაზე ყვითელი აუფრიალეს.

მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. ჩვენ ღირსეულად წაგება ვიცით. ისინი კი ყოველთვის ასე იქცევიან, ოღონდ კი მოგება ჩაგამწარონ“.

ამას გარდა, „მანჩესტერს“ მოზრდილი საქაღალდეც შეუტანია ასოციაციაში, სადაც გასახდელში მომხდარი ამბები და ფერგიუსონისთვის მავანი „მეთოფისგან“ ტომატის წვნიანის შესხმაა აღწერილი.

მოკლედ, „მანჩესტერი“ ფინთად შეუჩნდა „არსენალს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

## დანია

### სუპერლიგა. XIII ტური

ორჰუსი — მიდტიულანდი 2:2; ნორდსიელანდი — კოპენჰაგენი 2:3; ოლბორგი — რანდერსი 1:1; ჰერფიოლგე — ესბიერგი 1:1; ვიბორგი — ოდენსე 1:0; სილკებორგი — ბრონდბიუ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 13 | 9 | 3 | 1 | 21:7 | 30 |
| ვიბორგი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:10 | 24 |
| მიდტიულანდი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:18 | 21 |
| კოპენჰაგენი | 13 | 5 | 5 | 3 | 21:21 | 20 |
| ოდენსე | 13 | 6 | 1 | 6 | 24:18 | 19 |
| ორჰუსი | 13 | 5 | 4 | 4 | 22:18 | 19 |
| ოლბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 21:15 | 18 |
| ესბიერგი | 13 | 5 | 3 | 5 | 26:21 | 18 |
| ჰერფიოლგე | 13 | 4 | 2 | 7 | 14:27 | 14 |
| სილკებორგი | 13 | 4 | 1 | 8 | 21:25 | 13 |
| ნორდსიელანდი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:23 | 12 |
| რანდერსი | 13 | 2 | 3 | 8 | 11:27 | 9 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIII ტური

სერვეტი — აარაუ 1:0; ქსამაქსი — სენტ გალენი 3:0; იანგ ბოისი — თუნი 2:1; შაფჰაუზენი — გრასჰოპერი 1:2; ციურიხი — ბაზელი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 13 | 7 | 4 | 2 | 27:13 | 25 |
| თუნი | 13 | 6 | 3 | 4 | 18:10 | 21 |
| იანგ ბოისი | 13 | 5 | 5 | 3 | 24:19 | 20 |
| ქსამაქსი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:16 | 19 |
| ციურიხი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:16 | 18 |
| აარაუ | 13 | 4 | 4 | 5 | 18:19 | 16 |
| გრასჰოპერი | 13 | 3 | 6 | 4 | 11:20 | 15 |
| სერვეტი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:21 | 13 |
| შაფჰაუზენი | 13 | 2 | 6 | 5 | 16:23 | 12 |
| სენტ გალენი | 13 | 2 | 5 | 6 | 17:25 | 11 |

*„სერვეტს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XI ტური

სპარტა — სიგმა 2:0; ბრნო — პრჟიბრამი 1:2; სლოვაცკო — ზლინი 3:0; დრნოვიცე — ლიბერეცი 1:1; იაბლონეცი — ბლშანი 3:0; ბოლესლავი — ბანიკი 1:1; ოპავა — ბუდეიოვიცე 2:2. *ტეპლიცე — სლავია დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 9 | 2 | 0 | 26:8 | 29 |
| სიგმა | 11 | 7 | 1 | 3 | 16:12 | 22 |
| ლიბერეცი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:5 | 20 |
| ტეპლიცე | 10 | 5 | 5 | 0 | 12:6 | 20 |
| იაბლონეცი | 11 | 4 | 4 | 3 | 13:11 | 16 |
| სლოვაცკო | 11 | 4 | 4 | 3 | 8:6 | 16 |
| ბანიკი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:15 | 16 |
| სლავია | 10 | 4 | 3 | 3 | 10:8 | 15 |
| ბრნო | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | 14 |
| დრნოვიცე | 11 | 3 | 3 | 5 | 12:13 | 12 |
| ზლინი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:14 | 11 |
| პრჟიბრამი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:19 | 11 |
| ოპავა | 11 | 2 | 4 | 5 | 13:17 | 10 |
| ბლშანი | 11 | 2 | 3 | 6 | 6:13 | 9 |
| ბუდეიოვიცე | 11 | 1 | 4 | 6 | 7:13 | 7 |
| ბოლესლავი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:16 | 7 |

## ხორვატია

### ნაციონალლიგა. XIII ტური

ზაგრები — ჰაიდუკი 2:0; სლავენი — ვარტექსი 0:1; მედიმურიე — ინტერი 0:0; ზადარი — ოსიეკი 2:4; დინამო — პულა 3:0; კამენი — რიეკა 3:2

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XV ტური

ადმირა — პაშინგი 2:4; ბრეგენცი — ზალცბურგი 1:1; ტიროლი — აუსტრია 0:2; გრაცერი — მატერსბურგი 1:1; რაპიდი — შტურმი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 15 | 10 | 4 | 1 | 29:11 | 34 |
| აუსტრია | 15 | 9 | 4 | 2 | 34:9 | 31 |
| პაშინგი | 15 | 10 | 1 | 4 | 31:20 | 31 |
| გრაცერი | 15 | 8 | 2 | 5 | 18:13 | 26 |
| ტიროლი | 15 | 5 | 3 | 7 | 18:23 | 18 |
| ადმირა | 15 | 5 | 2 | 8 | 20:25 | 17 |
| ზალცბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:21 | 16 |
| მატერსბურგი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:26 | 15 |
| შტურმი | 15 | 3 | 3 | 9 | 8:19 | 12 |
| ბრეგენცი | 15 | 2 | 4 | 9 | 15:42 | 10 |

## პოლონეთი

### I ლიგა X ტური

კატოვიცე — კრაკოვია 1:0; ლეჩნა — ლეხი 2:0; გროცლინი — გურნიკი 3:1; პოგონი — ამიკა 1:0; პოლონია — ოდრა 1:0; პლოცკი — ზაგლებე 2:0; ვისლა — ლეგია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 10 | 8 | 2 | 0 | 33:4 | 26 |
| გროცლინი | 10 | 8 | 0 | 2 | 17:8 | 24 |
| ამიცა | 10 | 5 | 3 | 2 | 17:10 | 18 |
| ლეგია | 10 | 5 | 3 | 2 | 11:9 | 18 |
| პლოცკი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:14 | 17 |
| კრაკოვია | 10 | 4 | 2 | 4 | 15:12 | 14 |
| პოლონია | 10 | 4 | 2 | 4 | 11:15 | 14 |
| პოგონი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:23 | 13 |
| ზაგლებე | 10 | 3 | 3 | 4 | 17:20 | 12 |
| გურნიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:11 | 10 |
| ლეხი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:20 | 10 |
| ოდრა | 11 | 3 | 0 | 8 | 11:16 | 9 |
| ლეჩნა | 10 | 3 | 0 | 7 | 11:20 | 9 |
| კატოვიცე | 10 | 2 | 1 | 7 | 10:26 | 7 |

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა XI ტური

უიპეშტი — პეჩი 1:1; ნირედიჰაზა — დიოშ ეტო 1:1; კაპოშვარი — დიოშდიორი 0:1; ვაშაში — ჰონვედი 4:1; ტატაბანია — დებრეცენი 1:1; მტკ — ვიდეოტონი 2:2; შოპრონი — ზალაეგერსეგი 1:2; ბეკეშჩაბა — ფერენცვაროში 0:3

## ირლანდია

### პრემიერლიგა XXXIII ტური

დროჰედა — ბოჰემიანსი 0:3; შელბურნი — კორკ სიტი 0:0; სენტ პატრიკსი — ლონგფორდი 1:0; დერი სიტი — დუბლინი 2:3; უოტერფორდი — შემროკი 2:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XI ტური

კაშიმა — იოკოჰამა 3:1; ოიტა — კობე 2:0; შიმიცუ — ნაგოია 1:2; სერეზო — ურავა 0:2; ვერდი — ივატა 1:2; ჰიროშიმა — ტოკიო 1:1; იჩიჰარა — გამბა 2:2. ნიიგატა — კაშივა გადაიდო

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VIII ტური

**პენაფიელი 0:3 სპორტინგი**

0:1 ნუნუ სილვა (48ს.კ.), 0:2 კ. კასტრო (72), 0:3 ლიდსონი (88)

**ნასიონალი 2:2 პორტუ**

0:1 დიეგო (1), 0:2 მაკკარტი (51), 1:2 მეირელეში (90ს.კ.), 2:2 ადრიანუ (90)

**რიუ ავე 3:1 აკადემიკა**

1:0 გამა (45), 2:0 ნასიმენტუ (48), 2:1 ლ. ფონსეკა (713), 3:1 პაულუ სეზარი (90)

**ეშტორილი 5:0 ბეირა მარი**

1:0 არიეტა (11), 2:0 დორივალი (15), 3:0 არიეტა (36), 4:0, 5:0 მონტანინი (78, 89)

**ლეირია 0:0 მორეირენსე**

**ბელენენსეში 1:2 ბოავიშტა**

0:1 ა. ბარეტო (6), 1:1 ანშოე (14), 1:2 ტიაგუ (90)

**ჟილ ვისენტე 1:1 ბენფიკა**

1:0 ნანდინიო (39), 1:1 სიმაო (90)

**მარიტიმუ — ბრაგა**

*დღეს გაიმართება*

**სეტუბალი — გიმარაეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 8 | 5 | 2 | 1 | 11:6 | 17 |
| პორტუ | 8 | 4 | 4 | 0 | 13:6 | 16 |
| სეტუბალი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:8 | 14 |
| ბოავიშტა | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| მარიტიმუ | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| რიუ ავე | 8 | 2 | 6 | 0 | 9:6 | 12 |
| ბრაგა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 12 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 1 | 4 | 13:13 | 10 |
| ნასიონალი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:13 | 10 |
| ეშტორილი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| ლეირია | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | 9 |
| ბეირა მარი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:15 | 8 |
| გიმარაეში | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| აკადემიკა | 8 | 2 | 1 | 5 | 8:12 | 7 |
| მორეირენსე | 8 | 1 | 4 | 3 | 6:10 | 7 |
| პენაფიელი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:19 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 1 | 1 | 6 | 8:12 | 4 |

### მეორე ლიგა. VIII ტური

ფეირენსე — ფელგეირაში 1:0; მაია — ვარზიმი 3:0; ავეში — გონდომარი 1:0; ოვაირენსე — ოლიალენსე 4:2; პორტიმონენსე — ლეიშოეში 0:1; ამადორა — მარკუ 6:2; ნავალი — შავეში 2:0; ფერეირა — ალვერკა 1:0; სანტა კლარა — ესპინიუ 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამადორა | 8 | 6 | 1 | 1 | 15:5 | 19 |
| მაია | 8 | 6 | 1 | 1 | 11:3 | 19 |
| ნავალი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:6 | 16 |
| ავეში | 8 | 5 | 0 | 3 | 13:5 | 15 |
| მარკუ | 8 | 4 | 3 | 1 | 13:10 | 15 |
| ოვაირენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 13:11 | 14 |
| ოლიალენსე | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ფერეირა | 8 | 3 | 3 | 2 | 10:7 | 12 |
| ლეიშოეში | 8 | 3 | 2 | 3 | 8:7 | 11 |
| ვარზიმი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:12 | 11 |
| პორტიმონენსე | 8 | 3 | 1 | 4 | 11:10 | 10 |
| გონდომარი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| ალვერკა | 8 | 2 | 1 | 5 | 3:7 | 7 |
| სანტა კლარა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:15 | 7 |
| ფეირენსე | 8 | 2 | 1 | 5 | 6:13 | 7 |
| შავეში | 8 | 2 | 1 | 5 | 3:10 | 7 |
| ფელგეირაში | 8 | 1 | 3 | 4 | 3:7 | 6 |
| ესპინიუ | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | 5 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. X ტური

**როდა 1:1 ვალვაიკი**

0:1 ფუხსი (7), 1:1 ვან დიიკი (863)

**ტილბურგი 3:0 როზენდალი**

1:0 რედანი (68), 2:0 ჰადური (72), 3:0 კალუვე (78)

**ტვენტე 1:4 ვიტესი**

0:1 ფრანკელი (35), 0:2 ჰოფსი (69), 0:3 კნოპერი (81), 0:4 იანსენი (84), 1:4 კრისტენსენი (90)

**უტრეხტი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

**ალკმაარი 4:1 ფეიენოორდი**

1:0 მატიისენი (4), 1:1 კრომკამპი (42ს.კ.), 2:1, 3:1 კ. პერეზი (62, 76), 4:1 ნელისე (88)

**გრონინგენი 4:3 დენ ჰააგი**

0:1 დენ უდენი (18), 1:1 სალმონი (22), 2:1 ს. ზეედორფი (45), 3:1 ელშოტი (503), 4:1 სალმონი (59), 4:2 ვან დერ გუნი (88), 4:3 პოლაკი (90)

**აიაქსი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 ვან დერ ვაარტი (24)

**დენ ბოსხი 2:4 ჰერენვენი**

1:0 ვან დერ ლააკი (27), 1:1 ჰუნტელაარი (44), 2:1 შულპი (64), 2:2 ჰუნტელაარი (79), 2:3 როზე (87), 2:4 სამარასი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 9 | 7 | 2 | 0 | 25:5 | 23 |
| ფეიენოორდი | 10 | 7 | 1 | 2 | 29:12 | 22 |
| ალკმაარი | 10 | 6 | 3 | 1 | 23:11 | 21 |
| ჰერენვენი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:17 | 19 |
| აიაქსი | 10 | 5 | 3 | 2 | 21:13 | 18 |
| უტრეხტი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:12 | 17 |
| ტილბურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:17 | 17 |
| ბრედა | 10 | 5 | 2 | 3 | 22:25 | 17 |
| ვიტესი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:16 | 14 |
| როდა | 11 | 4 | 2 | 5 | 19:21 | 14 |
| ნაიმეგენი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 12 |
| ვალვაიკი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | 12 |
| ტვენტე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | 11 |
| გრონინგენი | 10 | 2 | 4 | 4 | 15:18 | 10 |
| დენ ბოსხი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:27 | 8 |
| დენ ჰააგი | 10 | 2 | 1 | 7 | 12:20 | 7 |
| გრააფსხაპი | 10 | 0 | 4 | 6 | 11:23 | 4 |
| როზენდალი | 10 | 1 | 1 | 8 | 10:28 | 4 |

### II დივიზიონი. XI ტური

ვეენდამი — სპარტა 0:3; სიტარდი — ზვოლე 2:1; ტელსტარი — ვენლო 0:0; ექსელსიორი — ჰაარლემი 2:0; იგლსი — კამბური 1:3; ჰერაკლესი — მაასტრიხტი 5:1; დოორდრეხტი — ემენი 1:0; აპელდორნი — ეინდჰოვენი 4:0; ჰელმონდი — ოსი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერაკლესი | 10 | 8 | 1 | 1 | 22:8 | 25 |
| ვენლო | 9 | 6 | 3 | 0 | 21:7 | 21 |
| დოორდრეხტი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:13 | 21 |
| ვოლენდამი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:11 | 19 |
| ზვოლე | 11 | 5 | 4 | 2 | 17:11 | 19 |
| ჰაარლემი | 10 | 6 | 0 | 4 | 22:12 | 18 |
| სპარტა | 10 | 5 | 3 | 2 | 22:16 | 18 |
| აპელდორნი | 10 | 5 | 0 | 5 | 20:17 | 15 |
| ექსელსიორი | 11 | 4 | 1 | 6 | 19:18 | 13 |
| ვეენდამი | 10 | 3 | 3 | 4 | 17:16 | 12 |
| ჰელმონდი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | 12 |
| სიტარდი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | 12 |
| ოსი | 11 | 4 | 0 | 7 | 17:26 | 12 |
| ტელსტარი | 11 | 2 | 5 | 4 | 12:14 | 11 |
| მაასტრიხტი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | 11 |
| ემენი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:22 | 9 |
| კამბური | 10 | 2 | 3 | 5 | 7:17 | 9 |
| იგლსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:19 | 8 |
| ეინდჰოვენი | 11 | 1 | 4 | 6 | 11:27 | 7 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. XI ტური

**სტანდარდი 1:4 ბრიუგე**

0:1 ბალაბანი (23), 1:1 ჩიტე (27), 1:2, 1:3 ენგელბერტი (61, 78), 1:4 ტ. სიმონსი (87)

**ლოკერენი 2:2 ანდერლეხტი**

0:1 ვილჰელმსონი (13), 1:1 დოს სანტოსი (19), 2:1 ადემილსონი (24), 2:2 დინდანე (48)

**შარლერუა 1:0 ოსტენდე**

1:0 ულმერსი (9)

**ბრიუსელი 1:3 ბევერენი**

1:0 კულეკი (18), 1:1 ებური (32), 1:2 არუნინა (44), 1:3 ბადიანი (50)

**ლუვიე 4:0 მონსი**

1:0 მატონი (16), 2:0 ტოი (26), 3:0 იშიაკუ (61), 4:0 ვან ჰენდენჰოვენი (67)

**გენკი 1:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 ენგელაარი (44)

**ვესტერლო 1:0 ბეერსხოტი**

1:0 პულე (70)

**სერკლ ბრიუგე 2:1 გენტი**

0:1 ჩერადი (7), 1:1 დეკელვერი (72), 2:1 დესმე (74)

**მუსკრონი 1:3 ლიერსი**

0:1 ტომსონი (8), 1:1 დიმბალა (16), 1:2 იმშო (40), 1:3 უილსი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 11 | 9 | 2 | 0 | 30:5 | 29 |
| ანდერლეხტი | 11 | 8 | 1 | 2 | 26:13 | 25 |
| ლუვიე | 11 | 6 | 2 | 3 | 20:10 | 20 |
| შარლერუა | 11 | 6 | 1 | 4 | 14:15 | 19 |
| ლოკერენი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| გენტი | 11 | 6 | 0 | 5 | 16:18 | 18 |
| სტანდარდი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:13 | 17 |
| გენკი | 11 | 4 | 5 | 2 | 12:12 | 17 |
| ლიერსი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:18 | 16 |
| სერკლი | 11 | 5 | 1 | 5 | 20:26 | 16 |
| ბევერენი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:12 | 15 |
| მუსკრონი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:12 | 15 |
| ვესტერლო | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | 14 |
| ბეერსხოტი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:11 | 13 |
| სენტ ტრუიდენი | 11 | 2 | 3 | 6 | 8:17 | 9 |
| ბრიუსელი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:20 | 7 |
| მონსი | 11 | 1 | 3 | 7 | 9:20 | 6 |
| ოსტენდე | 11 | 0 | 4 | 7 | 10:22 | 4 |

### მეორე ლიგა. XI ტური

ანტვერპენი — პატრო 0:1; დაინცე — კორტრაიკი 4:1; აალსტი — ტუბიცე 3:2; ვაასლანდი — ვიგორი 2:0; ვირტონი — ჰეუსდენი 1:0; რუზელარე — ეუპენი 1:0; სენტ ჟილი — გეელი 1:4; ვარეგემი — ვიზეტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანტვერპენი | 11 | 8 | 1 | 2 | 20:9 | 25 |
| ვარეგემი | 11 | 7 | 3 | 1 | 25:12 | 24 |
| გეელი | 11 | 8 | 0 | 3 | 25:13 | 24 |
| რონსი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:9 | 20 |
| ვაასლანდი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:10 | 20 |
| ტუბიცე | 11 | 5 | 2 | 4 | 19:16 | 17 |
| პატრო | 11 | 4 | 4 | 3 | 14:15 | 16 |
| ვირტონი | 11 | 3 | 5 | 3 | 14:15 | 14 |
| რუზელარე | 11 | 4 | 2 | 5 | 13:14 | 14 |
| ვიგორი | 11 | 3 | 5 | 3 | 13:14 | 14 |
| ჰეუსდენი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:15 | 14 |
| დაინცე | 11 | 4 | 2 | 5 | 18:24 | 14 |
| დესელი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| აალსტი | 11 | 2 | 5 | 4 | 14:16 | 11 |
| ეუპენი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:21 | 9 |
| სენტ ჟილი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| კორტრაიკი | 11 | 2 | 2 | 7 | 15:22 | 8 |
| ვიზეტი | 11 | 0 | 4 | 7 | 7:17 | 4 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# რაც გვინახავს, ისიც ვეღარ ვნახეთ

## ახალი დროშა ძველ თოჯზე

31 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 110:81 მაკაბი**

26:24 33:16 26:20 25:21

ავიამშენი: თორთლაძე (4), ნიკოლაძე (18), ხოშტარია (13), ბოლქვაძე (6), შენგელია (9); მოსეშვილი (2), წოწელია (6), ნინიაშვილი (24), ორმოცაძე (3), ბერძენიშვილი (25), აბრამიძე

მაკაბი: ნინოშვილი (16), ბადრიძე (13), ფიცხელაური (2), კონჯარია (22), ვაშაკიძე (13); გვარამაძე (4), ერგემლიძე (8), ენუქიძე, კორკოტაძე (3)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**სტუ 93:76 თუჯი**

31:11 19:26 14:16 29:23

სტუ: დ. ბერიშვილი (23), გოგობერიშვილი (18), მიქაძე (7), კეიდია (16), შანიძე (21); პირველაშვილი (2), გაგნიძე (6), კოხრეიძე, დევიძე

თუჯი: არწივიძე (2), ბოისა (4), ჩაჩუა (10), ტყეშელაშვილი (20), დანელიანი (17); ფაიქრიძე, გოგსაძე, ლიპარტელიანი (3), ცეკვავა (2), მურჯიკნელი (3), გოგილაშვილი, ჭოჭუა (15)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**თსუ 77:64 დინამო**

27:12 21:14 15:24 14:14

თსუ: ვეფხვაძე (6), ლეჟავა (17), ი. მაისურაძე (9), ფანჩულიძე (22), კოკოლიშვილი (5); გაფრინდაშვილი (4), მარხვაშვილი (4), ბაქრაძე (2), ბერაია (8), ლომიძე

დინამო: გამყრელიძე (7), ლაფანაშვილი (12), ლოსაბერიძე (25), დიდია (5), სუხიშვილი; ბექაური (6), გულისაბედაშვილი, კვიმსაძე (7), დერიუგინი (2), ვ. მაისურაძე, ხურცია

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე





დრაჟენ ბრაიკოვიჩის გარეშე დარჩენილ „დინამოს" ზურაბ ტომარაძე გაუძღვა

**ირაკლი პერტაია**

გუშინ საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატი ძველებური უბრალოებით და უპრეტენზიოდ დაიწყო.

ეროვნულის გახსნის ცერემონიალის სცენარი არ იცვლება. გეცოდინებათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: იმ გუნდების კაპიტნები, რომელთა მატჩიც გახსნას ემთხვა, მიდიან კუთხეში და ჭერში გაბმული ბაწარით, ეროვნული ჰიმნის თანხლებით მასზე დამაგრებულ სახელმწიფო დროშას ზეაღმართავენ. ამის შემდეგ მსაჯთა მაგიდიდან კაკო მეგრელაძე დგება და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მისასალმებელი სიტყვით მოგვმართავს, რომლის შინაარსიც ალბათ უკვე დაზეპირებული ექნება 14-ვე ჩემპიონატის გახსნის მნახველს — ასეთი კი ალბათ ცალი ხელის თითებსაც ვერ მოილევს.

ასე იყო თუ ისე, ახალი ჩემპიონატი ძველებურად დაიწყო და კალათბურთის ტრფიალი თბილისელი პენსიონერები, ახალგაზრდები და ბავშვები — თუ საქმე არაფერი აქვთ — კვირაობით შემოივლიან ხოლმე ვერის ბაღში და კვლავ იხილავენ იმას, რასაც სეზონიდან სეზონამდე უყურებენ...

ჩვენც შევუდგეთ იმ ამბების თხრობას, რაც ვერის ბაღში მოხდება. რა დაგიმალოთ და, ამ საქმის კეთებისას დიდი მოწადინება და ღრმა ფანტაზიის მოძიება აუცილებელია, რადგან, როცა ქართული კლუბები თამაშობენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა მოედანზე საინტერესო არაფერი ხდება.

ასე იყო გუშინაც. მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდები თამაშობდნენ, სამიდან ორ მატჩში მაყურებელმა ვერ იხილა დაძაბული და ეშხიანი ბრძოლა. ასეთი უინტერესო ტურები კი ამ ჩემპიონატში წინანდელთან შედარებით ბლომად გამოერევა, რაკი გამორჩეულად ძლიერი გუნდი მხოლოდ ორია და სანამ ისინი ერთმანეთს არ შეხვდებიან, სულისშემძვრელ ორთაბრძოლებს ნაკლებად უნდა ველოდოთ. ამ გუნდებმა გუშინ ერთი ხელის გაქნევით ჩაიწერეს პირველი გამარჯვებები და სავარაუდოდ ასევე ყოჩაღად ივლიან მანამ, სანამ პირველი წრის ბოლო ტურში, 12 დეკემბერს მათი გზები არ გადაიკვეთება.

ლაპარაკია „თბილავიამშენსა" და „სტუ-ჯეოსელზე". პირველმა ამ ჩემპიონატის გახსნის მატჩში „მაკაბი" შემუსრა, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა კი სულ ლაბუც-ბურთაობაში სძლია რუსთავის „თუჯს".

„თბილავიამშენი" შეიქმნა, „თბილავიამშენიო" — რომ ისმოდა აქეთიქიდან, ყველას აინტერესებდა, რა გუნდი გააკეთა ლევან მოსეშვილმა და ამ გუნდის „მაკაბისთან" მატჩის მთავარი ინტრიგაც ეს გახლდათ. ავიატორებს საქართველოს ჩემპიონტის ორი ყველაზე ძლიერი ცენტრი ჰყავთ — დავით ბერძენიშვილი და კახა შენგელია. უკანა ხაზშიც ძალიან სწრაფი და გამოცდილი ხალხი თამაშობს, რაც ლევან მოსეშვილის გუნდს ნებისმიერ მეტოქესთან უპირატესობას ანიჭებს. რაკი ასეა საქმე, „მაკაბი" ვერაფერი მოწინააღმდეგე უნდა გამომდგარიყო ავიატორთათვის და ასეც მოხდა. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაილაღა, როცა 11:19 ჩამორჩენილმა მეოთხედის მიწურულს გალიდერება მოახერხა — 24:23. ამან ალბათ განარისხა ავიატორები და მეორე ათწუთეულიდან რომ მიჰყვნენ, სულ ბდღვირი აღინეს მეტოქეს.

შეუდარებელი იყო ზორბა ავიატორი დავით ბერძენიშვილი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა ფარქვეშ და აუღელვებლად მოაგროვა 25 ქულა. ირაკლი ხოშტარია უფრო დაცვაზე ფიქრობდა, თორემ ბევრად მეტ ქულას მოიხვეჭდა.

საკმაოდ ნიშანდობლივი იყო თორნიკე ნინიაშვილის თამაში, რომელიც ერთი დავიდარაბის ფასად გადავიდა ხუხაშვილის გუნდიდან „ავიამშენში". ახლა კი — არ მიშვებდითო და — ნინიაშვილმა ყოფილ გუნდს 24 ქულა დაატეხა. მოსეშვილის გუნდმა დიდი ანგარიშით იმარჯვა და რომ ჰკითხო, წაგებას საერთოდ არ აპირებს.

ავიატორთა უმთავრესმა კონკურენტმა „სტუ-ჯეოსელმა" კი „თუჯი" გამოიჭირა, პირველივე მეოთხედში ოცი ქულით ჩამოიტოვა და მერე შანსი აღარ მიუცია. გამოსარჩევი იყო სულით რუსთაველი და ხორცით სტუ-ელი რამაზ გოგობერიშვილის ჩაუქობა, ვინც ლამის 40 წუთი ითამაშა და თანაქალაქელებს მრავალი თავსატეხი გაუჩინა. „გოგობერამ" აიყოლა ტექნიკოსთა მკვირცხლი გამთამაშებელი დავით ბერიშვილი და მასთან ტანდემში 41 ქულა მოიხვეჭა, რაც საკმარისი აღმოჩნდა რუსთაველთა გასატეხად.

მესამე ვერისბაღულ მატჩში კი ოსტატ-შეგირდის დუელი შედგა. ზურაბ ტომარაძე ერთ დროს „ვითაში" მოძღვრავდა მამუკა ტურაშვილს, ახლა კი მათი გუნდები დაეჯახნენ ერთმანეთს.

დრაჟენ ბარიკოვიჩის წასვლის შემდეგ „დინამო", ცხადია, ხორვატის თანაშემწე ტომარაძემ ჩაიბარა და ყოფილ შეგირდთან დებიუტიც წარუმატებელი გამოუვიდა.

„დინამომ" წააგო თსუ-სთან, თან ისე, რომ წარმატების მისხალი შანსი არ ჰქონდა. ამჟამინდელი და დუდუ დადიანის ფინალში დასანანად დამარცხებული „დინამო" სულ სხვა გუნდები იყვნენ. ბრაიკოვიჩის სამწყსომ მაშინ თსუ-ზე გაცილებით შემძლე „სტუ-ჯეოსელზე" გაიწია, გუშინ კი იმ გუნდის აჩრდილიღა ვნახეთ და ასეთ დიდ სხვაობას ვერაფრით დავაბრალებთ შიო ხეცურიანის არყოფნას, რომელმაც დადიანის ტურნირზე ფორმის შესანარჩუნებლად ითამაშა „დინამოს" მაისურით.

თსუ-მ ყველაფერში აჯობა „დინამოს", რომელსაც ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება ახალ მწვრთნელზე გადასაწყობად. თსუ-ზე კი ის უნდა ვთქვათ, რომ ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდები ჰყავს და ისინი რომ არა, მხოლოდ ირაკლი ბაქრაძის, ნუგზარ კოკოლიშვილისა და ირაკლი მაისურაძის გამოცდილების ხარჯზე ასე იოლ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდნენ.

31 ოქტომბერი. თელავი

**ბურჯი 84:87 სსუ**

15:26 22:17 24:14 23:30

ბურჯი: იაგორაშვილი (21), სეხნიაძე (3), პაპუნაშვილი (7), ნუცუბიძე (6), აკოლაშვილი (26), დოლმაზაშვილი (10), ქისტაური (11), ამირანაშვილი

სსუ: პატარაია (9), ნინუა (24), იმედაშვილი (2), ურიდია (10), გასიტაშვილი, ნოზაძე (2), ონიკაშვილი (13), გოლეთიანი (8), მ. ბერიშვილი (16)

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, ლიკა ქაჯაია; კომისარი: როლანდ ხომერიკი



თელაველთა გასახარად, მაგრამ ამასთან არცთუ სასიამოვნოდ ეროვნული ჩემპიონატი გაიხსნა კახეთშიც. პირველი ჩემპიონატის მონაწილე თელაველთა დაბრუნება თავისთავად სასიამოვნო ფაქტია. რაც შეეხება უსიამოვნოს, ნოდარ იანქოშვილის „ბურჯს" დებიუტი არ გამოუვიდა — სუსტ სსუ-სთან დამარცხდა.



REUTERS სანკტ-პეტერბურგიდან

გადაიღალა მარატ საფინი

# დათვს ძილის დრო მოუვიდა

**DAVIDOFF SWISS INDOORS**
ბაზელი. ხალიჩა
საპრიზო 989 750 ევრო

### მეოთხედფინალი

**ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — **ტიმ ჰენმანი** (2, ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — **რაინერ შუტლერი** (6, გერმანია) 4:6, 7:6 (7:5), 6:3; **ნიკოლას მასუ** (7, ჩილე) — **ბოჰდან ულირახი** (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (7:4); **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) 2:6, 7:5, 7:5

### ნახევარფინალი

**ნალბანდიანი** — მასუ 6:3, 6:4; **ნოვაკი** — კუბეკი 6:4, 6:0

ფედერერის თვითოტების შემდეგ ტურნირის მთავარგანთესილ მეჩოგნედ დარჩენილი ტიმ ჰენმანი მეოთხედფინალში გამოცდილმა ჩეხმა ირჟი ნოვაკმა მოდრიკა. ბოლო სამი თვის განმავლობაში ეს მათი უკვე მეორე მატჩი იყო და ათენის ოლიმპიური ტურნირის პირველი წრის დარად ბრიტანელმა ნოვაკს რამე ვერც ამ ჯერზე მოუხერხა.

დავიდ ნალბანდიანმა კი უკვე ზედიზედ მესამედ უწია ბაზელობის ფინალს. აქ ხსენებული ოლიმპიადის მეოქროვე ჩილელ მასუს მასთან ტოლსწორად პაექრობის საშუალება — დაბალ კლასთან ერთად — არც მტკივანმა ნეკნებმა მისცა. ამიტომაც იყო, რომ ტურნირის შარშანწინდელმა ჩემპიონმა საათზე 18 წუთით მეტხანში იმარჯვა. ავსტრიელი კუბეკის გასაბუნძურებლად კი ნოვაკს საათიც არ დასჭირვებია. მას და ნალბანდიანს გუშინ პირველად უნდა ეთამაშათ ერთმანეთში.

**სტოკჰოლმის ღია პირველობა**
ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 643 750 ევრო

### მეოთხედფინალი

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — **ფერნანდო ვერდასკო** (8, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:2; **თომას იოჰანსონი** (შვედეთი) — **ანდრე პაველი** (3, რუმინეთი) 7:6 (7:4), 7:5; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — **ოლივიე როხუსი** (ბელგია) 6:3, 7:6 (7:4); **მიხაელ რიდერშტედტი** (შვედეთი) — **იოახიმ იოჰანსონი** (შვედეთი) 3:6, 5:3 იოაჰანსონმა შეწყვიტა

### ნახევარფინალი

**აგასი** — ჰაასი 7:6 (7:5), 7:6 (7:4); **იოჰანსონი** — რიდერშტედტი 6:3, 6:2

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ანდრე აგასი სტოკჰოლმს პირველად სტუმრობს და იქაურობა ისე მოეწონა, რომ ფინალამდე ვერ შეეშვა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იოლად არც ერთი გამარჯვება არ რგებია, მან მაინც მოახერხა, გადამწყვეტ შეხლამდე სეტისწაუგებლად მისულიყო. იქ კი გუშლამ ავსტრალიის 2002 წლის ღია პირველობის გამარჯვებულ ტომას იოჰანსონს უნდა რკენოდა, ვისთანაც აქამდე ექვსჯერ ეპაექრა და — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ექვსჯერვე დაეთრგუნა კიდეც. იოჰანსონმა ნახევარფინალში უსახელო თვისტომ რიდერშტედტს აჯობა და ამ ამბავს სულ 51 წუთი მოახმარა.

**სანკტ-პეტერბურგის ღია პირველობა**
ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო 1 მილიონი $

### მეოთხედფინალი

**მიშელ ლოდრა** (7, საფრანგეთი) — **მარატ საფინი** (1, რუსეთი) 6:4, 6:1; **მიხაილ იუჟნი** (4, რუსეთი) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) 6:0, 6:1; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) 6:4, 7:6 (9:7); **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:3)

### ნახევარფინალი

**იუჟნი** — რუზედსკი 3:6, 6:3, 6:4; **ბეკი** — ლოდრა 6:4, 2:6, 6:1

წინა კვირას მადრიდში ნაჩვენები შუშპარა და ტიტულიანი ჩოგნაობის მერე მილეთი ელოდა, რომ მარატ საფინი სანკტ პეტერბურგულ ხალიჩაზეც ისევე ლონივრად და წარმატებით იბურთავებდა. მაგრამ დაღლილობის ბრალი იყო თუ უჯიგრობისა, რუსმა დათვმა მოულოდნელად გაძლიანებულ ფრანგ ლოდრასთან ვერაფერი გააწყო და მატჩი თითქმის გაურჯელად ჩააბარა. მის მიერ დახრილი დროშა მასპინძელთაგან მიხაილ იუჟნიმ გადაიბარა და ნახევარფინალში გრეგ რუზედსკის დაძაბული მატჩი მოუგო. საფინის მძლეველმა ლოდრამ კი საფინალო საგზური 22 წლის სლოვაკ კაროლ ბეკს დაუთმო, ვისაც აქამდე საეტიპიო ფინალში კი არა, ნახევარფინალშიც არასოდეს ეთამაშა.

**GENERALI LADIES**
ლინცი. ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

### მეოთხედფინალი

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — **აი სუგიამა** (6, იაპონია) 6:2, 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — **ვერა ზვონარიოვა** (4, რუსეთი) 6:4, 6:4; **ნადია პეტროვა** (5, რუსეთი) — **მეგენ შონესი** (აშშ) 3:6, 6:3, 6:2; **ელენა ბოვინა** (9, რუსეთი) — **ალინა ჟიდკოვა** (რუსეთი) 6:7 (3:7), 6:2, 3:0 ჟიდკოვამ შეწყვიტა

### ნახევარფინალი

**მორესმო** — იანკოვიჩი 4:6, 6:3, 6:1; **ბოვინა** — პეტროვა 6:3, 4:6, 7:6 (7:3)

თავადაც მარჯვენაბაყვგადაზვეულმა ამელი მორესმომ ძლივს აჯობა 19 წლის მძლავრ სერბგოგო იანკოვიჩს, ვისაც ფრანგის ბედად მეორე სეტის დამლევს საშინლად ასტკივდა მარჯვენა მხარი. სწორედ ამის გამო იყო, გადამწყვეტ სეტში მეტოქეს სათანადოდ რომ ვერ გაუძალიანდა.

**ლევან ძელაურაძე**



# შავს და თეთრს მალე განახევთ!

## აფრიკაა აფრების აშლას ჰფირეჯებს

**მომავალ შაბათს,** 6 ნოემბერს იტალიელები კანადელებს დაუხვდებიან შინ და საშემოდგომო ტესტ-მატჩების სერიაც ამით გაიხსნება. ამავე დღეს გაიმართება ბრიტანელი და სამხრეთელი ბობოლების ორი საინტერესო დაპირისპირება. შოტლანდიელები მსოფლიოს ვიცეჩემპიონ ავსტრალიელებს ედინბურგში მიიღებენ, უელსელები კი კარდიფში სამი ერის თასის მფლობელ სამხრეთ აფრიკას უმასპინძლებენ. ტესტ-მატჩები 4 დეკემბრამდე გასტანს და მასში 15 რჩეული სარაგბო ქვეყნიდან 13 მიიღებს მონაწილეობას. მხოლოდ ფიჯიმ და სამოამ მოიქაჩლეს თავი, დანარჩენები კი გახურებულ სამზადისში არიან.

რადგანაც ინგლისზე, ავსტრალიასა და ზელანდიაზე, ასე თუ ისე, წინა ნომრებში ვისაუბრეთ — და მათ ბანაკში ახალი ბევრიც არაფერია — ამჯერად სამხრეთ აფრიკაზე გავჩერდებით და ჯეიკ ვაითის სამზარეულოში შევიხედოთ.

2003 წელს „ქურციკებმა" მსოფლიოს თასზე ვერ ივარგეს და თასისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ, რაც რა თქმა, უნდა სავალალო შედეგად მოინათლა და ალბათ სამართლიანადაც. თუმცა ნაკრებიდან სკანდალურად წასული რუდი სტრაულის ადგილზე მისულმა ჯეიკ ვაითმა მალევე შეაფუცხუნა „ქურციკები" და ისეთი ნაკრები დააყენა, მტერს რომ თვალი დაუდგება. ამას მარტო ის არ გვათქმევინებს, რომ წელს ჩატარებული 8 ტესტ-მატჩიდან „ქურციკებმა" 6 მოიგეს. მთავარი ტრიუმფი აფრიკელებს სამი ერის თასზე ელოდათ — ორი მარცხით დაწყების შემდეგ ზელანდიელებიცა და ავსტრალიელებიც შინ დასცეს და ტურნირის ცხრაწლოვან ისტორიაში მეორედ დაეუფლნენ თასს. პირველად ეს 1998 წელს მოახერხეს, თუმცა შემდეგ ევროპაში ინგლისთან წაიბორძიკეს და „დიდი სლემის ტურნეში" ვეღარ იზეიმეს გამარჯვება. ახლა კიდევ ერთი შანსი აქვთ, ამისათვის ნოემბერში უელსის, შოტლანდიის, ირლანდიისა და მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის დამარცხება მოუწევთ.

ვერაფერს იტყვი, რთული ამოცანაა, თუმცა მისტერ ვაითის ხელში მის შეგირდებსაა თუ ნაკრების თაყვანისმცემლებს ყველაფრის იმედი შეიძლება ჰქონდეთ. 12 წელიწადში „ქურციკებმა" 9 მწვრთნელი გამოიცვალეს, რაც ალბათ გუნდში თუ ფედერაციაში არსებულ არასტაბილურ ვითარებას შეიძლება მივაწეროთ, მაგრამ ვაითის მოსვლამ ბევრი რამ კარდინალურად შეცვალა. გუნდში არნახული დისციპლინა დამყარდა, ახალ კაპიტნად კი ჰუკერი ჯონ სმიტი მოგვევლინა. ვაითის ცვლილებებმა ნაკრებს სტაბილურობა შემატა და იმ შედეგებმაც არ დააყოვნა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

მწვრთნელის დამსახურებაა ისიც, რომ გუნდს ევროპაში სათამაშოდ წასული და ამის გამო ნაკრების ყოფილი შეფებისგან შერისხული პერსი მონტგომერი დაუბრუნდა. ვაითმა პერსის „აპატია" საკლუბო ამბავში სამშობლოს „ღალატი" და ამანაც წლეულს ისე ითამაშა, გულშემატკივრებს ათქმევინა — მონტგომერის ასეთი კარგი სეზონი არასოდეს ჰქონიაო. ოკეანეთის ნაკრებთან თამაშისას მონტგომერიმ 18 ქულა მოიხვეჭა და ნაას ბოთას გაუსწრო, რომელიც სამხრეთ აფრიკაში აქამდე საუკეთესო იყო, ტესტ-მატჩებისას დაგროვილი ქულების რაოდენობით.

მომავალ „დიდი სლემის ტურნეს" ვაითი მთელი სერიოზულობით უყურებს და შეგირდებსაც მოუწოდებს — ყველა მატჩში მოედანზე სული და გული დადეთ, რადგანაც „დიდი სლემის" მოგების შანსი შეიძლება კარიერაში ერთხელ მოგეცეთო.

მიუხედავად წარმატებებისა, მწვრთნელს ავისმჩხრიკავიც ბევრი გამოუჩნდა. მათ შორის ის კონსერვატორები სჭარბობენ, რომლებსაც ნაკრებში შავკანიანთა სიმრავლე თვალში არ მოსდით. ვაითის 33-კაციან სიაში 11 შავკანიანია და გულშემატკივრებსაც ეჭვი აქვთ, განაცხადში მათი შეყვანა პოლიტიკური ამბავია, თორემ ბევრი ისეთი თეთრკანიანი გვყავს, მაგათ რომ სჯობია და მაინც უნაკრებოდ რჩებაო. ზანგთა სიმრავლე არც ქვეყნის სარაგბო მამებს მოსწონთ, სპორტში, რომელშიც, როგორც წესი, თეთრები დომინირებენ, შავებიც კი უნდა იყვნენ, მაგრამ ამდენი არაო.

ნაკრების „სიშავეს" ვაითის გარდა [illegible] ანდრე მაკგრაფი ის კაცია, რომელიც ახლახანს სამხრეთაფრიკული რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოადგილედ დანიშნეს და ვინც შეთავსებით ნაკრების ერთ-ერთი სელექციონერიც გახლავთ. უცნაური ამბავია — მაკგრაფი ადრე თავად იყო „ქურციკთა" თავკაცი და 1997 წელს რასისტული გამონათქვამების გამო პოსტი დაატოვებინეს. მაშინ მან გუნდის შავკანიან ადმინისტრატორებს „კაფრები" უწოდა, რაც თავისთავად სალანძღავი სიტყვა არაა, კაფრები ხომ სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე ოდესღაც მცხოვრები მძლავრი ტომის წარმომადგენლები არიან. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაკგრაფს საქციელი მაინც არ მოუწონეს და მოხსნეს. ახლა კი პირიქით, ზანგთა მფარველობაში სდებენ ბრალს. პრინციპში, ვაითს ეს ყველაფერი ნაკლებად აინტერესებს და ოპონენტებს შედეგებით პასუხობს. ხომ მოგეწონათ, ორი წაგების შემდეგ სამი ერის თასი რომ მოვიგეთ, ახლა გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნებას ვცდილობ და მოდით, თავი დამანებეთ, ჩემი საქმე უნდა ვაკეთოო.

ძირითადი ბირთვის შენარჩუნება, იცოცხლე, კარგი რამეა, მაგრამ აფრიკელთა შემადგენლობაში მაინც მნიშვნელოვანი გადაადგილებებია. ვაითმა ძირითადში მოთამაშე და სათადარიგოთა სკამზე გასამწესებელ მორაგბეთა სრული სია გამოაქვეყნა.

ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ნაკრებს დაუბრუნდა 2003 წლის სეზონის საუკეთესო სამხრეთაფრიკელი მორაგბე, გარემარბი ეშვინ ვილემსე. მისმა დაბრუნებამ სათადარიგოთა სკამზე გადასვა იან დე ვილერსი.

9 ნომრის პოზიციაზე, დაშავებული ბოლა კონრადის ნაცვლად ფიური დიუპრე ითამაშებს. ტრავმის გამო გუნდს ეიჯეი ვენტერიც გამოაკლდება. მის ადგილს 2003 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებში პირველად გამოძახებული იუან სმიტი დაიკავებს.

განაცხადში ორი დებიუტანტია, მესამეხაზელი ტიმ დლულეინი და 9 ნომერი მაიკ კლაასენსი. ორივე მათგანი ჯეიკ ვაითს ჯერ სათადარიგოთა სკამზე დასასმელად სჭირდება.

**ლადო ფულუკიძე**



პერსი მონტგომერიმ და მისმა თანამებრძოლებმა წელს ბევრს მოუგეს ნიშნი



ქართველებმა მონტევიდეოში ურუგვაელებს რეგანში ვერ აუღეს

# ურუგვაიში სინბინ-სინბინით

## ტესტმატჩიც, ხისტმატჩიც

**ფირა აერ-ის კონსარის თასი**

**ურუგვაი 17:7 საქართველო**

**ურუგვაი:** 2 ლელო: კროსა, პასტორე; 2 გარდასახვა: კასტილიო; საჯარიმო: კასტილიო
**საქართველო:** ლელო: ბოლღაშვილი; გარდასახვა: ურჯუკაშვილი

როგორც გახსოვთ, შარშანდელ მსოფლიოს თასზე, ჯგუფის ბოლო ტურში ბორჯღალოსნებმა სიდნეიში 12:24 წააგეს ურუგვაელებთან. მიუხედავად იმისა, რომ ის მატჩი სატურნირო თვალსაზრისით დიდს არაფერს წყვეტდა, მარცხი მაინც ცხელი ისარივით მოგვხვდა გულზე — უდიდესი სარაგბო ტურნირიდან მოგების გარეშე დავბრუნდით.

გუშინწინ კი საქართველოს ნაკრებს სამხრეთამერიკულ ტურნეზე შეეძლო რევანშის აღება, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ჩვენებს მხოლოდ ოთხი ლეგიონერი ჰყავდათ, როდესაც ურუგვაელები მონტევიდეოში უძლიერესი შემადგენლობით დაგვიხვდნენ. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და 25-ე წუთისთვის უკვე 14:0-ს იგებდნენ. ჯერ იგნასიო კროსამ, შემდეგ კი ხოაკინ პასტორემ დაალელოვეს ქართველები, რასაც აგუსტინ კასტილიოს გარდასახვებიც მოჰყვა. დავით ბოლღაშვილმა ზედ შესვენების წინ დადო ხუთქულიანი, ურჯუკაშვილმაც ზუსტად გაისროლა. წინ მთელი 40 წუთი იყო, მაგრამ მეორე ტაიმში რაგბი ბარაქიან მუშტი-კრივად გადაიქცა. თავად განსაჯეთ — მსაჯმა ჩვენებიდან ირაკლი ნინიძე, დავით ზერეკაშვილი, ალექსანდრე მჭედლიშვილი და გიორგი ჟღენტი, ხოლო მასპინძელთაგან ფედერიკო კაპო, ნიკოლას ბრინიონი და იგნასიო ლუსიჩი გაასინბინა. ამ 7 სინბინს ბრინიონისა და ჟღენტის გაძევებაც მოჰყვა.

ბორჯღალოსნები მომდევნო მატჩს 6 ნოემბერს ჩილესთან გამართავენ სანტიაგოში, რითაც სამხრეთამერიკულ ტურნეს დაასრულებენ. წლის მთავარი შერკინება კი 20 ნოემბერს კრასნოდარში გველის. ევროპის 2005 წლის საერთაშორისო შეხვედრაში რუსები კიდევ ერთხელ უნდა დავარბიოთ.

**ილია ნანოგაშვილი**



# ზვიადაური

## ბუნდესჩემპიონს გერმანიას საგარეჯო ურჩევნია

**ოლიმპიურმა ჩემპიონმა** ზურაბ ზვიადაურმა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს ამ უქმეებზე გერმანიის პირველობის ოქროც მიამატა. „აბენსბერგის" სახელით მოჭიდავე ზვიადაურს ამ კლუბთან კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა და, ცხადია, ახალი შეთავაზებაც მიიღო, მაგრამ პასუხისგან ჯერ თავს იკავებს და გული სამშობლოსა და ახლადშექმნილი ქართული კლუბისკენ, „საგარეჯოსკენ" მოუწევს.

„ათენის შემდეგ ხეირიანი ვარჯიში გერმანიაში ჩამოსვლის მერეღა დავიწყე და ფორმაც აქ აღვიდგინე — გვითხრა გუშინ ზვიადაურმა — ბუნდესლიგის გადამწყვეტ შეხვედრაში ოთხჯერ გავედი საჭიდაოდ და ოთხჯერვე სუფთად მოვიგე, „აბენსბერგი" კი ჩემპიონი გახდა. ფინალში გადასასვლელ ბრძოლაში ერთ-ერთ აქაურს შევხვდი, რომელთანაც შარშან წავაგე. ამჯერად მას რევანში ავუღე. მოგეხსენებათ, წესის თანახმად, თითო წონა ორ-ორჯერ ჭიდაობს და ამ გერმანელთან ერთხელაც მიწევდა ხალიჩაზე გასვლა, მაგრამ რატომღაც შეცვალეს და სხვა დამიყენეს. იმასაც იპონით ვაჯობე. ამავე გუნდში იყო ჩემს მიერ ათენში დამარცხებული შავკანიანი ბრიტანელი გორდონი. ოლიმპიადაზე იგი მსაჯებმა მოხსნეს და ამის გამო ზურგსუკან საუბრებიც კი დაიწყო, რომ არ მოეხსნათ, ვინ იცის, შემდეგ წრეში ვინ გავიდოდაო. გერმანიაში მასთან შეხვედრა სულით და გულით ამიტომაც მინდოდა, მაგრამ წონა შეუცვლია და 100 კილოგრამში გამოდიოდა.

...ფინალში ისევ გერმანელ ძიუდოისტს დავუპირისპირდი. 18 წლის ბიჭი იყო. თავიდან გაფრთხილებითაც დაწინაურდა, მაგრამ იპონზე გამოვიჭირე. მეორე ბრძოლაც ზუსტად ისევე მოვუგე.

„აბენსბერგის" ბუნდესჩემპიონობა კლუბის პრეზიდენტ ოტო კნეითინგერის დაბადების დღეს დაემთხვა და აბა, ამაზე უკეთესი რა საჩუქარი უნდა გაგვეკეთებინა. ჩემი კონტრაქტის ვადა კი უკვე თითქმის ამოწურულია. დეკემბრიდან ახალი ხელშეკრულების შემოთავაზებასაც აპირებენ, თუმც ჯერ კონკრეტულად არ გვისაუბრია. მომავალ სეზონში ყველაზე მეტად „საგარეჯოს" სახელით ჭიდაობა მინდა."

**ოთარ მაღლაკელიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ზურაბ ზვიადაური აბენსბერგიდან საქართველოში მოიჩქარის



**საქართველოს XV ჩემპიონატი**

პირველი წრე. „ა" ქვეჯგუფი

თელავი. 30 ოქტომბერი

ქარიშხალა 24:21 თელავი

სტუ-შევარდენი — გორი არ ჩატარდა



გია ახალაძის ფოტო

# ცუდი მაინც მოხდა

**თელავის** ტურის ბოლო დღეს მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. „სტუ-შევარდენის" და „გორის" შეხვედრა არ შედგა, რადგან გორელები წინა დღეს გაემგზავრნენ შინ. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია, ცხადია, იმსჯელებს ამ ფაქტზე და შესაძლოა, „გორს" მხოლოდ 0:10 წაგება არ აკმაროს.

ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალასთან" თამაში მასპინძელთათვის უხეიროდ წარიმართა. „თელავმა" წინა დღეს იმდენი ძალა შეალია „თბილისთან" ბრძოლას, რომ ბიჭები აშკარად გადაღლილები ჩანდნენ, ტემპიც დაბალი იყო და სროლებიც არაზუსტი, ბურთიც უამრავჯერ დაკარგეს მარტივ სიტუაციაში. ამ ახსნა-განმარტებით სულაც არ გვინდა დავაკნინოთ „ქარიშხალას" გამარჯვება. „ბავშვებმა" თავისი საქმე ჩინებულად შეასრულეს, დაცვაც საიმედოდ გაამაგრეს და შეტევაშიც იყოჩაღეს.

სკოლელები თავიდანვე დაწინაურდნენ და საფინალო სასტვენამდე ერთხელაც არ დაუთმიათ ლიდერობა. ტაიმი ცხრა ბურთით მოიგეს — 16:7 და საქმეც მოთავებული ჩანდა, მაგრამ შესვენების შემდეგ თელაველებმა „გამოიღვიძეს" და ხუთ წუთში ხუთი უპასუხო გოლი გაიტანეს, მეცხრე წუთზე კი სხვაობა ორ ბურთამდე შემცირდა — 17:15. თითქოს გარდატეხა მოხდა, მაგრამ „თელავმა" მეტი ველარ შეძლო და მაინც დათმო მატჩი.

მასპინძელთა ლიდერმა ალექსანდრე გიორგელაშვილმა ექვსჯერ გაიტანა, ხოლო გამარჯვებულთაგან 8 გოლით საუკეთესო იყო ტანმაღალი (195სმ) მიხეილ საჯაია, რომელსაც ოთხ თამაშში 36 ბურთი დაუგროვდა და ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზეა 40-ჯერ გამტან გორელ გოჩა მშვიდობაძის შემდეგ.

ახლა ჩემპიონატში შესვენებაა. ნოემბრის ბოლოს ათივე გუნდი თბილისში შეიკრიბება პირველი წრის დანარჩენი შეხვედრების ჩასატარებლად.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 112:94 | 8 |
| სტუ-შევარდენი | 2 | 0 | 1 | 95:81 | 4 |
| ქარიშხალა | 2 | 0 | 2 | 125:124 | 4 |
| თელავი | 1 | 0 | 3 | 102:103 | 2 |
| გორი | 0 | 0 | 3 | 81:113 | 0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge